

ქვეყნის გზები



საქართველოს
მხარეთმცოდნეო
კავშირის
გაზეთი
№6 (290)

1-31 დეკემბერი
2021

ფასი 1 ლარი

გამოცემის
თავმჯდომარე

ჩანაწერი პარლამენტის სსდომიდან 4 დეკემბერი, 2021 წელი

გიორგი ვაშაძე (ოპოზიციის წარმომადგენელი) - ...ქალბატონო მინისტრო, რა აზრის ხართ, მწერალთა სასახლის მწერლებსთვის დაბრუნებაზე?

თეა წულუკიანი (მომხსენებელი, კულტურის მინისტრი) - გაცხადებელი ვარ თქვენთვის „გალმა შედავების“ პოლიტიკით. გაგახსენებთ, რომ 2007 წლის 21 აგვისტოს, ღამის 4 საათზე იმდროინდელი პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის განკარგულებით ზონდერბრიგადამ დაარბია მწერალთა სასახლე. უძვირფასესი მემორიალური ნივთები ქუჩაში გადაყარა და მწერალთა კავშირი გამოაძევა თავისი კუთვნილი შენობიდან. იმდროინდელი შოკის გამო არაერთ მწერალს დღესაც შერყეული აქვს ჯანმრთელობა. ეს გააკეთა ნაცმოძრაობამ და ახლა მე მეკითხებით თქვენს მიერ 14 წლის წინათ ოკუპირებული შენობის დაბრუნებაზე? განა თქვენ და თქვენმა თანამებრძოლებმა არ გახსენით ზარზედომით იმ შენობაში „მწერლის სახლი“ და თქვენ არ დაუნიშნეთ თქვენივე რიგებიდან დირექტორი? ახლა კულტურის სამინისტრო სწავლობს ამ საკითხს და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენგან განსხვავებით სამართლიან გადაწყვეტილებას მივიღებთ.

სალომე სამადაშვილი (ოპოზიციის წარმომადგენელი) - რატომ გააუქმეთ შემოქმედებითი კონკურსი „ლიტერა“, რომელიც წლების განმავლობაში ლიტერატურულ პრემიას ანიჭებდა მწერლებს?

თეა წულუკიანი - „ლიტერას“, რომლის ფიურც კულტურის სამინისტროს სახელით მოქმედებდა, სინამდვილეში საერთო არაფერი ჰქონდა კულტურის სამინისტროსთან. იგი იყო თქვენთვის კარგად ცნობილი კეზერაშვილის დაარსებული და კეზერაშვილი აფინანსებდა ამ ტენდენციურ კონკურსს. ტენდენციურს იმიტომ ვამბობ, რომ პრემია „ლიტერას“ ანიჭებდნენ აშკარა პარტიული მიკერძობებით. ამ და სხვა მიზეზთა გამო ჩვენ გააუქმეთ „ლიტერა“ და ვპირდებით ჭეშმარიტ, ობიექტურ მწერლებს, რომ მის ნაცვლად სხვა პრემიას დავაარსებთ! აქვე დავსძენ, რომ ჩვენი შეცდომა ის იყო, შერიგების მოლიპულ გზას რომ დავადექით და დანაშაულის ჩამდენი პრეზიდენტი თავის დროზე გალიაში არ ჩავსვით.

მინაწერი: საქართველოს მწერალთა კავშირი მადლობას მოახსენებს ქალბატონ თეა წულუკიანს, რომ მის მიმართ დასმულ შეკითხვებს მან სამართლიანი, გონივრული პასუხი გასცა. გვიკვირს ერთი რამ: დარბაზში ბრძანდებოდნენ ქართული ოცნების წევრი დეპუტატები და მათ შორის ერთი მწერალთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარის ქალიშვილი ქეთი დუმბაძეც იყო.

რატომ არცერთ თქვენთაგანს არ გაუჩნდა სურვილი, ძვირფასებო, ეკითხა კულტურის მინისტრისთვის, კიდევ რამდენ ხანს იქნებიან სააკაშვილის მიერ გამოძევილი ქართველი მწერლები ქუჩაში?

რაო, ძალიან პატარები ვჩანვართ თქვენს თვალში პარლამენტის მაღალი საკრძობიდან ქართველი მწერლები?

მწერალთა კავშირის პრესცენტრი

ბაგრატ ბადიდი

რეპრესირებული მწერალთა კავშირი კომპიუტერი ქრონიკა

თვალი დაადგეს ზოგ-ზოგებმა მაჩაბლის 13-ს და იქ მწერლები რიგრიგობით ათევენენ ღამეს...

ღამეს უთევენენ იმ შენობას ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატი, ქომაგები, მაგრამ პატრული გამთენიისას თავს დაესხა მწერალთა კავშირს... რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი გაყარეს კარში.

კონსტანტინე გამსახურდიას უნიკალური სავარძელი... გალაკტიონ ტაბიძის პირადი ნივთები... სანახაობა მართლაც იყო გულის შემძვრელი და დაჰყურებდათ ბადრი მთვარე მათ გაფითრებით.

ვის დაკარგვია, მაგრამ გვყავდა ჩვენ პრეზიდენტად სააკაშვილი რეგენი, შტერი, უცოდინარი, უნიგნური, მწერლობის მტერი... მწერალთა კავშირს მან მოუწყო ბინძური ხრიკი!

„მწერალთა კავშირი“ არ გვექონია რუსთაველის დროს, მაგრამ დანერა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“... ეს თქვა იმ კაცმა და ასეთ კაცს უნდა ვერიდოთ, ის პრეზიდენტის სავარძელში იჯდა ხბოსავით.

„მწერალთა კავშირს“ ჩამოართვეს მისი შენობა, გადასცეს იგი „მწერალთა სახლს“ და ფაქტიურად შესრულდა კარგად დაგეგმილი ავანტიურა... დღემდე გრძელდება ეს სიგლახე, ეს ჩუქენობა.

მაჩაბლის 13-ს მიამაგრეს ახალი აბრა, გაუგებრობა, გამოცანა, აბრაკადაბრა... „მწერალთა სახლი“ დაანერეს ღამაზ აბრაზე და ეს ამბავი ნამდვილ მწერლებს დღემდე აბრაზებთ.

„გატარებული არ გქონიათ რეესტრში სახლი, ამიტომ უნდა ჩამოგართვათ“, - იყო პასუხი. როცა მთავრობა ასეთ რამეს პირში მოგახლის, ისეთ მთავრობას ქვეყნის ბედი არაფრად უღირს.

და უნებლიეთ გამახსენდა დიდი აკაკის ერთი ცნობილი იგავ-არაკი: „მგელი და კრავი“, არა, არ არის ეს საკითხი ხელნამოსაკრავი.

„დაგირღვევით ყველა ვადა პრივატიზების, სწორედ ამიტომ, ამის გამო და ამ მიზეზით ჩამოგართვითო, ასე გვითხრეს, - თქვენ ეს სასახლე“. გვითხრეს ასე და შენობიდან გამოგვასახლეს... სიბ ნიადაგზე არაფერი არ აიგება... რაც არ იკადრეს სისხლიანმა ბოლშევიკებმა, ის გააკეთა გუშინდელმა ჩვენმა მთავრობამ... ეს იყო მისი ძალადობა ანუ მძლავრობა.

„ალტერნატიულ შენობაზე“ აქ ლაპარაკი არც შეიძლება... გამოგვიყვეს ძველი ბარაკი... იქვე ცხოვრობენ ლტოლვილები, იმ შენობაში და რა დღეც ადგათ დევნილ მწერლებს, მიხვდება ბავშვიც.

როცა გყავს რევან მიშველაძე, დიდი რევანო და გააძევეს სასახლიდან ასეთ ბუმბერაზს, მაშინ ხომ შენთან დავა-კამათს არა აქვს აზრი, ხელისუფალო, აი, მაშინ მართლა უბერავ!

ხელისუფლება ქართველ მწერლებს გადაემტერა, მოხდა შენობის ტოტალური ოკუპაცია და სასახლო, ასწლოვანი კულტურის კერა ლიბერასტების ბუდედ აქცია.

ებრძვიან ქართულ მენტალიტეტს და რელიგიას. ფალოსს, სარცხვინელს, უსირცხვილოდ უძღვნიანოდას და ეს ყოფილა მათი აზრით, სიახლე („მოდა“), ასეთი რამე რატომ ხდება, ვერ გამოვიგა.

მწერალთა კავშირს შეუტყის: „დრო მოჭამაო“, თუმცა ამ ხალხის ფახი-ფუხი არის ამაო, გაიჯეჯილეს უხერხემლო ლიბერალებმა... შუბი ტოპრაკში, რა თქმა უნდა, არ იმალება.

ნატრობდა ნიკო ფიროსმანი, მკითხველო ჩემო, სადმე ფანჩატურს მხატვრებისთვის, ჩაის, სამოვარს... მაგრამ მწერლებსაც ხომ სჭირდებათ მყუდრო გარემო, ამის გარეშე არაფერი აღარ გამოვცა.

გააჩნდათ მწერლებს ამ სასახლის ეზოში ბალი (იტყვიან ხოლმე: „დაკარგულზე წუნწინი არ ღირს“), სამუსაიფოდ შედიოდნენ მწერლები ბაღში, როცა სასახლე ეკუთვნოდა მწერალთა კავშირს.

დაგმანულია დღეს კარები „მწერალთა სახლის“ ვთქვათ და მოუნდა დასვენება იმ ბაღში დაღლილ მწერალს, მან უნდა ზარი მისცეს დარაჯს, კარისკაცს... უთხრას თავისი ვინაობა და თუ გარისკავს, ბაღში შეშვება უნდა თხოვოს... ატუზულს კართან, დარაჯი არცკი გამოხედავს, „დომოფონს“ ჩართავს და „უცხო სტუმარს“, სხვათა შორის, ცივი ხმით ჰკითხავს: „გისმენთ, ბატონო, რა გნებავთ, ვინ ხართ?...“

სიმართლე გნებავთ? ის შენობა დღემდე ქებული, „მწერალთა სახლის“ მიერ არის ოკუპირებული.

დაფინანსება შეუწყვიტეს მწერალთა კავშირს, ასეთი რამე მართლა მოხდა ჩვენს ქვეყანაში! მოდით შევხედოთ ჩვენს მეზობლებს: ბაქოს, ერევანს, მწერალთა კავშირს იქ არავინ არ დაერევა! სულაც პირიქით: დაუფასდათ მწერლებს ამაგი, კავშირის წევრებს იქ უხდიან მაღალ ჯამაგირს.

ნახეთ, რასა წერს, რას გვაუწყებს ბაქოს მედია: მწერალს ბაქოში, თუ ის არის კავშირის წევრი, მაგრამ არ არის სამოცი წლის, მას სტიპენდია თვეში ოთხასი დოლარი აქვს (არ არის ბევრი?) და თუ სამოცი წელს გადაცდება, რეასი თვეში! ბაქოში ხდება ეს ამბავი, რა ხდება ჩვენში?

ექვემდებარება აღდგენა-განახლებას ის, რაც არის დარღვეული და დაშლილი, მაგრამ რატომღაც არავის ენაღვლება რეპრესირებული მწერალთა კავშირი.

ვულოცავთ!

კულტურის სამინისტრომ საბავშვო ლიტერატურაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს **მაყვალა გონაშვილს** მინიჭა იაკობ გოგებაშვილის პრემია.
ვულოცავთ!



რევაზ მიშველაძე

(დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ №3,4,5)

12/VII 89

ჩვენი „დაღესტნის დელეგაცია“ შვიდ საათზე გუმბარდემ გვიხმო.

დაწვრილებით ვუამბებთ მოლაპარაკების შედეგებზე.

კმაყოფილი დარჩა. ეს უკვე კარგი დასაწყისია, მომავალში ვცადოთ, ეს კარგად დანყებულ საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

ხუთ თვეში პირველი 50 ოჯახი თუ გავასახლეთ, მერე თანდათანობით ყველანი მიჰყვებიან. ასე რომ, სამ-ოთხ წელიწადში ლეკები აღარ უნდა დარჩნენ საქართველოში.

ერთი რამ არ მომეწონა: ჩვენს იქ ყოფნაში მოსკოვიდან დარეკა რიჟკოვმა, ერთი წუთით, ბოდიში მოუხადა მოსკოვს გუმბარდემ და ჩვენ გვანიშნა, გამოვსულიყავით კაბინეტიდან.

გამოვედით. ხუთი წუთის შემდეგ გვიხმო და ბოდიში მოგვიხადა, რიჟკოვი მელაპარაკებოდა და თან მკითხა, ხომ მარტო ხართო.

რა უთხრა რიჟკოვმა, ჩვენთვის არ გაუშვებია.

რას გაიგებ, იმპერიის მეორე კაცს ათასი საიდუმლო აქვს მეფისნაცვალთან.

ისევ გავაგრძელებთ საუბარს. ამკარაა, რომ გივი პატიოსანი ბიჭია და სასიკეთოდ მონდომებულიც, მაგრამ გაბედულება არ ჰყოფნის. გ. ფანჯიკიძემ უთხრა: გულდაუთის გაზბუთის რედაქტორი ნამდაუნუმ გვლანძღავს ქართველებს და ის მაინც მოხსენი დასაწყისისთვისო.

ესეც ვერ გაბედა. საწყალი კაცის თვალებით შემოგვხედა. მანდო, მე ვფიქრობ, რედაქტორის მოადგილე უფრო ამღვრევს წყალსო.

ჩემი მოადგილე უჩემოდ რას გაბედავს-მეთქი.

მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა. 13/VII 89

დილომს ყელში წაუჭირა ბეტონის ხელის ქალაქმა და სოფელი სულს ძლივს ღაფავს.

დილომი მალე გაქრება.

რა უბედურება ეგ არიო, იკითხავს მკითხველი. ურბანიზმს დიდი მუცელი აქვს და ინდუსტრია თუ ჭარბმოსახლეობა ყლაპავს ქალაქის ახლობელ პატარა სოფელსო. განა იგივე ბედი არ ენია სოფელ ვერეს, სოფელ დელისს, სოფელ ვაკეს, გლდანს და სხვა სოფლებსო.

დილომი კი არა, შე კაი კაცო, პომპეუსი გაქრა და ტროა გაქრა მიზეზთა გამო პირისაგან მიწისაო.

კი მაგრამ დილომი — ეს თბილისის კარზე მომდგარი სუფთა ქართული სოფელი, რომ გაქრება და ქალაქი შეინვოს, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ გაქრება დიდმური კიტრი და პამიდორი, მშვენიერი დიდმური ვაშლი და ატამი, დიდმური ყველი და მანონი... ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ქალაქს გადაეჭრება ერთი სასიცოცხლო ქართული არტერია და კიდევ უფრო აღმოვჩნდებით თბილისის ირგვლივ შემოჯარულ გადამთიელთა კაბალაში-მეთქი, ვუპასუხებ ჩემს სკეპტიკოს ოპონენტს.

რა დაემართა დილომს?

რაც სხვა სოფლებს სჭირს საქართველოში. უკანასკნელად საკარმიდამო ნაკვეთი მკვიდრ ქართველ კაცზე დილომში ამ ოცი წლის წინათ გაიცა. ამის შემდეგ განცხადება-თხოვნების ნიაღვარი მოდის გამ-

რავლებული, კომლგაყოფილი დიდმელი გლეხისგან სათანადო ორგანოებში, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ყურსაც არავინ იბერტყავს დიდმელთა გასაჭირზე.

სამაგიეროდ, დაქინძაჩებული არიან სხვადასხვა უწყებები, როგორ შეავინროვონ დიდმელები, დღითი-დღე, მტკაველ-მტკაველ როგორ წაართვეს მარჩენალი მიწა.

ქალაქი თავკომბალასავით იზრდება, თბილისის უთავბოლო გაზრდის წინააღმდეგ ბოლო ათეულ წლებში მხოლოდ სიტყვით, გულზე პატრიოტული მჯილისცემით ვიბრძვით. ადმინისტრაციულ-ჩინოვნიკურ მაფიას კი გულში ეცინება ჩვენს პატრიოტულ ალტკინებაზე. იგი თავის საქმეს აკეთებს.

ამიტომაც ჩნდება და ჩნდება გავლენიან პირთა ბოსტან-ვილები დილომის ტერიტორიაზე.

ჩნდება ძლიერთა ამა ქვეყნისათა გაფორმებულ-გაუფორმებელი ნაკვეთები. აბა ერთი უბატონოდ ხმა გასცეს სასოფლო საბჭომ მოაგარაკე ყოვლისშემძლეს? იგი მინას კი არ იტაცებს, მას „ეკუთვნის“ მსოფლიო პროლეტარული მოძრაობის წინაშე თავისი განსაკუთრებული დამსახურების გამო.

კიდევ ერთ სადიდმე პრობლემას უნდა შევხებო.

სოფლის ბოლოს გაშლილია უზარმაზარი მიწები, რომელსაც დიდგორის ველი ჰქვია. დიდგორის ველი მთავრდება მაღალი ულამაზესი მთით, რომელსაც

ში ეროვნებად — ქართველის ჩანერას, როგორ მოვიქცეთო.

უსათუოდ უნდა ჩაუნეროთ-მეთქი. 15/VII 89

შაბათია. ჩემს ლარიბულ აგარაკზე ვარ — მუხათწყაროში.

მაინც ვერ დავისვენე. დავნერე თორმეტგვერდიანი სტატია „რა გადაარჩენს საქართველოს“.

„ახალგაზრდა კომუნისტში“ უნდა ვცადო დაბეჭდვა.

ცოტა არ იყოს, მწვავე სტატიაა. 16/VII 89

დილოდან „კრიტიკის“ მეექვსე ნომრის მასალებს ვასწორებ.

მარნეულის სოფ. წერეთლის მეურნეობის დირექტორმა, ვალერი გაბელიამ, მომიტანა 27 ივნისის გაზეთი „ახალი მარნეული“.

ვინმე პ. მურსაგულაშვილს ნერილში გაკრიტიკებული ვარ.

პასუხია 11 მაისის „სოციალისტურ რუსთავეში“ დაბეჭდილ ჩემს სტატიაზე: „ყურს ნუ ვათხოვებთ დემაგოგს“.

ღმერთი, რჯული, მე არც ერთი ერთი არ მძულს (სასაცილოა ამის მტკიცება), მაგრამ საქართველოს გადაშენების მომხრე რომ არ ვიყო, ხომ მაქვს ამის უფლება?

ტელევიზიამ ეს წუთია საშინელი ამბავი გადმოსცა.

„აფხაზი“ მკვლელები თავს დასხმნან თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს.

მოკლულიაო 11, უგონო მდგომარეობაშია 12, დაჭრილ-დასახიჩრებულიაო 120 კაცი.

რა ვქნა?

წუთუ ამ ქვეყნად საღი გონება არსად ჭაჭანება?

„აფხაზები“ გათამამდნენ, აფხაზებს ყველაფერი ვაპატიეთ და თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული, ისინი თავს დაგვესხმიან-მეთქი, სწორედ ოთხი დღის წინათ ვუთხარი გ. გუმბარდეს.

ყურად არ იღო. მე ქართველების მეშინია, თორემ „აფხაზები“ ვერაფერს გაბედავენო.

აი, თუ ვერ გაბედავს. 17/VII 89

თბილისში დიდი მიტინგებია.

დავაპირე წასვლა აფხაზეთში, მაგრამ ყოველ წუთს რადიო აცხადებს, რომ გზები შეკრულია.

გუშინდელ გაზეთში („კომუნისტი“) იოსებ გობეჩია გადმოგვცემს სიმართლეს — აფხაზეთის ამბებზე.

ქართველები უდანაშაულონი არიან. უნივერსიტეტის ქართულ ფილიალს დაესხნენ თავს, მერე — რუსთაველის ქუჩაზე შეკრებილ შეუთარაღებელ ქართველებს.

აი, სანამდე მიგიყვანა „აფხაზეთისთვის“ ყველაფრის დათმობამ.

18/VII 89

მთელი დღე „კრიტიკის“ რედაქციაში გავატარე.

აფხაზეთისკენ გზები კვლავ დაკეტილია.

ქართული საინფორმაციო ორგანოები გადმოსცემენ, რომ ზუგდიდში, აბაშასა და ამბროლაურში ქართველებმა მილიციიდან იარაღი გაიტაცეს.

საქართველო იარაღდება. სხვა გზა არ არის.

ჩვესსავე მიწაზე გადამთიელებმა სამოქალაქო ომი გაგვიმართეს.

სხვა არა იყოს, რა, თავი მაინც უნდა დავიცვათ.

კინოსახლთან მიტინგი გაიმართა 5 საათზე.

გამოვიდნენ აფხაზეთიდან ჩამოსული ქართველები და ილაპარაკეს, თუ რა ბარბაროსულად დახოცეს უიარაღო ქართველები, როგორ სცემეს გამომცდელებს და აბიტურიენტებს.

ძირს გულისამრევი, დამდედლებელი, ყველაფრის დამთმობი ინტელიგენტობა. კბილი კბილის ნილ!

19/VII 89

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა გავმართეთ აფხაზეთის საკითხზე.

ყველამ სათითაოდ გამოვთქვით ჩვენი აღმფოთება მომხდარი ფაქტის გამო.

მაშუარაზი

როგორ ირწეოდა სოხალდი

კერძოდ, რა საქმეს?

ჯერ საუკეთესო სავარგულები წაართვეს დილომს და იმ ადგილებზე, რომელიც მწვანელებს ეკუთვნოდა ქალაქს, „დიდი დილომი“ ააშენეს.

ამასაც არ დასჯერდნენ, ქალაქი იზრდება და ახლა დარჩენილ 250 ჰექტარსაც ართმევენ ლამის უმიწოდ დარჩენილ სოფელს.

გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს დიდმელებსა და საინჟინრო-ინდუსტრიულ ხელისუფალთ შორის.

სოფლებზე ბარიკადები აღმართეს და უკვე მესამედ გააბრუნეს უკან ცემენტითა და სამშენებლო ტექნიკით დატვირთული მანქანები.

ეს „აქცია“ (ასე მოდაში რომ შემოვიდა ამ ბოლო დროს) დიდმელებს ინდუსტრიის წინააღმდეგ რეზერვაციამა შეერეკვის შიშით შეპყრობილ ინდელითა მსგავსად კი არ მოუგონიათ, ეს ურბანიზმთან მებრძოლი გაჭირვებული სოფლის ამბოხება კი არ არის, ისინი თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისთვის იბრძვიან,

თუ ეს 250 ჰექტარიც დათმეს, ეს იმას ნიშნავს, რომ დილომი აღარ იარსებებს, უნდა აიყაროს ათასწლოვანი ქართული სოფელი და ქალაქს უნდა შეეხიზნოს. მე-ბოსტნე-მწარმოებელი უნდა ჩაკლას თავის თავში და მომხმარებელთა მოსაწყენ რიგებს მიემატოს.

სხვა მხრიდანაც შემოუტია აგრესიულმა ინდუსტრიამ დილომს. სოფლის ბოლოს მეცხოველეობის ფერმების გვერდით ცემენტის ქარხანას აშენებენ.

ჯერ ერთი, ცემენტის ქარხანას რა უნდა თბილისთან ასე ახლოს. წუთუ თბილისის ისედაც მონამულულ ჰაერს ცემენტის მტვრით დამბუვდება აკლია.

თბილისი ხომ თავისი ლანდშაფტით დიდი ქალაქისთვის სრულიად შეუფერებელ ტაფობშია მოქცეული. ტაფობი კი ბუნებრივი ვენტილაციის პირობებს ზღუდავს და ზემოდან რომ დაეხედოთ თბილისს, წელიწადის ყველა დროს აღმოვაჩინებთ ქალაქის თავზე დაკიდებულ მომწამვლელ ჯანღს. დაემატება „ამ სიკეთეს“ ცემენტის ქარხანა და თბილისში სუნთქვა საერთოდ შეუძლებელი გახდება.

თუ ცემენტის ქარხანა აშენდა, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ იმ დღეებზე უნდა გაქრეს იმ შემოგარენიდან საძოვრების უქონლობის გამო ისედაც შეჭირვებული დიდმელთა პირუტყვი?

ვინ მოამარაგოს თბილი, ბუნებრივი რძით დედაქალაქი? ახლა რომ დიდმელები ნატურალური რძის ქალაქის ფონდის ნახევარს თბილისს აწვდიან. გადავიდეთ მთლიანად ფხვილ-რძეზე და არაქართული სოფლების მერყევი ორიენტაციის იმედზე ვიყოთ?

ინდუსტრიის ალყა მესამედ მხრიდანაც მოაწვა დილომს.

გაუთავებელ საბოსტნე-სააგარაკე დოღში ეს უმიწო სოფელიც აღმოჩნდა ჩართული.

ჩვენ ხომ აგარაკიც ახლოს უნდა გვქონდეს, აქვე, ქუჩის ბოლოში, ერთი ხელის განვადნებაზე.

ოდითგან დიდგორს ეძახიან, ხოლო დიდგორის ველს მარჯვენა მხარეს აკრავს ხევი, რომელსაც ჩახერგილას ხევეს ეძახიან.

დიდგორის ბრძოლის ადგილის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში საბოლოო შეთანხმება არ არსებობს. მე ვფიქრობ, საკმაოზე მეტი არგუმენტები იმ მოკამათეთა მხარესაა, ვისაც მიაჩნია, რომ დიდგორის ბრძოლა სწორედ აქ უნდა მომხდარიყო. უკანასკნელ ათწლეულებში დიდგორის ბრძოლის ადგილად მიჩნეულია ტერიტორია, სადაც მემორიალი უნდა აღიმართოს, ეს ადგილი მთიანი რელიეფისა და ციცაბო ზედაპირის გამო ხუთასი ათასამდე ერთმანეთს შერკინებულ ლაშქარს ვერ დაიტევდა. ესეც არ იყოს, თბილისის დაცვა სწორედ აქ, ამ „დილომის“ დიდგორში“ მოხდებოდა და არა თბილისიდან საკმაოზე მეტი მანძილით დაშორებულ ადგილას, ხოლო ხევი „ჩახერგილაც“ ჯიუტად მიგვანიშნებს ისტორიკოსთა ცნობებზე დავით აღმაშენებლის საოცარი სტრატეგიული ნაბიჯის გამო.

ეს საკითხი გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე ერთხელ უკვე დაიხსენა, მაგრამ ისტორიკოსთაგან არავინ გამოხმობაურება. დიდგორის ნამდვილი დიდგორობაში ისიც გვარწმუნებს, რომ ველზე არაერთი სალოცავ-ნიშნა და ბულდოზერის ნიჩაბს მინიდან ხშირად ამოჰყვება ხოლმე კაცის თავის ქალა.

ჩვენ, მსოფლიო პრობლემებს შეჭიდებულებს, არქეოლოგიურ ძიებათა ინტერესით დედაქალაქიდან განუშლავს, ხანდახან ახლო ყური, უპირველესი ჭიშკარი გვაინყვდება ხოლმე.

დილომი საქართველოს დემოგრაფიული მოვლის, ეროვნული სისუფთავისთვის ბრძოლის ჩვენი წარსულის ატრიბუტების შენარჩუნების ორგანული ნაწილია და დროულ ყურადღება-მკურნალობას მოითხოვს.

სახელდობრ: სოფელ დილომს დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს უსამართლოდ ჩამორთმეული 250 ჰექტარი, უნდა გადაისინჯოს და გაუქმდეს დილომის სიახლოვეს ცემენტის ქარხნის აშენების პროექტი და ისტორიკოსებმა დროულად შეისწავლონ დიდგორის ველის პრობლემა საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი, ძლევამოსილი ომის ჭეშმარიტი ადგილის დასადგენად.

ეს ფიქრები აღძრა ჩემში დიდმელებთან შეხვედრამ.

14/VII 89

თიანეთს ვესტუმრე.

რაიკომის პირველი მდივანი მოკრძალებული, წესიერი ბიჭი ჩანს — ნოდარ მგელიაშვილი.

საქართველოს უნდა ვუშველოთ, საზღვრები უნდა გავამაგროთ, ერთმანეთს მხარი უნდა მივცეთ-მეთქი, ვუთხარი თიანელებს.

გამოცილებისას ნოდარმა მკითხა: ბატონო რევაზ, ჩვენთან საქართველებული ოსები ცხოვრობენ, მოითხოვენ პასპორტ-

აფხაზი ტერორისტები არ ცხრებიან, ქართველებს აპატიმრებენ და მიქვლად იტოვებენ.

გზებზე ბარიკადებია აღმართული. დაღუპულთა რიცხვმა 18-ს, დაჭრილთა რიცხვმა 300-ს მიაღწია.

ტრასაზე მიმავალ მანქანას ქართული ნომრებით განუკითხავად, პარტიზანულად ესვრიან ფანჯრებიდან.

მილიცია მკვლელთა „ვერალმოჩენის“ პოლიტიკას ადგას.

ამ და სხვა საკითხებზე იყო ცხარე საუბარი პრეზიდენტის სხდომაზე.

გადაწყვეტილი, განცხადება გავაკეთოთ მთელი ქვეყნის გასაგონად.

ტექსტის შედგენა დაგვევალა რევაზ ჯაფარიძეს, ტარიელ ჭანტურას, რომან მიმინოშვილს, გურამ გვერდნითელს, კობა იმედაშვილს და მე.

ტექსტი მე შევადგინე. გავაცანი ხუთეულს. მეთანხმებიან. ხვალ ეს ტექსტი პრეზიდენტს უნდა განვიხილოთ.

20/VII 89

პრეზიდენტზე ოთხსაათიანი კამათი გვექონდა განცხადების ტექსტთან დაკავშირებით.

დაახლოებით ერთი, გაბედული, უკომპრომიზო აზრისანი ვართ: მე, მორის ფოცხიშვილი, გურამ ფანჯიკიძე, მუხრანი (ნანილობრივი), შოთა ნიშნიანიძე, მედეა კახიძე, რევაზ ჯაფარიძე, რომან მიმინოშვილი, ენვერ ნიჟარაძე...

შიშის, დათმობის, ქვეშევამოსვლის, აუხსნელი სიფრთხილის პოლიტიკას ადგანან სხვები.

ვინ იცის, იქნებ ეს უკანასკნელი მართალი არიან, მაგრამ დათმობამ ჩვენ 70 წლის განმავლობაში კარგი არაფერი მოგვიტანა.

რისი გვეშინია, რა გვემართება?

ნუთუ მამულისთვის თავდადების გრძნობა ასე ერთბაშად ამოვიღეთ გულიდან? „მორჩილმა უმრავლესობამ“ თავისი გაიტანა.

კბილებით დავტოვეთ, რაც გაბედულია ჩვენს განცხადებაში.

ბევრი რამ, რასაკვირველია, არ მომწონს. ხვალ დაიბეჭდება „ლიტერატურულში“.

21/VII 89

ჩვენი პრეზიდენტის განცხადებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

მუხრანმა მითხრა, მწერალთა კავშირში უამრავმა კაცმა დარეკა საქებარი სიტყვებით, ხოლო მთავრობა ჯერ დუმსო. სალამოს ტელევიზიით სახალხო ფრონტის წარმომადგენლები გამოვიდნენ.

გამიკვირდა. ესენიც „კეთილგონიერებისკენ“, „დამორჩილებისკენ“, „პატიებისკენ“ მოგვინოდებენ.

გასკდი გულო! რა დაგვემართა ასეთი? ველური ბრბო გვხოცავს და ჩვენ მოთმინებისკენ მოგვინოდებენ.

ვინ ლაპარაკობს ქართველი ერის სახელით?

ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ რა უფლება აქვთ, ერის სახელით ილაპარაკონ და ქვეყანას მორჩილი, ნელ-ნელი სიკვდილისკენ მოუწოდონ?

როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი სააკაძე, ერეკლე...

ნუთუ ჩვენი პატრიოტული ისტორია არაფერში აღარ უნდა გამოგვადგეს? მტერს მტრულად უნდა დახვდეთ.

„ახკომის“ რედაქტორმა მითხრა: თქვენს სტატიას — „რა გადაარჩენს საქართველოს“ — ამ ვითარებაში ვერ დავებჭდავო.

გიგა ლორთქიფანიძე დაბრუნდა აფხაზეთიდან. იმათთან ლაპარაკი არ შეიძლება, „ტუზემცებივით“ ჩხავიანო.

22/VII 89

შაბათია. რადიომ გადმოსცა, რომ ოჩამჩირეში ორი რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი მოუკლავთ.

ცუდი ფაქტია. ნეტა ვინ მოჰკლა, რა ვითარებაში — ჩვენი ინფორმაციის საშუალებებიდან ხომ სიმართლეს ვერ გაიგებ?

მეშინია, ესეც ჩვენ, ქართველებს არ დაგვბრალდეს.

სალამოს ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ საქ. კომპარტიის აფხაზეთის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა რამდენიმე ბიუროს წევრი ტარკილი, ნულაძე, კობახია გაათავისუფლა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა გივი ანჩაბაძე-ცეკას ყოფილი მდივანი.

გ. ანჩაბაძისთვის ეს დაქვეითება. ჭორი დადის, რომ მას ერთ თვეში საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩევენ.

ვნახოთ. რას ნიშნავს ეს ცვლილებები? ნუთუ შურადაცხოვრილი შევარდნაძე არაფერს მოიმოქმედებს?

23/VII 89

მთელი დღე ვწერ ნოველას „იაპონელი“. სალამოს მუხათნყაროში გავიარე.

შევხვდი და ველაპარაკე იქ მცხოვრებ ინტელიგენტებს: რევაზ ნემსაძეს, გივი ზაუტაშვილს, მერაბ ბერაძეს, გურამ სიხარულიძეს, ჯამბულ ბახტაძეს — აფხაზეთის მთავრობის ცვლილებებზე ყველა ერთი აზრისაა — გუმბარიძემ მთავრობიდან ქართველები გაიყვანა და აფხაზები შეიყვანა.

გასაგებია ეს პოლიტიკა: რუსს სურს აფხაზეთი წაგვართვას, საქართველოს ხელისუფლება მარიონეტულია. ასე რომ, ჩვენთვის, ქართველებისთვის, სასიკეთო ამათავს არაფერია მოსალოდნელი.

რუსსაც და ქართველსაც (შევარდნაძე და კამპანია) გაყიდული და განწირული ვყავართ.

24/VII 89

თბილისში დაიწყო საქართველოს ხელისუფლებისადმი მიმართული საპროტესტო დემონსტრაცია-გაფიცვების ახალი ტალღა.

მღელვარება გამოიწვია სოხუმში გამართული პლენუმის შედეგებმა და საქართველოს მთავრობის გამყიდველმა ორიენტაციამ.

რა მოხდება ხვალ? მე უკვე შიშისა და სიფრთხილის მიჯნას გავცდი.

მოსახდენი უნდა მოხდეს. საქართველო უნდა განიწმინდოს!

25/VII 89

ნოდარ ჭითანავას შევხვდი. შემოუბრუნებულა სქარათველოს მდგომარეობით და აფხაზეთის ამბების მოსალოდნელი შედეგებით.

მოურიდებლად ვუთხარი: ყველაფერი გ. გუმბარიძის და შენი ბრალია-მეთქი. გაუბედავი ხალხი აღმოჩნდით. ვერც ერთი საკითხი ბოლომდე ვერ მიიყვანეთ-მეთქი. რაც თქვენ აფხაზეთში ჩაიდინეთ (ხელმძღვანელობაში აფხაზური ფრთის გამაგრება) ეს მალე მარნეულის და ოსეთის ახალ აჯანყებად მოგვევლინება-მეთქი. რაკი აფხაზებს ჩვენი ძალა ვერ ვუჩვენეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვები სულ კისერზე წამოგვაჯდებიან-მეთქი.

თუ არ შეგიძლიათ ქვეყნის მართვა, გადადეთ-მეთქი.

შეწუხდა ჩემი შეტყვიით. მართალია, ჩვენც გაუბედავობა გამოვიჩინეთ, მაგრამ მთლად ჩვენი ბრალი როდია ყველაფერი.

იცოდეთ, ჩვენც ისევე დაგვსდევს და გვაკონტროლებს მოსკოვი.

ყველაფერი „ცენტრმა“ გვიკარნახა. ანჩაბაძის ვარიანტიც მოსკოვიდან მოდისო.

არ გირჩევნიათ ამ საძრახის მარიონეტობას, დაიხუროთ ქუდი და ნახვიდეთ შინ-მეთქი?

ადრე თუ გვიან ასეც მოვიქცევითო. უნდა დაიწეროს ვრცელი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გააკეთეთ აფხაზეთში ქართველთა მხარდასაჭერად, საქორაო ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს პრესაში და ხალხმა ნაიკითხოს-მეთქი.

საერთოდ, ნ. ჭითანავა ჭკვიანი, პატრიოტი კაცია, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს.

26/VII 89

დილის ათ საათზე მივუტანე ნ. ჭითანავას წერილი „აფხაზეთის ამბების გამო“, „კომუნისტში“ გამოსაქვეყნებლად შუამდგომლობა ვთხოვე.

ნაიკითხა. ძალიან გაბედულიაო. ადგილები შეარბილა. ხელახლა გადავბეჭდეთ. ნ. ჭითანავას თანაშემწე მშვენიერი ბიჭია — სოსო სტურუა (დევის ბიჭი).

ნ. ჭითანავას კაბინეტში ჩემი ყოფნის დროს ზვიად გამსახურდია შემოვიდა. მოგვესალმა და პირდაპირ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა:

— ხომ გთხოვთ, ქართველთა დევნას თავი დაანებოს მილიციამ და უშიშროება-მეთქი.

იცით, როგორ ელაპარაკებოდა? როგორც ჩინით უფროსი, ჩინით უმცროსი. — რა მოხდაო, — ჰკითხა ნოდარმა.

— ნალენჯიხაში არაფორმალური დაუბატიმრებელი და დაუყოვნებლივ გაათავისუფლონო, თუ არა და ასიათასკაციანი დელეგაციას მოვიყვან ხვალ, 12 საათზე, აქაო.

ნ. ჭითანავა ტელეფონს მიწვდა. მაშინვე დარეკა ნალენჯიხის რაიკომის მდივანთან და დაავალა, მანდ მილიციაში თავდასხმის მცდელობაში ეჭვმიტანილი ახალგაზრდების საქმე კარგად გაარკვიეთ და, თუ მართლები არიან, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონო.

ზვიადმა მადლობა გადაუხადა და გავიდა. ესაა ზვიადი. ვერ გაიგებ, ვის უპყრია ხელთ ფაქტიური ხელისუფლება.

27/VII 89

ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა ეკონომიური დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

საკავშირო სესიაზე გვიან ლამემდე გაგრძელდა კენჭისყრა.

როგორც იქნა, გაიმარჯვეს ბალტიისპირელებმა, მაგრამ კენჭისყრის შემდეგ მიხვდნენ რუსები, რომ შეცდომა დაუშვეს.

დაიწყო დეპუტატთა გამოსვლები: ამ სამი რესპუბლიკის ტერიტორიაზე რომ საკავშირო ქარხნები და კურორტები გაშენებული, ის ვისი იქნებაო, მაგრამ რალა დროსი იყო.

შევისყიდით ყველაფერსო, ჭკვიანმა ბალტიისპირელებმა.

ესეც ასეა. ეს უკვე რღვევის სერიოზული სიმპტომაა.

საქართველოს კვლავ ენერგიულად აძინებს საქართველოს მთავრობა.

28/VII 89

შეხვედრა მომინყვეს სოფელ ნილკანში. დიდებულია ნილკნის ტაძარი.

ხალხს მოვწუოდე საქართველოს გადარჩენისკენ.

ვუპასუხე შეკითხვებს. მეკითხებოდნენ საქართველოს მთავრობის უნიათო პოლიტიკაზე, უსუსურობაზე, ანტიერესებდით, რატომ არ ისჯებიან მკვლელები, რატომ ადგას გუმბარიძე დამთმობ პოლიტიკას.

შეხვედრა გვიან ლამემდე გაგრძელდა. მერე გვექონდა მცირე ტრაპეზი ნილკნელ კაცთან — ომარ ალსაბაძესთან.

29/VII 89

დღეს „ახალგაზრდა კომუნისტში“ ჩემი წერილია სათაურით „რა გადაარჩენს საქართველოს“.

ოდნავ შეუმცირებიათ. ამოულიათ ის ადგილები, სადაც მოვითხოვ აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიათა გაუქმებას.

ჩემმა ძმისშვილმა, ეკა მიშველაძემ, მესამე ხუთიანი მიიღო. უნივერსიტეტში ჟურნალისტიკაზე აბარებს. ჭკვიანი გოგაო.

გაზეთებში (განსაკუთრებით „კომუნისტში“) კვლავ საქართველოს ხელისუფლების დედლური, შემრიგებლური პოლიტიკის მხარდამჭერი მასალებია.

მხოლოდ „ლიტ. საქართველო“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მალადიოჟ გრუზი“ აქტიურობენ და რაღაცას ბედავენ.

30/VII 89

სულსმემუხთველი სიცხეა თბილისში. აგარაკს შევაფარე თავი, მაგრამ იქაც ცხელა.

ნუხელის, გვიან ლამით, საქართველოს ტელევიზიამ სამი აფხაზი გამოიყვანა ტელევიზიით. ლაპარაკობდნენ, ჩვენ ხომ ძმები ვართო, როგორ შეიძლება, ჩვენს შორის ჩხუბიო.

გული ამერია. რასაკვირველია, ჩვენ დაგვხოცეს და სამაგიერო რომ არ გადაუხადოთ, ახლა „შერიგებაზე თანახმა არიან“. აშკარად ჩანს, გვატყუებენ.

რა პრიმიტიულად აზროვნებს ჩვენი ცეკა. 31/VII 89

აჩიკო გოგელიამ დღეს დიდი სიმპათია მოიპოვა ტელემაყურებელთა თვალში.

ერთი კვირაც არ არის, რაც ტელევიზიის დირექტორად დანიშნეს და ამ სალამოს ერთბაშად დაამსხვრია რუტინის ყინული, რაც ტელევიზიას სულს უხუთავდა.

„დილოგი“ — საუბრობენ გია ჭანტურია, ლოვარდ ტუხაშვილი, ნოდარ ნათაძე, ნოდარ ნულესკირი.

დიდებული, მართალი საუბარი იყო; ჩვენი მომავლის გზებზე, არჩევნებზე, ხელისუფლების საქმიანობაზე, მესიამოვნა, რომ ზუსტად ემთხვეოდა ჩემი აზრები ოპოზიციონერთა აზრებს.

ყოველშემთხვევაში, ეპოქას ჯერჯერობით არ ჩამოვრჩი და მიხარია. სიბერე (აზრის) ჯერ შორსაა.

1/VIII 89

მთელი თბილისი ნუხელის ტელევიზიით „არაფორმალთა“ დილოგზე ლაპარაკობდა.

გიამ ერთბაშად დაამტკიცა, რომ იგი „დარტყმული ექსტრემისტი“ კი არა, ჭეშმარიტად პოლიტიკური მოღვაწეა.

ოთარ ქვილითაიასთან (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) მივყვი მხატვარ დემურ ბაშაღიშვილს, რომ ელესაც უნდა კულტურის ასოციაცია „პეგასი“ ჩამოაყალიბოს.

ნათლად, გამოკვეთილად ვერ გამაგებინა, რა საჭიროა კიდევ ერთი ასოციაცია, მაგრამ მაინც მივყვი და ქვილითაია დიდი ყურადღებით მოგვიკვიდა. რომ იტყვიან, „საკითხი დადებითად გადაწყდა“.

დავიწყე ნოველის წერა ლენინზე. ლენინი იღვიძებს და მოსკოვში დადის. ვნახოთ, რა გამოვა.

2/VIII 89

დავასრულე ნოველა ლენინზე, რომელსაც „მავზოლეუმი“ ვწვინო.

თანამედროვე მოსკოვში მოსიარულე ლენინი, რომელიც გაოცებულია, ეს რა მახინჯი სოციალიზმი აგვიშენებიაო, იცნო ვილაცამ. მარქსის ძეგლის წინ ჩამოსხდნენ და საუბარი დაიწყეს.

უცნობი ბრალს სდებს ლენინს მარქსიზმის დამახინჯებაში, ამ სამოცდაათწლოვანი უაზრო ექსპერიმენტის ლიბოსდადებაში.

ლენინი თავს იმართლებს, მაგრამ ლოგიკა და ისტორიული სიმართლე უცნობის მხარეზეა.

ბოლოს, ხდება ისე, რომ ლენინი მავზოლეუმში აღარ ბრუნდება.

მე ვფიქრობ, უკანასკნელ წლებში დაწერილთაგან ჩემი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და გაბედული ნოველაა.

ახლა მთავარია, როგორმე მივალნიო მის დაბეჭდვას.

3/VIII 89

„კრიტიკის“ მონინავეს ჩავუმატე აფხაზეთის საკითხი.

ვთქვი ის, რაც არაერთხელ მითქვამს ამ დღეებში სხვადასხვა შეკრებებზე.

რატომ ჭიანჭურდება მკვლელების დასჯა, რატომ ადგას საქართველოს მთავრობა დროის გაყვანის საძრახის პოლიტიკას-მეთქი.

4/VIII 89

„კომუნისტში“ გურამ ფანჯიკიძის წერილზე ვილაც იურისტის ბნელი გამოხმაურებაა.

შენაო, გურამს ეუბნება, ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგო გზას ადგებარო.

როგორ შეიძლება, ახალგაზრდებს უიკიჟინო: გონებას მოუხმეთ, ნუ იქნებით მაქსიმალისტებიო.

გადავაბეჭდინე ნოველა ლენინზე სათაურით — „მავზოლეუმი“.

არა მგონია, მისი დაბეჭდვა ვინმემ ჯერჯერობით გაბედოს.

5/VIII 89

ნალვლის ბუშტმა ძალიან შემომიტია და რაჭას გავემგზავრე — უწერაში.

რაჭა ძალიან მიყვარს.

6/VIII 89

უწერაში ვარ. სალამოს მე და ნათელა ათასწლოვანი ცაცხვის ძირას ჩამოვჯექით.

ჩვენს ირგვლივ რამდენიმე წუთში ცნობისმოყვარეთა უზარმაზარი წრე შეიკრა.

კითხვა-პასუხი... კითხვა-პასუხი...
ლამის ორ საათამდე ვიქაქანე.
დალილიმა დავიძინე. ცუდად მეძინა.
საერთოდ, ახალ გარემოში პირველ ღამეს ვერ ვიძინებ.

7/VIII 89
სანატორიუმის კლუბში შეხვედრა მომინეცეს.

კულტმუშაკმა (მერაბი) შეხვედრის გახსნისას გამოაცხადა; ორი დღეა რევაზ მიშველაძეს მოსვენებას არ აძლევთ შეკითხვებით, თქვენი თხოვნით გადავწყვიტეთ, შეხვედრა მოვუწყოთ და რაც შეეძლება გაქვთ, ახლა მიეცით, რომ მერე მაინც დავასვენოთ.

არ გამოვიდა ურიგო შეხვედრა. ყოველ ჩემს პასუხს დარბაზი ტამის გრილით ხვდებოდა.

სალამოს „მომამბეში“ გვაცნობა, რომ 9 აპრილის „გმირი“, სისხლიანი როდიონოვი, მოსკოვმა სხვა სამსახურში გადაიყვანა. ამიერკავკასიის ჯარების სარდლად სხვა რუსი დაინიშნა.

როდიონოვი მოსკოვის სამხედრო უნივერსიტეტის პრორექტორია.

8/VIII 89
უნერაში ვარ.
საინტერესო არაფერი მომხდარა.

9/VIII 89
„მომამბეში“ გამოაცხადა, რომ მარნეულის გაერთიანებული რაიკომის მდივნად არჩეულია რ. მემარნიშვილი.

ბარაქალა, გუმბარიძე, ძლივს მარნეულში ქართველი რაიკომის მდივანი დაბრუნდა.

გუმბარიძე დადის თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში და სთხოვს მუშებს, არ გაიფიცონ.

აფხაზეთიდან ჯერჯერობით არაფერი ისმის. ამ დილით უნერაში ხმა გავრცელდა, ოზგანი დაიჭირესო.

ორიოდე საათის შემდეგ გაირკვა, რომ ჭორია.

10/VIII 89
მთელი დღე ვწერდი სტატიას „რა გვჭირს, რა გვიშველის“.

თოთხმეტგვერდიანი სტატია ერთ დღეში, სულ რაღაც სამ საათში დავწერე.

თითქოს მკარნახობდა ვიღაც. სიტყვები თავისთავად მომდიოდა. პირდაპირ ყურში ჩამესმოდა. მე მხოლოდ ვწერდი.

11/VIII 89
მშვენიერმა გოგონამ, ეკა ხერხეულიძემ შოვში მომძებნა, მომიტანა წმინდა ილია მართლის საზოგადოების ორგანო — ჟურნალი „საქართველო“, 2.

მშვენიერი პოლიტიკური ჟურნალია. აშუქებს მართლ საქართველოს კი არა, საკავშირო გამათავისუფლებელ მოძრაობასაც.

კარგი წერილებია კოსტავასა და ჭანტურიასი.

განსაკუთრებით ცუდ დღეშია ლენინი. დაბეჭდილია ლენინის რეზოლუციები და წერილები. შეუბრალებელ, მკაცრ, არადემოკრატიულ, ვერაგ კაცად ჩანს „პროლეტარიატის ბელადი“.

ყოჩად, ახალგაზრდებო!
12/VIII 89

დღესაც მენვია ეკა ხერხეულიძე. დიდხანს ვისაუბრეთ.

რა მშვენიერი აზრები აქვს. ეროვნულ მოძრაობას დღეს ბევრი საქმოსანი ეტმასნებაო.

განათლებული და, რაც მთავარია, მტკიცე რწმენის ქალი ჩანს.
13/VIII 89

ონი მოვიარეთ.
უძველესი პატარა ქალაქი.
ორიათასწოთასი წლის წინათ მოსულან აქ ებრაელები.

ჩვენ ხომ მეტად ბუნდოვნად ვიცით ჩვენი ისტორია. ყოველ შემთხვევაში, ორიათასი წლის წინა ისტორია.

რა კარგი იქნებოდა, ებრაელებს მაინც შეექმნათ თავიანთი მოსვლის შემდეგ დღეურები; რას წარმოადგენდა ონი და, საერთოდ, საქართველო.

ონის სახალხო თეატრი — თავდადებული გიგა ჯაფარიძე.

ვესაუბრე კოოპერატივ „რაჭის“ თავმჯდომარეს.

ჩამოვედიო თბილისიდან. შევექმენი ფერმა, ტკბილეულის საცხობი, კაფე. აღმასკომი, რომელსაც ქრთამს არ ვაძლევ, ყველანაირად ხელს მიშლისო.

დევი კაჭარავა ღვინოს ვერ მოვწყვიტე. მე წვეთი არ დამიღვია.
14/VIII 89

გურამ მეტრეველმა მომაკითხა და მდინარის პირას, ბალახზე სუფრა გავმალეთ.

ხუთნი ვუსხედით.
ვისაუბრეთ გემრიელად. გემრიელი საუბარი ჰქვია, როცა არსად გეჩქარება და ყველაფერს იტყვი, რაც ქვეყანაზე იცი. რომ იტყვიან, გულს მოიხებენ.

მაქვს, მაღიდე, როგორც ქართულ სუფრას ჩვევია.

ბოლოს უეცრად სევდამ შემიპყრო და კრჭა შემეკრა. ვიფიქრე, ჩვენ აქ ერთმანეთს ვადღეგრძელებთ, საქართველო კი ჩვენს თვალწინ ილუპება-მეთქი.

გული კინალამ გამიხეთქა უმწეობის შეგრძობამ.

რას ვუკეთებ მე, პირადად საქართველოს? დასჭირდება ვინმეს ჩემი ნაჯღაბნი? შუალამისას გამეღვიძა.

საშინელი დელგმა-წვიმია. რიონის ღრიალი აყრუებს გარემოს.

ჩაქრა სინათლე. ალბათ, მეხი დაეცა ელექტრობოძს.

დილადავ ავივანე ვიჯექი. გულს მაზიდვინებს.

არ მინდა, ჩემები გავაღვიძო.
15/VIII 89

დილით ხუთიოდე კაცი რიონისპირს ჩავყვევით.

საშინელ სტიქიას დაუნგრევია წუხელის გზები, დაუტბორია სახლები, მოუტაცნია საქონელი.

წალექილია მდინარის პირას სახერხი და წყლის ჩამოსასხმელი ქარხნები.

მივეშველეთ მე და ჩემი შვილი, აჩიკო, ატირებულ გლუხებს, რაც შეგვეძლო. გაჭირვებულს შველა ხომ აჩიკოს სტიქიაა.

არც ერთი ბუღალაზერი არ ჩანს. უპატრონო ქვეყანაა.

დასწერენ ხვალ გაზეთში: ოპერატიული შტაბი შეიქმნა.
16/VIII 89

უნერა წყალდიდობამ ლამის მოწყვიტა ცივილიზებულ სამყაროს.

მეორე დღეა სანატორიუმში არ არის წყალი, სინათლე...

ონამდე გზა დაკეტილია. შოვიდან ვერტმფრენებით გაჰყავთ დამსვენებლები.

შემხვედ ვიღაც კაცი, რომელმაც მაცნობა, რომ ინგლისელმა პრავაკატორმა ჰი-უიტმა (აფხაზთა ქომავლობა რომ უღირსად იკისრა) ტელევიზორში გაგლანძლო...

ასეა, ჩვენ ქომავ-პატრონი არავინა გვყავს. უნერაში უწყალოდ და უსინათლოდ გაჩერება შეუძლებელია.

თუ ასე გაგრძელდა, ხვალვე უნდა ავიბარგო.

ნეტა, რა ხდება თბილისში?
15-ში დაუმორჩილებლობის კვირეული უნდა გამოეცხადებინათ. მოაბეს თავი? გულს მიღრღნის უმწეობის გრძნობა.
17/VIII 89

ამბროლაურ-ტყიბულის გზით ჩამოვბრუნდით მე და აჩიკო.

მანქანა აჩიკოს მიჰყავს. მიხარია, ვაჟკაცი მომესწრო.

სად მივდივარ? რა მინდა?
მინდა, აჭარაში გავიარო. იქაურთა განწყობილება გავიგო, დავწერო რამე. ბარაკონის ეკლესიაში და ნიკონწმინდაში შევჩერდით.

კისერი მომელრიცა, თვალები უკან მრჩება.

„რა ხელმა ააგო“...
წვიმს მთელს დასავლეთ საქართველოში. წვიმს ჩემს გულშიც.
სალამო ქობულეთში, „საქართველოში“, დაეზინავდით.

აქედან ვივლი აჭარის „დასალაშქრავად“. აჭარა ჩემი საყვარელი კუთხეა.
18/VIII 89
თავი დამძიმებული მაქვს.

ზღვაში არ ჩაისვლება. ზღვა ამღვრულია და ბობოქრობს.

მე და ფანჯიკიძე ვსაუბრობთ. ფანჯიკიძეს და მე ბევრი საერთო გვაქვს. ორივეს მებრძოლი, შეუპოვარი ხასიათი გვაქვს.

საერთოდ კარგი, ქვეყნისთვის საჭირო კაცია.
19/VIII 89

შემოვიარე ქობულეთი. შევხვდი და ვესაუბრე უბრალო ადამიანებს.

ყველანი აღშფოთებას გამოთქვამენ საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობის გამო აფსუათა წინააღმდეგ.

გულამღვრული დაებრუნდი.

საითაც გაიხედავ, სრული იგნორირება ჩვენი ეროვნული სატიკვარისა.

მომსახურების სფერო რუსულად, წარწერები რუსული, კატერებიც კი რუსულ ენაზე გთავაზობენ გასეირნებას.

საქართველოში „საკურორტო ენა“ რატომღაც რუსულია, აფხაზეთშიც და აქაც.
20/VIII 89

ჩემი ჩამოსვლის წინა დღეს აქ თბილისელი ბიჭი (17 წლის) მოუკლავს დანით თანატოლ თბილისელ ბიჭს.

დმერთო, რა უბედურებაა. ვერც ამ ეროვნულმა ბრძოლამ გაგვაერთინა?

არ არის დრო, ქართველებმა ერთმანეთის კბენას თავი ვანებოთ და იარაღი ჩვენი ეროვნული მტრების წინააღმდეგ მივმართოთ?

დღეს შევხვდი და ვესაუბრე ჟიული შარტავას.

დიდი განათლების დონით არ ბრწყინავს, მაგრამ, ეტყობა, მტკიცე ხასიათის ბიჭია.

რასაც ამბობს, გულდაჯერებულად ამბობს.

მოსკოვში მუშაობს ახლა პარტიული კომისიის აპარატში.

ჩემს კითხვებზე ფრთხილი, ბუნდოვანი, ორაზროვანი პასუხი მომცა, თუმცა ჩანს, გულმხურვალე პატრიოტია. ნოსტალგია მკლავსო, მითხრა.

21/VIII 89
ქალბატონმა ანიკო ვაჩნაძემ, ლადო ასათიანის მეუღლემ მათხოვა ლადოს სალალობო, ფუნაგორიების რვეული.

გვიან ღამემდე ვკითხულობდი. რა მაღალი იუმორი აქვს, რა „დაუნდობი“ სიცილი სცოდნია ლადოს — ჩემს ნათლიას.

ამოვწერე რამდენიმე ფუნაგორია. უსათუოდ „კრიტიკაში“ უნდა გამოვქვეყნო. ახლა შეიძლება ზოგი მათგანის დაბეჭდვა. ადრესატების უმრავლესობა აღარ არის ცოცხალთა შორის.

ვესაუბრე სტალინის შვილიშვილს, ევგენი ჯულაშვილს. იგი იაკობის ბიჭია. მუშაობს მოსკოვში, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში. ორი ბიჭი ჰყავს. ცოლი ნოზაძეა.

არ ვიცი, სტალინობა ძნელი იყო თუ არა, მაგრამ სტალინის შვილიშვილობა ძალიან ძნელია. ჯერ ერთი, უამრავი თვითმარქვია სტალინის შვილიშვილია დღეს მსოფლიოში, მეორეც, ზოგი ისე მეკამათება, თითქოს სტალინი იყოს ჩემი შვილიშვილი.

მადლობა მითხრა „კრიტიკაში“ სტალინზე დადებითი აზრების გამოთქმისათვის. მეო, ამ ბოლო დროს, ძალიან მჩაგრავენო. ჩემი შვილი უნივერსიტეტში არ მიიღესო. ორივეს ვასწავლე ქართული და მინდა ქართველობა არ დაჰკარგონო.

სვეტლანა ლონდონში ცხოვრობსო. ამბობს, რომ ველურებში (საქართველოში) ვერ გავძელიო. ევგენისთვის არ მითქვამს, რომ თბილისში სვეტლანა ალილუევას შევხვდი და დიდხანს ვისაუბრეთ. იგი ფაქტიურად გადმოსასახლა მოსკოვმა.

აფსუს, რუსთაველის ქვეყანავ?!
22/VIII 89

დავამთავრე ნოველა ლადო ასათიანზე და ანიკო ვაჩნაძეზე.

„ცხოვრება“ დავარქვი.

წერე იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს. რა გადახდათ. როგორ მოანერეს ხელი. როგორ გარდაიცვალა ლადო.

ლამის დოკუმენტური ნოველაა.

ნაშუადღევს ბათუმში გავემგზავრე. ერთ დროს კოპნია ბათუმი, ახლა მიტოვებული, მოუვლელის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ჭუჭყიანი ზღვა. ჭუჭყიანი ქუჩები. სალამოს ვესაუბრე მსახიობ ავთო მახარაძეს. ყველაფერი ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი რუსთაველის თეატრზე და რობიკო სტურუაზე.

დღეს თეატრი ეროვნული უნდა იყოს-მეთქი. ქართულ საქმეებს უნდა აკეთებდეს-მეთქი. არ შეიძლება, რუსთაველის თეატრის სცენაზე ქართველი კაცი არ იდგეს თავისი ტკივილებით და ფიქრებით-მეთქი.

სანამდე გინდათ, საგასტროლო რეპერტუარზე აავთო-მეთქი თქვენი შემოქმედება.

ყველაფერი დამეთანხმა. რა ვიცი, ზრდილობის გულისთვის, თუ თვითონაც ასე ფიქრობს.
23/VIII 89

ქუთაისიდან ფანჯიკიძეს ამოაკითხეს თეიმურაზ ლანჩავამ (ქუთაისის მწერალთა კავშირის ახლადარჩეული თავმჯდომარე), დავით მანდარიამ (სტამბის დირექტორი) და ბეჟან ნამიჭიშვილმა (გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორის მოადგილე) კარგი ქუთაისური პურმარილით.

ჩემს ქუთაისელებში ყოფნა განსაკუთრებულ სიხარულს მანიჭებს.

ფანჯიკიძე თბილისში იყო წასული და გვიან ჩამოვიდა.

ლანჩავას კარგი გეგმები აქვს. აპირებს, დააარსოს ლიტერატურული გაზეთი „ლიტერატურული ქუთაისი“, რომელიც ჯერჯერობით თვეში ერთხელ გამოვა.

მთხოვა, პირველი ნომრისთვის რამე მომეცო. მივეცი ახალდამთავრებული „ცხოვრება“. დამუშავება ვერც კი მოვასწარი, მაგრამ, მე მგონი, ცუდი არ უნდა იყოს.

საერთოდ, თ. ლანჩავა ნიჭიერი მწერალი და გულსხმიერი კაცია.

ნალვინეზე ზღვის პირას დიდხანს ვისეირნეთ.

ზოგჯერ ღვინო აუცილებელია, დარდს აქარვებს.
24/VIII 89

სანატორიუმ „საქართველოს“ დირექტორმა, შეხვედრა გვინდა მოგინყო დამსვენებელთა სურვილითო. მაგრამ უარი ვუთხარი.

არ მაქვს შეხვედრის განწყობილება, თანაც თავის გამოჩენასავით, ჩანყობილივით გამოდის.

სად იყო, სად არა, ჩემმა ძმაკაცმა სოსო ბუხაიძემ მომაკითხა.

დიდხანს ვისეირნეთ ზღვის ნაპირას მე, აჩიკომ და სოსომ.

სოსო დიდი განათლების პატრონია, მაგრამ უსისტემო განათლება აქვს, ყველაფერს ერთად ედება. შესახედავად ეზოპეს ამგვანებენ.

25/VIII 89
შევხვდი აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს გურამ ემირიძეს.

ვისაუბრეთ აჭარელთა ახალქალაქ-ბოგდანოვკის რაიონში დაბინავების პრობლემებზე. თქვა, რომ ყველაფერს აკეთებს, რათა ლტოლვილთა სახლები დროზე აშენდეს.

ახალქალაქელი და ბოგდანოვკელი სომხები ხელს გვიშლიანო.

ხომ ხედავთ, სომხებს უნდა ვკითხოთ, ჩავასახლოთ თუ არა ქართველები საქართველოში.

მერე დაწვრილებით მიაბზო ტრაგედიის ამბები მიმდინარე წლის აპრილში.

ვთხოვე, ის დამეწერილი ადგილები დამათვალეიერებინეთ-მეთქი. დახმარება აღმითქვა.

სალამოს ვახშამი გავგიმართა. ვახშამზე იყვენენ ლევან საყვარელიძე (ყოფილი ჯანმრთელობის მინისტრი), თემურ ჭანიშვილი (აკადემიკოსი), ომარ გრიგალაშვილი (პროფკავშირული მუშაკი), ზურაბ დუმბაძე (ექიმი) და დათო ციციშვილი (კულტურის ფონდი).

ემირიძემ გვიამბო, როგორ მოხდა ბათუმში ტაძრის კურთხევა და როგორ მოინათლა ერთბაშად 500 მაჰმადიანი ქართველი ქრისტიანად.

ეს აუცილებლად უნდა დავწერო.

გოჩა ხარანაული

უმართებლის დამმართველო,
ღმერთი მრჩება მეოხად,
ვაგლახ, ჩემო საქართველო,
უთავმოყვარეო ხარ!

ვერაფრით ვერ დაგეხმარე,
ველარ გამოგადექი,
შენ კი მარად ღვთაებრივი
ნათლის სვეტად მადექი!

ჩემო შეუდარებლო,
ნამალი ხარ წყლულისა,
აღბათ, გული გამისკდება
შენი სიყვარულისგან.

შენ არაფრის შეგეშინდეს,
რაც მივქარეთ უნდა ვზღოთ,
პატარაა საქართველო,
უფალია უსაზღვრო!

ყვავები მყავს გასახეხი,
მაგრამ რაში მარგია,
ზესთა კლიტის გასაღები
ქართველებში მარხია!

აქა-იქა

„მამულს - სიცოცხლე!
უფალს - დიდება!
„იმას“ - ფეხებით ჩამოკიდება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
იქ მთხლე, აქ კი რვალია,
ჩვენი მზე რომ დაილაქა,
ვიცი ვისი ბრალია!

ქათო იქა, ფქვილი აქა,
გულზეც ვარდი მეყარა,
ტილიანად, ჭირიანად,
ვინ აქცია ქვეყანა!

ვინ შეუჩნდა სახადივით,
საროს სულს და საროს ტანს,
სადაურსა სად ნაიყვან,
სადაური სად მოგყავს!

თქვენი გაძევება - ჩვენი აღზევება!
თქვენი განყალბება - ჩვენი დანყნარება!
თქვენი გაქარება - ჩვენი გახარება!
თქვენი გასვენება - ჩვენი დასვენება!
თქვენი წალდიდობა - ჩვენი ყანდიდობა!
მშვიდობა!
მშვიდობა!
მშვიდობა!

ამ შემოსეულ კალიებს ვერ
მოვურჩებით უვნებოდ,
რას ეძებთ საქართველოში,
თქვე ჯილაგმინგრეულებო?

დედითქვენისა დაკარგეთ,
თუ მამითქვენის ვალს ეძებთ,

აღარ თუ ელით ქართლშია
ხელაშვილებს და არსენებს!

საჯდომში გინდათ მარგილი ტანჯვით
სულამომშანთველი,
სად არის-მეთქი ადგილი
საქართველოში ქართველის?!

შინაურსა თუ გარეულს ბევრჯერ
ვუმსხვრიეთ სახსრები,
ჰაი, დედასა ქართველო!
ველარ დასხლიტე სასხლეტი!

არ დაუზავდე სიცოცხლეს
წინაპართაგან დანყველილს,
ეგ ჯადო ამოიცოხნე!
დაინყე! თუ ხარ დამწყები!

დაგვაჩოქეს და შემოგვკრეს,
გარეთ ვიცინით, შინ ვსტირით,
სიკვდილი საქართველოს მტრებს!
საქართველოს მტრებს სიკვდილი!

მიყვარხარ

გულიდან სულამდე, რწმენით ვარ
ტინად მე,
ხორციდან ძვლებამდე და ძვლების
ტვინამდე!
ვადიან მაჯიდან ფხას უნდა ვღებავდე,
ზვრებიდან ზვრებამდე, ზღვებიდან
ზღვებამდე,
პირველი მზერიდან თვალების
აკვრამდე...

აკვნიდან კუბომდე, კუბოდან
აკვნამდე...
ერთ მთიდან ცხრა მთამდე არ უნდა
დამთავრდე,
ერთ ციდან ცხრა ცამდე არ უნდა
დანარცხდე,
არ უნდა დანაცრდე, არ უნდა
დამარცხდე!

გუთნიდან ცელამდე, ლხინიდან
ცრემლამდე,
ზეციდან მიწამდე გენდე და გინამე!
ლერიდან ყანამდე, ყანიდან ლერამდე,
სულ უნდა ყვაოდე, სულ უნდა
ლეღავდე!
ლერნიდან კვირტამდე, კვირტიდან
ლერნამდე,

მტერს უნდა ტკვერავედე და უნდა
ლენავდე!
ლუნიდან კენტამდე, კენტიდან
ლუნამდე,
შენს ცისკარს ველოდე, შენს
ვარსკვლავს ვუცაადე!
არავის არ ვენდე შენს გარდა
დანარჩენს,
არ უნდა დანელდე, არ უნდა
დალაჩრდე!

ვეფხისგან დაფლეთილ ჯაჭვ-პერანგს
კემსავდე,
სულ შენი ჭირიმე, სულ შენი კვენესამე!
მხოლოდ შენ გეფრქვიე,
მხოლოდ შენ გეფინე,
მყოფობის მტვევანი ვინც დამაკრეფინე!
სადა ვართ მე და შენ!
რად მომენყურვილე!
სიცოცხლის ზედაშევიც დამანურვინე!

დამფქვი და დამნაყე! მაცილებს
მაცილე,

შენს ძვირფას წყლულებზე
მიმომინანილე!
მისხლიდან მისხლამდე, მოსვლიდან
მისვლამდე,
სისხლიდან ცრემლამდე, ცრემლიდან
სისხლამდე,

კელაპტრად მინთიხარ იმედის
სისხამზე!
არ ვიცი უშენოდ თუ სული მიმყვა და
მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!
მიყვარხარ!

ჩემი სიცოცხლე შენშია,
შენშია ჩემი სული,
შენა ხარ ჩემი ტკივილი
და სიხარული სრული!
შენ ჩემი თვალის ჩინი ხარ,
ჩემი გული და ღვიძლი,
შენით მწამს, შენით ვსასოობ,
შენით ვფეთქავ და ვიძვრი!
არ შემიძლია უშენოდ,
მე სხვა საშველი არ მაქვს,
უშენოდ პური ქვად მექცეს,
მინა შემერგოს არმად!

ეგ დედის გული მაცოცხლებს,
შვილებს ვერ სწირავ - ვირთხებს,
ავად მყოფ დედას მოვლაზე
ცივი უარი გითხრეს.

ეკლის ქვეშაგი დაგიგეს,
ლოდად ლალატი განვეს,
ავადმყოფს წამლის მაგიერ
შხამის ფილა გასვეს!

ყმად გსურვარ?! ყმად დაგიდგები,
მონად გჭირდები?! - მონად,
მტრისთვის ნარ-ეკლად ვიქცევი,
შენთვის იების კონად!

გუთნადაც გამოგადგები,
გუთნის დედადაც, ხარად,
სიხარულის ცრემლს მიმადგი
სიხარულისვე ღარად!


ღამეში გაგინაღლები,
წყვდიადს ჩავუხევე კალთას,
ფხიზელ ძაღლივით დამაბი
შენი სამოთხის კართან!

დაგჭირდეს ჩემი სიცოცხლე
სულ არა გქონდეს დარდი,
მშვილდისრად გამომიყენე,
გინდა, გოდოლად დამდგი!

ზაალ ნემსაძე

„ინგუში ხალხის ისტორია“

რაკი მეცნიერულ ტერმინოლოგია-ში არსებობს ცნება „კავკასიური რასა“ (რატომღაც ეს ტერმინი ამ ბოლო დროს მოდაში აღარ არის), ეს იმას ნიშნავს, რომ ამ „რასის“ ქოლგის ქვეშ გაერთიანებულ ტომებს ბევრი რამ გვაქვს საერთო. საერთოობაში ვგულისხმობ, არა ოდენ ანატომიურ მსგავსებას, არამედ საუკუნეთა განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრების შედეგად გამოშვებულ წეს-ჩვეულებებს: სტუმარ-მასპინძლობას, რაინდობას, პატრიოტიზმს, საყოფაცხოვრებო კულტურას და ა. შ.



ახლახან ინგუშეთის მოქალაქემ იუსუფ ზაუროვმა მწერალთა კავშირში ძვირფასი საჩუქარი მოგვიტანა. ეს გახლავთ ნურდინ კოზაევის ახალგამოცემული წიგნი „ინგუში ხალხის ისტორია“. ავტორი არქეოლოგიურ დოკუმენტებზე დაყრდნობით გვიამბობს ამ უძველესი და მაღალკულტურული ერის ისტორიას: გადიგრიალეს ურარტუს და ალანთა სახელმწიფოებმა, მათი საზღვრები აღიგავა პირისაგან მიწისა, მაგრამ გადარჩა თერგის ჩრდილო ნაპირებზე მცხოვრები ინგუშთა ტომი, რომელიც თვითდამკვიდრებისათვის მეზობლებთან უთანასწორო კვეთებაში ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა და დღეს ინგუშეთის ავტონომიად იწოდება რუსეთის შემადგენლობაში. ინგუშებს ვახუშტი ბაგრატიონი „საქართველოს გეოგრაფიაში“ ლილვის სახელით მოიხსენიებს. „ლილვის“ ახსენებს დავით გურამიშვილიც „ქართლის ჭირში“ („...ჩერქეზ, ლილვი, დიდო ქისტი...“). ინგუში ბავშვები სკოლაში თავიანთი ქვეყნის ისტორიას ნურდინ კოზაევის ამ წიგნით შეისწავლიან. კავკასიურ სახელმწიფოთა შორის ამ ბოლო დროს შესუსტებული კავშირების ფონზე „ინგუში ხალხის ისტორია“ ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი შენაძენია.



ბეჟან ნამიჭვიშვილი - 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბეჟან ნამიჭვიშვილის 70 წლის იუბილე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ბეჟან!
ჩვენი ძვირფასო მეგობარო! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ღირსეულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობის 50 წლისთავს.

1971 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილი „რა ბედი ეწია რომანს?“ მას შემდეგ ნაყოფიერად იღვწით ლიტერატურულ სარბიელზე და საგულისხმო წვლილი შეგაქვთ მშობლიური მწერლობის განვითარებაში, წინსვალასა და პოპულარიზაციაში. მას შემდეგ თქვენი კრიტიკული ნერილები, პუბლიცისტური სტატიები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურული დიალოგები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგნებად.

ქართველი მკითხველის მონონება დაიმსახურა თქვენმა ისეთმა ნიგნებმა, როგორიცაა „გულით ნათქვამი“, „დედები“, „მადლი“, „ბუხარისპირა საუბრები ოტია იოსელიანთან“, „დრო მიდის, დრო აღნიშნე“, „ტყვიას გავარდნამდე უნდა გაერიდო!“ „ქუთაისური იუმორისტული ესკიზები“. ამ ნიგნებმა სრულად წარმოაჩინა თქვენი მწერლური ნიჭიერება, დახვეწილი გემოვნება, ფართო ერუდიცია და ინტელექტი... თქვენს ნერილებს კონსტანტინე გამსახურდიას, ირაკლი აბაშიძის, ოტია იოსელიანის, გურამ ფანჯიკიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, რეზო ჭიჭიშვილის, ირაკლი ბაზაძის, თეიმურაზ ლანჩავას შესახებ სწორედ ეს თვისებები გამოარჩევს. საყურადღებოა, რომ თქვენი თვალსაზრისი არააღიარებულია ჩინიზ ათიმათოვის, ვიტალი კოროტიჩის, იცხაკ დავიდიის შემოქმედების ცალკეული ნიმუშები.

თქვენი ნერილების აქტუალობასა და მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ისინი ითარგმნა უკრაინულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ, აფხაზურ, ყირგიზულ და პოლონურ ენებზე. თავდაც ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევი და ქართველი მკითხველის საკუთრებად აქცევთ არაერთი უცხოელი მწერლის ნაწარმოებები, მათ შორის ცნობილი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ეივინდ იუნსონის ნოველები. სულ ახლახან მზის სინათლე იხილა დიდი რუსი მწერლის ანტონ ჩეხოვის ნოველების თქვენეულმა თარგმანმა, რომლებიც ცალკე ნიგნად გამოიცა.

ძალზე საყურადღებოდ მიგვაჩნია თქვენი დიალოგები ლიტერატურის, ხელოვნების, დიპლომატიისა და პოლიტიკის ცნობილ წარმომადგენლებთან, რომლებშიც მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიან მკითხველს.

ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ხართ. სხვადასხვა დროს მუშაობდით გამოქვეყნება „საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის გამომცემად, მწერალთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის კონსულტანტად, გაზეთ „ქუთაისის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, საქალაქო-სარაიონ-თავმჯდომარის ფუნქციის შემსრულებლის თანაგონიერად და დირექტორად, მწერალთა კავშირების საერთაშორისო გაერთიანების საინფორმაციო განყოფილების მთავარ სპეციალისტად, საერთაშორისო ლიტერატურის პრეზიდენტის ნევერად და საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენელად ამ ორგანიზაციაში, მწერალთა კავშირების საერთაშორისო გაერთიანების აღმასკომის თავმჯდომარედ. ენეოდით დიპლომატიურ საქმიანობას. ხელმძღვანელი იყავით პროექტისა „რუსი და ქართველი პოეტები თარგმანებში“.

დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, დავით აღმაშენებლის, ნიკო ნიკოლაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე პუშკინის სახელობის პრემიებით. არწყული ხართ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსად, მონიჭებული გაქვთ ქართული კულტურის დეკანოზის საპატიო ნიშნები. ნიგნების განმავლობაში იყავით გაეროს მშვიდობის მსოფლიო ელჩი.

ბატონო ბეჟან!
კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცს. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით მიღწევებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

სწორად ამ თვისებების გამო...

(შტრიხები ბეჟან ნამიჭვიშვილის პორტრეტისათვის)

მოსკოვის დიპლომატიური აკადემიის დამთავრების (1997წ.) შემდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციებში თითქმის ოცნობიანი მუშაობის მანძილზე, ბეჟან ნამიჭვიშვილი უაღრესად კეთილსინდისიერად და პროფესიულად ასრულებს თავის მოვალეობას, რის გამოც მან, ამ ხნის განმავლობაში, არაერთი ჯილდო და ნიშნები დაიმსახურა და სავსებით სამართლიანადაც.

ბეჟან ნამიჭვიშვილი დამსახურებულად ითვლება ყველასათვის საიმედო პიროვნებად, შემნედ და დამხმარედ.

საერთაშორისო ორგანიზაცია - მწერალთა კავშირების საერთაშორისო გაერთიანება, - ეს თავისთავად გამორჩეული და თავისებური საზოგადოებაა, რომელიც თავის დროზე შეიქმნა მსოფლიო სახელის მქონე მწერლების თაოსნობითა და რუდუნებით. გაერთიანება აერთიანებს 15 ათასამდე მწერალსა და 50-მდე ქვეყნის, - ახლო და შორეული საზღვარგარეთის, სამწერლო ორგანიზაციებს. მათ შორისაა რუსეთი, გერმანია, ბელორუსია, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ავღანეთი, ყაზახეთი, სერბეთი და სხვა. ფართო შემოქმედებითი კონტაქტებია ჩინეთისა და სხვა ქვეყნების სამწერლო ორგანიზაციებთანაც. სახელდობრ, მწერალთა კავშირების საერთაშორისო გაერთიანების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ბეჟან ნამიჭვიშვილთან, როგორც ერთ-ერთ ხელმძღვანელთან, ყველაზე ხშირად, ვიდრე ვინმე სხვასთან, მოდინ სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად და საკითხის მოსაგვარებლად.

მწერლები ძალზე განსხვავებული და თავისებური ხასიათის ადამიანებია. ხალხი მძიმე და რთული ბედ-იღბალით. თითოეულს უნდა მოუსმინო, მოძებნო საუბრის სწორი ფორმა, შეძლო, აუხსნა და გააგებინო, როგორ მოიქცენ ამ თუ იმ ცხოვრებისეულ, ანდა სამსახურებრივ სიტუაციაში. ყველაფერ ამას თავს უნაკლოდ ართმევს ბეჟან ნამიჭვიშვილი. იგი დისციპლინირებული და პასუხისმგებლობით აღსავსე ხელმძღვანელი მუშაკია, რომელიც მზადაა ნებისმიერ მომენტში დაეხმაროს სხვას. ის არასდროს არ გეტყვით უარს კონსულტაციაზე, ყოველთვის მზადაა გასცეს კომპეტენტური და დასაბუთებული პასუხი, რომელიც ცნებავთ, პროფესიულ კითხვაზე. და სწორედ ამიტომაც, ყოველდღიურად, სახელდობრ მასთან, რჩევისა და დახმარებისათვის მიდიან თანამშრომლებიცა და მწერლებიც. და სწორედ ამამა მისი დიდი დამსახურება, რომ იგი ფლობს სიტუაციებს. უნარი აქვს იგრძნოს და გასცეს სიკეთე ისე, რომ არ შელახოს სხვა ადამიანის თავმოყვარობა, ხელაღებით და პირდეს, მაგრამ გაუკეთოს ის, რაც სხვას სჭირდება. სწორედ ამ თვისებების გამოა, რომ იგი ითვლება მაღალპროფესიულ მუშაკად. მრავალი წელია იგი აფორმებს ხელშეკრულებებს არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, სრულიად განსხვავებული სტატუსისა და რანგის, რომლებიც ყოველთვის დადებითი შედეგის მომტანია და საქმესთანაც ახლოსაა. ეს არის საერთაშორისო ფონდები და კავშირები, ვეტერანთა თუ სხვა სახის ორგანიზაციები.

სწორედ ამ დამსახურებათა გამოა, რომ 2013 წლის ოქტომბერში მწერალი და დიპლომატი ბეჟან ნამიჭვიშვილი გაეროსთან საკონსულტაციო სტატუსით არსებულმა „საერთაშორისო ორგანიზაციამ საყოველთაო მშვიდობისათვის“ ერთხმად აირჩია და დანიშნა მშვიდობის მსოფლიო ელჩად. მანამდე მას მინიჭებული აქვს „ქართული კულტურის დეკანოზის“ ოქროს მედალი, ღირსების ორდენი და მოსკოვში - არაერთი ჯილდო.

ბეჟან ნამიჭვიშვილი მართლაც რომ ღირსეული ადამიანია, რომელიც ყოველივე ზემოთქმულითაც დასტურდება.

ლიდია ესამურზიევა
2015 წელი
ქ. მოსკოვი



იაკობ პაპიაშვილი - 80

80 წლისა შესრულდა ისრაელში მოღვაწე ცნობილი ქართველი ებრაელი მწერალი იაკობ მიხეილის ძე პაპიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო იაკობ!
ჩვენი ძვირფასო თანამოქალაქე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედს, პიროვნებას, მოღვაწეს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენ იმ მწერალთა გუნდს განეკუთვნებით, რომელმაც დიდი ხნის წინათ დასტოვა საქართველო, მაგრამ არასოდეს დაიწყებია ის სითბო, სიყვარული და თანადგომა, ივერთა მიწამ რომ გააყოლა საგზადად თავის შვილებს. ამ სიყვარულის დაიწყება კი მხოლოდ გულდრძო, გულხეიმე არსებებს თუ ძალუძთ. თქვენი ცხოვრება კი, ერთი უპატიოსნესი, ქართული მზის მცხუნვარებით გათანგული ებრაელი კაცის ცხოვრება, იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა ინახავდეთ ნაცარში გახვეული მუგუზალივით იმ ქვეყნის სიყვარულს, რომელმაც გაგზარდა და პიროვნებად ჩამოგაყალიბა.

თქვენი სამწერლო ნათლობა ამ ორმოცდაათი წლის წინ შედგა, როდესაც გამოაქვეყნეთ პირველი მოთხრობები „ზღვის დაშრობა“ და „დედა“.

მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - რომანები, ლექსები, მოთხრობები, მხატვრული ნარკვევები, პუბლიცისტური სტატიები, ენათმეცნიერულ-ისტორიოგრაფიული გამოკვლევანი პერიოდულად ქვეყნდება ქართულ და ებრაულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგნებას.

თქვენი პროზაული კრებულები („ჰაბა, ნაგლა“, „როგორც ჩიტი გალაპი“, „გაგრა“, „აღსდგა, ვითარცა ფენიქსი თავისი ფერფლიდან“, „ქართული ლეგენდა“, „დედა“...) ყურადღებას იქცევს თხრობის მეტად საინტერესო მანერით, ცოცხალი დიალოგებით, რთული, დრამატული კოლიზიებით.

სამი პოეტური კრებულის ავტორს სრულად გაქვთ გასიგრძელებული პასუხისმგებლობის გრძნობა ქართული პოეზიისადმი.

ენეით მთარგმნელობით საქმიანობა-საც. ქართულად თარგმნეთ ლიტერული და ლატვიელი პოეტების ლექსები, ხოლო ებრაულ სამყაროს რევაზ მიშველაძის შემოქმედება გააცანით, თარგმნეთ რა ამ დიდებული მწერლის ნაწარმოებები.

ქართველი მკითხველი გიცნობთ როგორც მიზანსწრაფულ მკვლევარს, საქართველოსა და ქართულ კულტურაზე შეყვარებულ პიროვნებას, რომელმაც არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ქართულ-ებრაული ურთიერთობების საკითხებს. თქვენი მრავალმხრივ საყურადღებო ნერილები, ისეთები, როგორცაა „ქართველ ებრაელთა წარმომავლობის და ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის საკითხისათვის“, „ისრაელის“ ფენომენის გენეზისი ქართლის ცხოვრების და ძველი ალექსის ფონზე“, „მესხის“ მნიშვნელობის განმარტება რუსთაველის და გალაკტიონის რამდენიმე სტროფის მიხედვით“ ამ მოსახრების დასტურს წარმოადგენს. მნიშვნელოვანი ნერილები მიუძღვენით „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე მთარგმნელ ბორის გაპონოვს.

სად არ გიმუშავიათ. იყავით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი და ლექციებს კითხულობდით ქართულ-ებრაული ურთიერთობების შესახებ; იყავით გაზეთების „ქუთაისისა“ და „სოფლის ცხოვრების“ კორესპონდენტი, სსრკ მშენებანკის ქუთაისის განყოფილების უფროსი ინჟინერი, კომბინატ „საქნახშირის“ საპროექტო განყოფილების უფროსი, ქუთაისის მე-4 საშენებლო ტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსი...

არჩეული ხართ ისრაელის ქართულ-ებრაული საზოგადოებების წევრად. მონიჭებული გაქვთ ივანე მაჩაბლისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას თანამოქალაქეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ჭაბუკური შემართებით საქმიანობას გისურვებთ ქართულ-ებრაული ლიტერატურული ურთიერთობების განსამტკიცებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩამო იაკობ!

ამ დუნიაზე ცოცხალი შენაირი უმურველი და სიკეთით აღსავსე კაცი.

რომ იცოდე, როგორ აკლიხარ გარემოების გამო შეჭირვებულ შენს ქუთაისს, შენს საქართველოს.

წუგეშად ის გვრჩება, რომ ბევრისგან განსხვავებით არცერთი წუთითაც არ მოშორებიხარ იმ ქვეყანას, რომელმაც გზარდა და ცხოვრების დიდ გზაზე გამოგიყვანა.

თითქმის ყველა ნაწარმოები, რაც მანდ, ისრაელში შეგიქმნია საქართველოზე დაწერილი და ორი მოძმე ხალხის, ებრაელი და ქართველი ხალხის, სიყვარულით სუნთქავს. რომ იცოდე, რა ძვირფასია შენი რუდუნება, დღენიდაგ რომ იმაზე ფიქრობ, რით უშველო, რით დაეხმარო საქართველოს.

ლონიერი კალმის პატრონი ხარ! შენზე ალალია ყველა ჯილდო და პრემია, რაც შენს სასახელო ლიტერატურულ გარჯაში მიგიღია.

80-ს გილოცავ, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

შთაბეჭდილება

ეს იყო 1980 წელს, სექტემბერში. ქუთაისში აღინიშნა ცნობილი ქართველი პოეტის ზურაბ კუხიანიძის 50 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით თბილისიდან ჩამოვიდა ქართველი მწერლების ერთი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მწერალი რევაზ მიშველაძე. საზეიმო შეხვედრა გაიმართა ქუთაისის მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოვიდა კრიტიკოსი რევაზ მიშველაძე. მან საკმაოდ მრავალფეროვნად მიმოიხილა ზურაბ კუხიანიძის პოეტური შემოქმედება და გამოსვლა დაასრულა დაახლოებით შემდეგი კონტექსტით:

ჩემო ზურაბ, მე ასე თუ ისე წარმოვაჩინე შენი პოეტური ნაღვანი. როგორც აღვნიშნე, ბევრი შესანიშნავი ლექსის ავტორი ხარ, მრავალი დასამახსოვრებელი სახის შემქმნელი, რომლებშიც ქართველი ხალხისადმი დიდი სიბოლო და სიყვარულია ჩაქსოვილი. არ შემიძლია არ ავღნიშნო ის ჭეშმარიტი კოლორიტი ლექსებისა, სადაც დახატულია ჩვენი უსაყვარლესი ქალაქის ქუთაისის, იმერეთის და საქართველოს სხვა კუთხეების ულამაზესი ბუნება და მათი მოსახლეობის ხასიათების წარმოჩენა. ეს იმით არის გამოწვეული რომ შენ არამარტო პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ხარ, არამედ იმიტომ, რომ თვითონ ხარ უაღრესად გულთბილი, ხელგამილი კაცი, რომლის ლექსები სიმღერებად აიტაცა ჩვენმა ხალხმა. და მე, შენმა მკითხველმა არ შემიძლია არ აღვნიშნო, ამ ლექსებს შორის არ გამოვცალკევო ერთი, ძალიან პანანინა ლექსი, სულ ორიოდ კუბლეტი თუ იქნება, რომელშიც გასაოცარი, განსაცვიფრებელი მუხტია ჩადებული საქართველოს და ქართველი ხალხის სამარადჟამო ერთგულებისა და სიყვარულისა.

ლექსში შენ კერძოდ ამბობ, რომ „ზოგის სული ამამიაო“, „ზოგის სული იმამიაო“ და ბოლოს ლექსს ამთავრებ ფრაზით, რომელსაც ყველა დროის ცნობილი ქართველი პოეტი მოაწერს ხელს: „ჩემი სული საქართველოს აჩქარებულ სუნთქვაშია“.

„გასრულდა მათი ამბავი ვითა
სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, -
ნახეთ სიმუხთლე ჟამისა! -
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა
არის ერთისა წამისა,
ვნერ ვინმე მესხი მელექსე მე
რუსთველისად ამისა.“

აქ, რუსთაველს გამოყენებული აქვს მხატვრული გამოსახვის სტილისტური ხერხი, რაც ჰიპერბოლის საპირისპირო მნიშვნელობისაა, ჰქვია ლიტოტესი და წარმომდგარია ბერძნული სიტყვისაგან „მცირე“. სიცოცხლე ზოგს რომ გრძელი ჰგონია, მხოლოდ ერთი წამიაო, ბრძანებს გენიოსი პოეტი. უნდა მივანიშნოთ, რომ პოემის დაწერიდან მრავალი საუკუნეა გასული და თარგმნილია მრავალ ენაზე და მათ შორის ებრაულზე - ყივრითზე. ბორის გაპონოვმა პოემის ებრაული თარგმანი დაასრულა 1966 წელს, ხოლო ნიგნად გამოიცა 1969 წელს პოეტების დომენტი და აბრაამ შლიონსკის ზრუნვით და დახმარებით (საფუძველი: ი. პაპიაშვილი, „ვეფხის დამცემი და მისი ქართველი მეგობარი“).

ბორის გაპონოვი გარდაიცვალა ისრაელში 1972 წელს. გარდაცვალებიდან 18 წლის მერე მას მიენიჭა შოთა რუსთაველის პრემია. თანხა საკმაოდ სოლიდური იყო: 20 ათასი ამერიკული დოლარი. ამ პრემიის განაწილებაში

აქტიური მონაწილეობა მქვს მიღებული. საკითხი სადაო იყო. აბრაამ საპირის ისრაელიდან ჩამოტანილი ჰქონდა სანოტარო დოკუმენტაცია, რომლის თანახმად გაპონოვის დედა იძლეოდა ცრუ ჩვენებას, თითქოსდა, ირინა არ

მისი სული...

„შენს გედს ნათლის შუქი მოსავს“

იყო ბორისის ქალიშვილი. აგრეთვე, არსებობდა სხვა დაბრკოლებაც; ილია გაგულაშვილმა ჩამოაყალიბა გაპონოვის საზოგადოება და ითხოვდა პრემია გადაეცათ ამ საზოგადოებისათვის. ამიტომ შ. რუსთაველის სახელობის პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი გრიგოლ აბაშიძე გაურკვეველ მდგომარეობაში ბრძანდებოდა. მან პირადად დამირეკა ქუთაისში და მთხოვა დაეხმარებოდი პრემიის სამართლიან განაწილებაში, თან განმარტა, რომ მისი სურვილი იყო თანხის ერთი ნაწილი გადაეცემოდა ბორისის ქალიშვილს ირინას საქართველოში, ხოლო მეორე ნაწილი ბორისის დედას - ისრაელში.

ბატონი გრიგოლ აბაშიძის თხოვნა მე შევასრულე, როგორც იტყვიან, ფრიაღბე. გავფანტე ყოველგვარი ეჭვი ირინას მისამართით თქმული და მოვახერხე აბრაამ საპირის და ირინას შეხვედრა გრიგოლ აბაშიძის სამუშაო კაბინეტში. საკითხი გადაწყდა სამართლიანად ისე, როგორც ბატონ გრიგოლ აბაშიძეს სურდა.

ისრაელში 45 წლის მანძილზე გამოდიოდა ქართულენოვანი გაზეთი

„ალია საქართველოდან“, რომლის დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი იყო აბრაამ საპირი (სეფიაშვილი). ამჟამად, გაზეთი დახურულია, ფინანსების უქონლობის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაზეთის მეშვეობით საქართველოს კულტურული და ლიტერატურული ცხოვრება ისრაელში, მხოლოდ ქართველ ებრაელთა შორის ვრცელდებოდა და ებრაულენოვანი საზოგადოება მას არ იცნობდა. აგრეთვე ისრაელში დროგამოშვებით გამოდიოდა ყურნალი „დროშა“, რა თქმა უნდა ქართულ ენაზე. გაპონოვის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ იყო ის პირველი მერცხალი, რომელმაც აღფრთოვანებაში მოიყვანა ისრაელის ებრაულენოვანი საზოგადოება. ეს იყო და ეს, სხვა ქართველი მწერლების მხატვრული ნაწარმოებები ებრაულენოვანი მკითხველისათვის იყო უცნობი, ვიდრე იაკობ პაპიაშვილმა რუსულ ენაზე არ გამოსცა რომანი „გაგრა“ ისრაელის პრეზიდენტის ფონდის დახმარებით. ეს ნიგნი შემდეგში ითარგმნა ებრაულ ენაზე და ნიგნად გამოიცა. ამ ნიგნით მსოფლიომ შეიტყო თუ როგორ დახოცეს რუსმა ლეგიონერებმა ქართველი ფეხმძიმე ქალები 1989 წლის 9 აპრილს ე. წ. „сапёрные лопаты“-ს საშუალებით. ეს რუსული იმპერიული წარმოშობის იარაღი გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით, განსაკუთრებით ხელჩართულ ომში.

იაკობ პაპიაშვილმა 2014 წელს გამოსცა ცნობილი ქართველი მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის ნოველების კრებული - „იერუსალიმი - თბილისი“ - ებრაულ და რუსულ ენებზე. ეს იყო, ასე ვთქვათ, სიურპრიზი ებრაულენოვანი მკითხველისათვის. ქვეყანაში, სადაც გაფეტიშებული იყო რუსული ლიტერატურა, მიხვდნენ, რომ ქართველი კლასიკოსი მწერლების მხატვრული ნაწარმოებები არანაკლებ ყურადსაღებია იყო, ვიდრე რუსულენოვანი. მოგვიანებით ცნობილი ებრაელი პოეტი და პუბლიცისტი ჰერცელ ხაკაი თავის პუბლიცისტურ

ნაშრომში „დღესასწაული ქირის დროს“ აღნიშნავს, რომ

X - XI საუკუნეებში, როცა რუსული ენა ჯერ კიდევ ფორმირებული არ იყო, არსებობდა ქართული მხატვრული მწერლობის ბრწყინვალე შედეგები:

„ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „აბდულ - მესიანი“, „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“.

მე XX საუკუნის მეორე ნახევარში „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო XXI საუკუნის პირველ ნახევარში „იერუსალიმი - თბილისი“ ითარგმნა ებრაულ ენაზე. იმის განმარტება, რომ პირველის ავტორი არის შოთა რუსთაველი, ხოლო მეორის რევაზ მიშველაძე ცხადია საჭირო არ არის.

1980 წელს, ზურაბ კუხიანიძის იუბილზე რევაზ მიშველაძე 40 წლისა იყო.

2014 წელს, როცა მისი ნოველების კრებული „იერუსალიმი - თბილისი“ ებრაულ ენაზე გამოიცა, იგი 74 წლის უკვე ღვანდომოსილი მწერალი ბრძანდებოდა. ახლა იგი, საქართველოს სახალხო მწერალი, 81 წლისაა...

დღეს ებრაული კალენდრით 5782 წელია და განგების ძალით შოთა რუსთაველი რომ გაცოცხლდეს, ალბათ გაუკვირდება: ორი ნიგნი გაპონოვისეული „ვეფხისტყაოსანი“ და მიშველაძისეული „იერუსალიმი - თბილისი“ იერუსალიმის ქუჩებში მსუბუქად ჰქრის, როგორც საქართველოს აჩქარებული სუნთქვა.

მაჩაბლის ქუჩა 13 - შენობა, რომელშიც ცნობილია „ხელოვნების სასახლის“ სახელწოდებით, ააგო დიდმა მეცენატმა და ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელმა, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებთა დოქტორმა დავით სარაჯიშვილმა 1903 - 1905 წლებში.

1925 - 1926 წლის „ცნობათა კრებულში“, რომელიც ტიცვიან ტაბიძის რედაქციით გამოვიდა, ვკითხულობთ: „ხელოვნების სასახლე დაარსებულია 1921 წელს გასაბჭოების პირველ დღეებში“. 1971 წელს, როცა ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობა ამ სასახლეს - ტაძარს დაუკავშირდა, იგი უბრალოდ საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით იყო ცნობილი. მე ჩამოვთვლი თავმჯდომარეებს და მდივნებს საქვეყნოდ ცნობილ პირადად მქონდა შეხება და ურთიერთობა მყარ ლიტერატურულ ჩარჩოებში: ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, მუხრან მაჭავარიანი, გურამ ფანჯიკიძე, რევაზ ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი. იმ დაუფინყარ დროს, როცა ქართული ხელოვნების - მწერლობის ამ უნმინდეს ტაძარში ეს ბუმბერაზი ადამიანი მხატვრული სიტყვის ხელოვნებას ხოტბას ასხამდნენ:

„მამ, შენ ხარ, მუზა?
შენ - ცისკრის ბავშვი?
შაბამ, შენს ღონეს,
შენს ძალას ვაჟა!
მამ, შენ მენყრავდი
ყველა გზას ფშავში,
რომ ზედ ბუხართან
დაგება ვაჟა?“

ი. აბაშიძე, 1984
ლიტერატურული ცხოვრება საქართველოში, უბრალოდ რომ ვთქვათ, დულდა და გადმოდულდა. ამ უნმინდეს ტაძარში, მრავალი წლების განმავლობაში, ვხვდებოდი და ვესაუბრებოდი ქართული მწერლობის ბრწყინვალე პლეადის კორიფეებს: რევაზ მიშველაძეს, მაყვალა გონაშვილს, სოსო სიგუას, რევაზ ჯაფარიძეს, ბალათ-

ერ არაბულს, ზაალ ბოტკოველს, ელიზბარ ჯაველიძეს, თამაზ ნივნივაძეს, გურამ გვერდნითელს, ნანა ჭოჭუას. ჩვენი საუბრის თემა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლიტერატურა იყო.

საქართველოს მწერალთა კავშირის ბოლო ყრილობა, რომელსაც მე ვესწრებოდი გადამწყვეტი ხმის უფლებით და სადაც სიტყვით გამოვიდა ბატონი ედუარდ შევარდნაძე, გაიმართა დამოუკიდებელ საქართველოში 1995 წლის 17 მაისს, დილის 10 საათზე, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში (გიორგი ლეონიძის ქ. 110).

ქართული სიტყვის სარდალი

„წარმოგიდგენთ საქართველოს სახალხო მწერალს

რუსთაველის პრემიის ლაურეატს რევაზ მიშველაძეს“ - ამ სიტყვებით იწყება ზაალ ნემსაძის დოკუმენტური ფილმი „ქართული სიტყვის სარდალი“. მე იგი რამდენჯერმე ვნახე; ეს ჭეშმარიტად დიდებული, ისტორიული მნიშვნელობის ფილმია. ფილმს ამთავრებს გიორგი გაბუნიას შოუ, რომელშიც ბატონი რევაზ მიშველაძე იღებს მონაწილეობას.

ნამყვანის ტექსტი:

„ვინც ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ჩვენი დროიდან გახედავს ერთ კანონზომიერებას წაანყდება, როცა ქვეყანას უმძიმესი მომენტი უდგებოდა და გადაარჩენილი გმირის საჭიროება ხდებოდა გადაუდებელი, ხშირად მწერალი იღებდა თავზე ამ მისიას. პოლიტიკოსთა და პანდემიისაგან გატანჯულ ჩვენს ქვეყანაში ისევ მწერალი გამოდის წინა პლანზე და კარგად რომ ვუსმენდეთ და დაუფრებდეთ უფრო იოლად გავუმკლავდებოდით ჭირს. ამ მხრივ უპირველესი ჭკუის საკითხავი პიროვნება და დედოფარის დამრისხებელი რევაზ მიშველაძეა.“

მე მინდა რამდენიმე ამონარიდი გავაკეთო ბატონი რევაზ მიშველაძის გამოსვლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის 100 წლის იუბილეზე:

„...დღევანდელი იუბილე უფრო დრამატული ხასიათისაა. ამის მიზეზი, ჩემო ძვირფასებო, კარგად მოგხსენებთ - მწერალთა კავშირის წინააღმდეგ გასულ საუკუნეში დაწყებული ომია, რომელიც ახლაც გრძელდება და გრძელდება ჩვენდა სავალალოდ..., მაგრამ მე მინდა ვუთხრა საქართველოს, რომ მათი განზრახვა მწერალთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით გაქარწყლდა. ეს ომი მწერალთა კავშირის გამარჯვებით დასრულდა (მქუხარე ტამი).

ფსიქოლოგიურ შემეცნებაში მნიშვნელოვანი ასპექტია კითხვა „რატომ“, რადგან ადამიანის ქცევის ძილება იმალეება გარკვეული მოტივები, განზრახვები და მიზანი ამ განზრახვებისა.

მწერალთა კავშირის შერობის წართმევა და სამწერლო ორგანიზაციის მოსპობა საქართველოში უნდოდათ იმიტომ რომ, ჩაეხშოთ ქართული მხატვრული სიტყვა და არ ჩაეტარებინათ შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე.

ეროვნული ფენომენის მტერმა, თავისი შავბნელი საქმე გააკეთა და გააკეთა დანაშაულის ფასად, თუმცა ამ დანაშაულისათვის დღემდე პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ.

საქართველოს მწერალთა კავშირი არსებობდა წითელი იმპერიის მძვინვარების პერიოდში 1921 წლიდან 1991 წლამდე. მიუხედავად გარკვეული დაბრკოლებებისა პატრიოტული სულისკვეთების მქონე კომუნისტები მფარველობდნენ ქართულ მხატვრულ სიტყვას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ

სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, სპექტაკლები ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში და ფილმები ქართულ კინოხელოვნებაში, რომლებმაც მსოფლიო აალაპარაკა.

აქ მცირე პაუზა უნდა გავაკეთო. ...რიტორიკა, - "მჭვერი მეტყველების ხელოვნება" ძველი საბერძნეთიდან მომდინარეობს. რიტორიკული ხელოვნების განვითარება ემთხვევა არისტოტელეს, ციცერონეს და კინტილიანის ეპოქას.

ორატორული ხელოვნება - ეს არის გონება, გული და სიტყვა, ანუ ეს არის საჯარო გამოსვლის ხელოვნება არტისტული ოსტატობით, რისთვისაც წარმოქმნილი სიტყვის დამაჯერებლობა აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია.

ორატორის ემოციები და სიტყვის მასალის ფეფქტური მიწოდება უზრუნველყოფს აუდიტორიის ყურადღებაში ყოფნას.

ალბათ ყველა დამერწმუნება, რომ 81 წლის ასაკში, ორატორისათვის ძნელი უნდა იყოს სრულიად მიიქციოს, სრულიად დაიპყროს აუდიტორიის ყურადღება, მაგრამ არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ საქართველოს სახალხო მწერლის ამ გამოსვლაში იგრძნობოდა საქვეყნოდ ცნობილი ქართული სუფრის ტრადიციები, როცა ხშირად ორასკაციანი სუფრა სულგანაბული უსმენს მჭერმეტყველ თამადას.

საქართველოს მწერალთა კავშირის 100 წლის იუბილეზე რევაზ მიშველაძის სიტყვით გამოსვლის დროს ხშირად ისმოდა მხურვალე აპლოდისმენტები.

ორატორმა გამოსვლის პროცესში გამოიყენა ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები. მისი გამოსვლა თავიდან ბოლომდე ფილმში ზეპირსიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. იგი კითხულობს გამოთქმით, ამაღლებული და მღელვარე ტონით:

მურმან ლებანიძე - სამშობლო

...კავკასის პონტის პირს ძირს ჩაკიდულხართ, ხედებო!

მე რომ სიკვდილი მჭირს, ხომ შენგნით, ჩემო ედემო?!

ამბავს წაუღებთ ვის, თქვენ, ფრინველებო ღვთის -

წითელფეხება მტრედებო?!

ჯანსუღ ჩარკვიანი - პატრონი უნდა „ვეფხისტყაოსანს“

...დახს, ჩვენს მამულს ასე დატორილს,

ნუ გეშინია არვინ დატოვებს, ნუ გეშინია მოვა პატრონი, გადამთიელი და უპატრონებს.

მაყვალა გონაშვილი - „სიმღერა“

მაინც როგორ გიხდება ეს წყეული სიმღერა,

მომავალი შენია, შენია და ელოდე... ასე როგორ მივიდეთ, ასე ხელგანვდილები,

ასე დაჩოქილები, ხვალის საქართველომდე.

შოთა ნიშნიანიძე - ბიჭები

...ათასი დაფნა, წიგნი, მოლბერტი, ვინც სინდისს თავი არ მოარიდა!

"კაცობრიობა რომ არ დაბერდეს, ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!"

ამ ლექსების კითხვისას ორატორის ინტონაცია ისეთია, რომ მის ქვეშეშეხებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია:

„მართალია, ჩემო ძვირფასებო, მწერალთა კავშირს ჰყავდა ჩანერგილები და მგონი ეხლაც ჰყავს ამბის მიმტანები, დამსმენები, ისეთები ვინც პაოლო იაშვილს თავს მოაკვლევინებს, მაგრამ, მეგობრებო, დამერწმუნეთ მწერალთა კავშირი თავის სათავეში, თავის სიღრმეში, თავის შიგნით თავანკარაა, სუფთაა, ლამაზია, მას საქართველოს სამსახურში თავი არასოდეს არ შეურცხვენია.“

მაღლა მფრენი დაბლაც ხედავს, უფრო ნათლად, უფრო დიდად, ქვეყნის ჭირი, ქვეყნის ლხინი, წინ მიუძღვის გზად და ხიდად.

აკაკი

ზაალ ნემსაძის დოკუმენტურ ფილმში "ქართული სიტყვის რაინდი" წარმოჩინდა მწერლის ბელეტრისტული ხელოვნების სხვადასხვა სფერო, სხვადასხვა მიმართულება. ის, რომ მისი ლიტერატურული შემოქმედების ოკეანეში მთავარი თემა საქართველოა, ორი აზრი არ არსებობს. გულისტკივილი იმ კაცისა, რომლის ერთადერთი ვაჟი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა, შეუძლებელია იყოს ყალბი, თვალთმაქცური. აქედან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სახალხო მწერალს გზად და ხიდად რომ მიუძღვის, დამაჯერებელია და დამაყრდნობელი მიმართ ზიზღის გრძნობას ბადებს.

ეს იყო 1989 წლის აპრილში.

რევაზ მიშველაძე ჟურნალ „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორია. ჟურნალი მრავალტირაჟიანია და პოპულარული, რადგან ისეთ საკითხებს აშუქებს, რაც მკითხველისთვის საინტერესოა.

და აი, ერთხელ, დილით ისმის ზარი. მთავარ რედაქტორს იბარებენ ცკში. ცნობილი ქართველი მწერლები და რედაქტორები დათქმულ დროზე შეიკრიბნენ ცკ-ის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის კაბინეტის მისაღებაში, დაახლოებით თხუთმეტობით კაცი, მათ შორის: ჭაბუა ამირეჯიბი, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, შოთა ნიშნიანიძე, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, რევაზ მიშველაძე... იქ იმყოფებოდა აგრეთვე საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელი არჩილ გოგელია. მაღლე ყველანი კაბინეტში მიიხმეს. დასხდნენ. მაგიდასთან ზიან: ედუარდ შევარდნაძე - შუაში, ერთ მხარეს გივი გუმბარიძე, ხოლო მეორე მხარეს ნოდარ ჭითანავა.

გუმბარიძემ ღიმილით მიმართა მწერლებს, უთხრა მათ: საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ედუარდ შევარდნაძე ჩამობრძანდა მოსკოვიდან და ისურვა ქართველ მწერლებთან შეხვედრა-ო.

"მომენატრეთო, - ამბობს ბატონი ედუარდი და ღიმილიანი მხერა იქ შეკრებილ ლიტერატორებზე მოაბარა. ჩემი უამრავი საქმეების მიუხედავად მე თვალყურს ვადევნებ საქართველოს, მის ეკონომიურ, კულტურულ ცხოვრებას, რაც შემძლია გეხმარებით. უნდა გითხრათ, რომ საქართველოდან კრემლში კარგი ამბები მოდის. ჩვენი მეგობრობა და ურთიერ-

თობა ამით არ მთავრდება. მე სადაც არ უნდა ვიყო ყოველთვის ვიქნები ჩემი სამშობლოს პატრიოტი და ქართველი ლიტერატორების გვერდში მდგომი."

მწერლები ამოძრავდნენ, გამოეხმაურნენ, გაისმა სამადლობელი, თავმდაბლობით თქმული სატყვეები.

ამ დროს წამოდგება რევაზ მიშველაძე და თავისებური ჩვეული სიტყვებით მიმართავს მაღალ სტუმარს:

„ბატონო ედუარდ! ერთი თხოვნა მაქვს, თუ შეიძლება“.

„რევაზ მიშველაძე არისო, ჟურნალ "კრიტიკის" რედაქტორი", განმარტა გუმბარიძემ.

„ვიციო, თქვა შევარდნაძემ, რად მინდა შეხსენება, ვიცნობ ბატონ რეზოსო.“

„ბატონო ედუარდ, - განაგრძო მიშველაძემ, - სტალინის შემდეგ, ისეთი მაღალი თანამდებობა კრემლში როგორც თქვენ გაქვთ, არავის ჰქონია. დღეს თქვენ ხართ ის კაცი, ვისაც ყოველთვის შეუძლია გორბაჩოვთან შესვლა და ამდენად მინდა გთხოვოთ... გაითვალისწინეთ, რომ ეს თხოვნა ქართველი ინტელიგენციის თხოვნაცაა.“

„თქვი, გისმენ“, - მიუგო შევარდნაძემ.

„- თქვენ მოგეხსენებათ, საქართველო დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვის... დემოკრატიული პრინციპები მსოფლიოს მოედო, მათ შორის რუსეთსაც. იქნებ შეარჩიოთ დრო და აუხსნათ გორბაჩოვს საქართველოს ჭირ - ვარამი; რა საჭიროა ამ პატარა ქვეყანაში სამი ავტონომია: აფხაზეთის, აჭარის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის. ეს გამოგონილი მეტასტაზები მავნებელია ქვეყნისათვის, ხალხისათვის, მომავლისათვის.“

ჩამოვარდა სამარისებული სიჩუმე. შევარდნაძის სახიდან ღიმილი გაქრა, აღელვება გამოეხატა.

„რამ მოგაფიქრა ეს, ჩემო რეზო! გორბაჩოვმა რომ გადაწყვიტოს რესპუბლიკების საერთოდ გაუქმება, რას იტყვი ამბაზე?! - თქვა და მერე გუმბარიძეს გადაულაპარაკა: ამ შეხვედრების კაცი, როგორ დანიშნეთ "კრიტიკის" რედაქტორად?-ო.“

ამ ამბიდან ერთი კვირის მერე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა თავის კაბინეტში რევაზ მიშველაძეს უთხრა:

„რეზო, ისე არ მინდა შენი „კრიტიკიდან“ წასვლა, როგორც ჩემი მარჯვენა ხელის მოჭრა, მაგრამ სხვა გზა არ არის. მოდი ზეგ პრეზიდენტის სხდომაზე, უნდა გაგანთავისუფლო.“

მინანერი: „იმ შემთხვევაში თუ ქართველი კომუნისტები ბუდუ მდივანი და ფილიპე მახარაძე არ იჩივლებდნენ ლენინთან სტალინური კომისიის მიერ შემუშავებული პროექტის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა 1922 - 1924 წლებში დაიშლებოდა სამ სუვერენულ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკებად, საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებით. 1924 წელს საქართველოში არ მოხდებოდა ე.წ. „მეგრელთა აჯანყება“, არ დაიღვრებოდა ქართველების სისხლი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნებული იქნებოდა შიგა ავტონომიების გარეშე, სოჭის ოლქის ჩათვლით (საფუძველი: იაკობ პაპიაშვილი, „ვინ იყო სტალინი“, დაიბეჭდა გაზეთში „მწერლის გაზეთი“, 2021, 5, გვ.13, სათაურით „მის უკვდავსაყოფად ესეც კმარა“), რაც თავისთავად დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და გიორგი ბრწყინვალის

სახელმწიფოებრივ - პოლიტიკური მოღვაწეობის ტოლფასია.“

ეპილოგი

„ზოგის სული ჭიქაშია, ზოგის ცინცხალ დუშაშია, ზოგის სული ჭინჭებშია, ზოგის კიდევ ოქროშია; ჩემი სული საქართველოს აჩქარებულ სუნთქვაშია“ ზურაბ კუხიანიძე

მისი სული საქართველოს აჩქარებულ სუნთქვაშია

საქართველოს სახალხო მწერალი რევაზ მიშველაძე, როგორც უკვე ვთქვით, 81 წლისაა. ქართულ მწერლობაში მისი ღვაწლი და დამსახურება გამორჩეულად ფასეულია და მნიშვნელოვანი. თბილისის ქუჩებში საქართველოს მწერალთა კავშირის მრავალგზის თავმჯდომარე, ჭარმაგი მწერალი დადის. თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგა ხანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა. მისი მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედების ნაღვანი ოთხმოცს, შეიძლება მეტ წიგნს მოიცავს. მისი ნოველები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, ალბათ არამარტო იმიტომ რომ ისინი იკითხებიან ინტერესით, არამედ განსაკუთრებით იმიტომ რომ ბელეტრისტის ქართული სარკმლიდან, საკუთარი ქვეყნის პრობლემათიკასთან ერთად, მსოფლიოს გულისტკივილია დანახული, რაც დასტურდება ისრაელში ებრაულ ენაზე გამოცემული მისი წიგნით

„იერუსალიმი - თბილისი“.

რევაზ მიშველაძე ნობელის პრემიის ნომინანტია.

დასასრულს მინდა ხაზგასმით ავღნიშნო საქართველოს სახალხო მწერლის რევაზ მიშველაძის, როგორც პროზაიკოსის მდიდარი ლექსიკა, მდიდარი ქართული ენა. ვკითხულობ მის ნოველებს და ხშირად ვფიქრობ თუ რომელი ჭიდან იღებს იგი ისეთ სიტყვებს, რაც ზოგჯერ შეუძლებელია მონახო ქართული ენის განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

ეს თავდაუზოგავი შრომა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის სამსახურში არის იმის გარანტია რომ მისი სული საქართველოს აჩქარებულ სუნთქვაში არის, იქნება და იარსებებს ყოველთვის და მუდამ.

წინამდებარე ნაშრომი მინდა დავასრულო ფილმის „ქართული სიტყვის სარდლის“ წამყვანის სიტყვებით:

„პოლიტიკოსთა და პანდემიისაგან გატანჯულ ჩვენს ქვეყანაში უპირველესი ჭკუის საკითხავი პიროვნება და დედოზარის დამრისხებელი საქართველოს სახალხო მწერალი რევაზ მიშველაძეა და კარგად რომ ვუსმენდეთ და დავუჯერებდეთ უფრო იოლად გავუმკლავდებოდით ჭირს.“

იაკობ პაპიაშვილი

გალაკტიონ ტაბიძის და ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი ნობელის პრემიის ნომინანტი 2018 - 2021

მასალის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო ია გორგიშვილმა



„ლურჯა ცხენების“ კითხვის შედეგად

(გუძღვნი ქართული ლექსის მესაიდუმლეს გენიალურ გალაკტიონს)

გალაკტიონის ლურჯა ცხენთა ვინთები ცქერით, ნისლის ჩანჩქერებს მიაპობენ გზებზე მქროლავნი, და დაკარგული მიბრუნდება მე ყველა რწმენა, მინდა მივუძღვნა „ლურჯა ცხენებს“ ეს აღმაფრენა! ლურჯა ცხენები მიაპობენ წინ აღმდგარ ქარებს, და ეს ცხენები მაგონებენ მის იდეალებს! შორს, შორს წვდებიან დიდი მგოსნის ფიქრნი მსრბოლელნი, ლურჯა ცხენებს კვლავ ამ კლდეების იქით მოველი!

გელა ბუილიშვილი

უსიყვარულოდ

(„თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ.“ გალაკტიონი)

დღე სიყვარულის დასაწყისია ლურჯი ვარდებით, შემყვარდები. მიიღე გული, განა სხვისია, ეს ყვავილები ველურ მთებში ხარობენ მხოლოდ სანუკვარ ფერით მესმის და ვმღერი, რომ გამარჯვება დამრჩება ბოლოს, სიყვარულია მზის სხივებში ჩაფლული სხივი.

არის სასაცილო: „გთხოვ, გამაცილო!“ და ვიმღეროთ მგოსნის მოტივი ილოცე, გულო, სიყვარული შეჭფიცე გზაზე,

უტყუარ ფიცით. მე ყველა ვიცი. გული უბრალოდ გაიმიზეზე, ტრფობის სურვილი გვკლავდა ბოლომდე; მწყდებოდა გული და დაჟანგული მახვილით მტერთან მაინც ვომობდი. მზე იჩქაროდა, პაემანზე დააგვიანდა, მეც ვენთებოდი, მზეზე ვთბებოდი! მდინარის პირას ხის ჩრდილებში მაშინ დამლანდა.

აბა ქვეყანა რა იქნება უსიყვარულოდ? ცივი პლანეტა და არ თქვათ მეტად, რომ უმისოდ რამ შეასრულო. ქვეყნიერება იცოცხლებს მანამ, არსებობს სანამ ფერფლი ეროსის, ლექსსაც მიტომ ვნერთ საქართველოში.

„ოდესღაც“...

ოდესღაც, ოდეს ოდიშის ოდა იბურებოდა იისფერ ისლით, ქარი ქარაფებს ქუშავდა, ქროდა, ნაზი ნარნარით ნაბავდა ნისლით. და დადიანის დარბთან დამდგართ, ქალიშვილების ქადილი ქართან, ავარდნილ აჩრდილს აღმურად აჩნდა, სიტურფე სხივთა, სიავე სვავთა.

„მითხარი ვინაა?“

თუ ცა მრისხანა და თან ბობოქარი, თუ ზღვის ტალღებია ზვირთი დაუნყნარი. მაშინ ვინ იქნება ჩემი მოალერსე, მითხარი, ძვირფასო, თესლი სადა თესე, თესლი სიყვარულის, თესლი წრფელი გულის, ვისი საგანძური იყო დამალული, მაგ შენი თვალების მყუდრო არეში, შენს გულის ქიდილთან ვინაა თარეში? და თუ არაა, მაშინ ხუმარაა, ჩემი სულ არაა, ეგ შავი თვალები. ვისია მითხარი, ხმა ტკბილი, ხმა წყნარი, თორემ აზვირთდება, გული ბობოქარი. გული აზვირთდება, გული აინთება, გულს ააფეთქებს ეგ შავი თვალები!!! მითხარი, ვისია??! შხამიც კი გისვია, ჩემი თუ არაა, მაშ, ალბათ სხვისია.

„ოქროს ფარდა“

ამ ბაღს აქ, ერთ დროს შევწოდა ფარდის სიმწვანე, რიგი ალვათა თვალუნვდენელი, ერთმწკრივი ჯარი, ბაღის კუთხეში გდია კალთა, ნაოჯახარი. გავიდა ხანი. ოქრო აენტო. შემოდგომის დადგა დღეები... უპატრონო ისევ გდია კალთა, ღმერთო, ალვის ხეებთან; სიმწვანე ფარდის, საოცარი, სადღაც გამქრალა, ჩანს ოქროსფერი, ოქროს ფარდა მხოლოდ ზოგან მოჩანს ნაკერი, კვლავ მეფობს ქარი, ფარდაც იშლება, ხმა ისმის ქართა, მოსჩანს ალვათა გადაშიშვლება და ის კალათა...



გულისა ჩხაიძე

იქ ... ბავშვობაში

დანყებით კლასებში როცა ვიყავით,

სკოლიდან ხშირად ერთად ვბრუნდებოდით მე, ნანა და ალიკო. ღელე-ღელე მოვდიოდით. მოკლევ არ ეთქმოდა ამ გზას. ბაზრის გადავლითაც იგივე მანძილი უნდა გაგვევლო. იმ იდუმალ დაბურულ ღელეში ალბათ სველი ჭინკებიც ბუდობდნენ, თუმცა ჩვენ ისინი არასოდეს გვინახავს. ღელე საბავშვო ბიბლიოთეკის გვერდით ჩამოდიოდა. გაღმა ორსართულიანი სახლი იდგა. ღელეზე იმ სახლის ჭიშკრამდე რკინის მოქანავე ბოგირი იყო გადაბული. ჩვენ შევდგებოდით იმ ბოგირზე და რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვხტუნაობდით. თან ყელის ძარღვების დაწყევტამდე ვეძახდით მასპინძელს. ვიცოდით, იქ ნანას ნათესავი ნიკუშა ცხოვრობდა. რა გვინდოდა, რატომ ვეძახდით, არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა ვიცი. თან ნიკუშა ჩვენი ტოლი არ იყო.

არასოდეს არავინ გამოგვხმაურებია. იმ სახლის კარი გაღებული არასოდეს დაგვინახავს, მაგრამ ეზო მუდამ დაგვილი იყო. ჭიშკართან თეთრი მაგნოლიის ხე იდგა. ძახილი და ხტუნაობა რომ მოგვწყინდებოდა, გზას ვაგრძელებდით. ღელის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა გვიწევდა. ალიკო გადააბიჯებდა ფეხს და უკვე მეორე ნაპირზე იყო. მე და ნანა იქ ცუდ დღეში ვიყავით. უნდა გადავმხტარიყავით და ვხტებოდით კიდევ, მაგრამ ბევრჯერ მოგვიდენია წყალში ტყაპანი. ერთხელ ისე მოდიდა და ეს პატარა ღელე, რომ მე და ნანამ გადახტომა ვერც გავბედეთ. სწორედ მაშინ გამოჩნდა ნიკუშა—ახალგაზრდა კაცი იყო, მაღალი, რეზინის მაღალყელიანი ბოტები (ვალინკები) ეცვა. წინილებით აგვიყვანა ხელში მე და ნანა და გადაგვსხა მეორე

ნაპირზე. ასეთი ფათერაკების მიუხედავად, მაინც გვიყვარდა ღელე-ღელე სიარული... ან იქნებ სწორედ ფათერაკების გამო გვიყვარდა? მშობლებიც გვიშლიდნენ...

ორნაბი როცა ჭკნება, მერე გემრიელდება. ასეა ჩემი ბავშვობაც— ჩაჭკნა და ჩაგემრიელდა. ორნაბმა არ შეიძლება ქიონი ბებიას ეზო არ გამახსენოს. წვიმს...ნისლია...ნისლშია გახვეული ეს მოგონებაც. ალიკოს ეზოდან ქიონი ბებიას ეზოში გადმოვდივარ. ქიონი ბებია ტატინა დეიდას დედაა. ეზოში ჩალის ზვინები დგას. მოვდივარ ნალვლიან ბილიკზე ჭონჭყოში ჭყაპაჭყუპით. რომ განვიმდება, ეზოებში წყალი დგება. ასეთია გურია. ფეხებიც სველი მაქვს, ბოტებში წყალი ჩადის. ტატინა დეიდას ეზოში ამ დროს სხმარტლი და ორნაბი მწიფს (ნუ გამისწორებთ. ასე ვეძახით ჩვენ, გურულები). სხმარტლი მოყავისფროა, ორნაბს კი თავისი ფერი აქვს, სახელს ვერ დაარქმევ. მე, სველი, აკანკალებული, მაინც ნავეტანები ერთსაც და მეორესაც. უფრო დავსველდები. ცოტას მოვკრეფ და სახლშიც წამოვიღებ. რომ დამინახონ ტატინა დეიდა და ქიონი ბებია? მერე რა? დამიშლიან თუ რა? კრიფე და ჭამე, რამდენიც გინდა! კეთილი მოხუცი, მაღალი და ჩამომჭკნარი ქიონი ბებია წვიმიან ამინდში გარეთ არც იხედება. ზის ბუხართან შალწამოხურული. შვილიშვილები თბილისში ცხოვრობენ. ლანჩხუთში ჩამოვლენ ახლა შემოდგომაზე სხმარტლისა და ორნაბის საჭმელად?.. ნეტავ ვინ ცხოვრობს ახლა ქიონი ბებიას ეზოში? ან ის ოდა ისევ დგას ნეტავ? დიდ ზალაში, სადაც ბუხარი ჰქონდათ, ვეებერთელა ირმის რქები ეკიდა კედელზე. სხვაგანაც მინახავს გურიაში კედლის სამკაულად ირმის რქები...

წვიმს...გადავჭრი ქიონი ბებიას ეზოს და გავალ ჩვენს პატარა ბოგასთან. ბედნიერი ბავშვი ვარ. იწვიმოს, დავსველდე... მერე რა? მე სახლში დედა მელოდება. ზეთში შემწვარ კარტოფილს დამახვედრებს. თითო-თითოდ დებს ტაფაზე, თითო-თითოდ გადმოაბრუნებს, იმიტომ რომ მე ორივე მხრიდან შებრაწული კარტოფილი მიყვარს...დედას ყველაფერს მოვუყვები, რაც მოხდა იმ დღეს კლასში...

ეეჰ, ეს აღარასოდეს განმეორდება. ეს ჩემი ბავშვობაა. ბავშვობა ვის არ უყვარს?! წვიმიანი დღეების სიყვარულიც იქიდან მომყვება. ის ნალველიც მიყვარს, წვიმა რომ ბადებს...

დღეს იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ყველა იმ ძირითად გამონაკვეთს, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშეა, იქნება ეს ურთიერთობანი რუსეთთან, ამერიკასთან, ევროპასთან, თურქეთთან, ჩვენ სამეზობლოსთან, თუ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების, ეკონომიკის მშენებლობის, აფხაზეთის, სამაჩაბლოს საკითხებთან დაკავშირებული, აუცილებელია განვსაზღვროთ თუ რას ნიშნავს ქართველობა, საქართველოს მოქალაქეობა, რა არის ჩვენი ერის, სახელმწიფოს საზრისი, ჩვენი დანიშნულება.

საკუთრება მონობისა და უცხო უღლის ქვეშ ცხოვრების შემდეგ, საქართველომ საკუთარი თავისადმი რწმენა დაკარგა. მან არც კი იცის, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს არასრულფასოვნების კომპლექსისგან გათავისუფლებული თანამედროვე საქართველო.

ერისა და ქვეყნის სათავეში ყოფნა, პოლიტიკა და საზოგადოებრივი საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს ეროვნულ ღირებულებებს, მატერი-



ალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო, სულიერ ფასეულობებს, რომელიც ერის გადარჩენის და წინსვლის საფუძველი უნდა იყოს.

სამწუხაროდ, ბოლო 30 წელია, პოლიტიკა და საზოგადოებრივი საქმიანობა, ძალიან ხშირად იზიდავს პოპულარობის, იმიჯის, ფულით, ხელისუფლების მოყვარულ ადამიანებს. ამიტომაც, საზოგადოებრივი და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური ასპარეზი იქცევა ხოლმე პიროვნების ეგოს, ზიზღის, დაპირისპირების, ცრუ იმიჯის და პოპულარობისთვის ბრძოლის დაუნდობელ ასპარეზად. სამწუხაროდ, 30 წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში ასეთი ადამიანებისთვის პოლიტიკა ხდება ხელისუფლების მოპოვების და გამდიდრების საშუალება... ეს ეგოთენტობა პოლიტიკოსები ყოველგვარი მეთოდებით ცდილობენ საკუთარი ინტერესების მსახურებას, მიუხედავად იმისა, ისინი ხელისუფლებაში იმყოფებიან თუ ოპოზიციის წარმომადგენლები. ასეთი პოლიტიკური გარემოს პირობებში, მათ შორის დაუნერვლი კანონი ფუნქციონირებს. კერძოდ: "ხელი-ხელს ბანს, ორივე კი პირს", რომელიც მთელი დატვირთული მუშაობს. მათთვის მთავარია არსებული კორუმპირებული სტატუსქვის და ტრადიციის შენარჩუნება.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, იქნება ეს საკანონმდებლო ორგანოში (პარლამენტში), ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ასე შემდეგ, საქართველოს მისაღები კანონი საქართველოში ცემა-ტყეპის შესახებ, დიანხ, ცემა-ტყეპის საკითხი სამართლებრივად იყოს დაკანონებული. რადგანაც პარლამენტში თითქმის ყოველ სხდომაზე, უმეტრევენ ერთმანეთს ცხვირ-პირს და უჩვენებენ ფართო საზოგადოებას მაგალითს, თუ როგორ და რა გზით იაროს საქართველოში (პროფესორისაკენ) და ბარემ კონსტიტუციურად (კანონიერად) განამტკიცონ "ცემა-ტყეპის" კანონი.

"ყველაზე საშიში მტერი არაა კოლონიზატორი და ოკუპანტია, არამედ ოკუპანტის მიერ გამოწვეული შენი თანამემამულეა" (განდი).. "და რაც მთავარია საქართველო არაა არც რუსეთის და არც დასავლეთის, მას გააჩნია წმინდა ღვთაებრივი განვითარების მისია" (ი. ბედიანოვილი).

2012 წელს, ქართველმა ეროვნულმა აირჩია ახალი მთავრობა, იმ სურვილით, რომ იმ ცოცხალ კიბოს მოიპოვებდა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი და მისი მთავრობა წარმოადგენდა. მაგრამ საზოგადოება დარჩა მოტყუებული, რის შედეგადაც, დღემდე ტანჯვა-წამებაში ქვეყნის ზნეობრივი, განათლებული, ერისა და სამშობლოს მოყვარული ადამიანთა დიდი ნაწილი. შეხედეთ იმ გენიოსებს, რომლებსაც გადაკეტილი აქვთ რუსეთის გამოზირი. შემკვეთები კი სიამაყით უყურებენ, თუ როგორ უღენჯვენ ერთმანეთს ცხვირ-პირს, ასახიჩრებენ თავიანთ თანამემამულეებს, შეიარაღებული მოკლე ხელკეტებით. □ ს ფორმა გადმონაშთია სააკაშვილის დროიდან და ისევ მისი ხალხი აგრძელებს ამ ქმედებებს, რომლის ნახევარზე მეტი, თითქმის 80%, ქართულ ოცნებაშია გადმობარგებული. □ ოველივე ეს შედეგია, დღევანდელი მთავრობის მიერ შემუშავებული, ე.წ. ავადსახსენებელი "კოპაბიტაციის"... თუმცა თვითონ მთავრობის წარმომადგენლებს უსაფრთხოება გარანტირებული აქვთ, იკითხონ უპატრონოდ და უსასხროდ ქუჩაში დარჩენილმა ჩვენმა თანამემამულეებმა.

□ ხელისუფლებამ (მთავრობამ, პარლამენტმა), საერთოდ შეწყვიტა კომუნიკაცია საზოგადოებასთან. ადამიანები ახსენებდნენ მხოლოდ არჩევნების დროს, ამის ნათელი მაგალითის მომხრენი, სულ ახლახან ჩატარებული არჩე-

ვების დროსაც გავხდით (ისე როგორც ყოველთვის). ხელისუფლება ხალხისგან ითხოვს ევროპულად, ცივილურად, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. ევროპული ფასები დაედო საკომუნიკაციო საშუალებებს (დენს, წყალს, გაზს...), სამაგიეროდ შეამცირეს დასაქმებულთა რიცხვი, განსაკუთრებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ქვეყანაში უმუშევრობა, თითქმის 50 პროცენტით გაიზ-

გაუმარ-ჯოს! გაუმარ-ჯოს! გაუმარ-ჯოს!

ჭკვიანი და ბედნიერი მე ცოტა მინახავს. პირიქით, უჭკუონი და უნდამუსონი უკეთ ეწყობიან ამ წუთისოფელში.

კონსტანტინე გამსახურდია

არდა, რამაც ნელში გადატეხა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ქვეყანაში რელიურად აღარ არსებობს არც მიძიე, არც მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა მინასთან არის განსორბეული, დაცალა სოფლები. სიკვდილიანობა 2ჯერ მეტია ვიდრე შობადობა. დაუსაქმებელი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი. ვისაც ძალა და უნარი შერჩა, ოჯახის გადასარჩენად საზღვარგარეთ გარბის.

წავიკითხე 2021 წლის, ნოემბრის მწერლის გაზეთში გამოქვეყნებული წერილი "მოთმინების ფილა აივსო!..." როგორი გულდასანყვეტია, როდესაც მწერალთა კავშირის წევრები, რომელიც 100 წლის გამავლობაში განთავსებული იყო მაჩაბლის ქუჩის 13-ში, ისტორიულ შენობაში და რომლის წარმეგა თვით კომუნისტებმაც კი ვერ და არ იკადრეს, 2007 წლის 21 აგვისტოს, მიხეილ სააკაშვილის მთავრობის ბრძანებით ოკუპირებული იქნა. რა უნდა თქვა იმ მთავრობაზე, იმ ხელისუფლებაზე, ვინც ერსა და ქვეყანას მწერალთა უდიდეს არქივს გაუნადგურებს, ქუჩაში მოისვრის მწერალთა მემორიალურ ნივთებს. როგორი საყურებელი და ასატანი, როდესაც მწერალთა კავშირის ისტორიულ შენობაში, რომელიც წარმოადგენდა ცისფერ-ანწილების, გალაკტიონის, გოგლას, კონსტანტინე გამსახურდიას, ლადო ასათიანის, და ა.შ. ქართველი კლასიკოსი მწერლების ნავსაყუდელს, რესტორანი და სასტუმროა გახსნილი... გამიხარდა, როდესაც წავიკითხე იმ ფაქტის შესახებ, რომ ქალბატონი თეა წულუკიანი და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას შორის, შედგა იმედისმოცემი შეხვედრა და მინისტრმა ალუქჯა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა 800 წევრიან მწერალთა კავშირს დაუბრუნოს თავისი კუთვნილი შენობა, რომელიც თავის დროზე ოკუპირებული იქნა წაყვანის მიერ. ან ტრაგედია არ არის, რომ ქართველ მწერალთა საგანეს, მუსრს ავლებს, სააკაშვილის მიერ დანიშნული ვინმე ნატაშა ლომოური. ვინ არის, რას წარმოადგენს, ვინ ანდო მას ქართველ მწერალთა ბედი, რომელი უპირველესი მისია ერის ბედის დასაცავა... 9 წელი გავიდა ოცნების ხელისუფლების მოსვლიდან და ისევ ის გაუსაძლისი მდგომარეობაა ქართველ მწერალთა თავს - ბიუჯეტიდან ამოგდებაზე, შენობა ჩამორთმეული... რატომ, რისთვის ვისჯებით ასე, რომელ ქვეყანაში ექცევიან თავის მწერლებს ასე უდიერად, ასე დამამცირებლად? როდის ვიქცეით, ასეთ ღირსება აყრილ ერად?! ან აქამდე რას ელოდებოდა დღევანდელი ხელისუფლება?!

სამწუხაროდ წარსულს ვერ შევცვლით და დღემდეა ქნას, იმედით მინდა შევეურთდე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას, რომ ზემოთქმული გამართლება და ქალბატონი თეა წულუკიანი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ქართულ კულტურას უპირებს, შეასრულებს თავის დანიშნულებას და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს მწერალთა კავშირს, კანონიერად დაუბრუნდეს თავისი კუთვნილი ისტორიული შენობა...

ოკუპირებულია ქვეყნის 20%... ასეთი არასწორი პოლიტიკური მიდგომით, როგორც დღეს ვაჭყვირიან - ოკუპანტი და ოკუპანტის ძახილით, 30 წელი კი არა, 100 წელი ვერ დავიბრუნებთ ჩვენს ოკუპირებულ მიწა-წყალს. ვეკითხებით არა მხოლოდ ქვეყნის ხელისუფლებას, არამედ ქვეყნის ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მათ შორის უპირველესად მწერლებს, თუ რუსმა იგანემ მოახდინა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპირება, ამერიკელმა ჯონმა როგორ დაგვიბრუნოს?! ნათქვამია „ორი ვეშაპი ხაშის გულისთვის, ერთმანეთს არ ებრძვიან“. ასე რომ, ამერიკა ან ევროპის რომელიმე ქვეყანა, რუსეთთან ომს არ იწყებს და თუ რუსეთის მონობიდან გაგანთავისუფლებს, იქნები იმ ქვეყნის მონა, ვინც ამ მისიის მის თავზე აიღებს. აუცილებელია და საჭიროა რუსეთთან სწორი პოლიტიკის წარმართვა. გამართული, პირდაპირი, სამართლიანი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა... ისეთი პოლიტიკით, როგორც ნაც. მოძრაობის პირველი პირი იქცეოდა, ჩვენ ვერასოდეს ვერ დავიბრუნებთ ოკუპირებულ ტერიტორიებს. ისეთი მიმართებით, როგორც მიხეილ სააკაშვილი მიმართავდა რუსეთის პრეზიდენტს „გაზპუტ, ლილიპუტი!“, რა პოლიტიკურ შედეგებზე უნდა გავიდეთ?!. განა შეიძლება, ასეთი ბრიყვეული გამონათქვამი იყოს, პოლიტიკოსის, ქვეყნის პირველი პირის სალაპარაკო ენა, თუნდაც ოკუპანტ ქვეყანასთან?!

დავიღალეთ, ქვეყნის დედაქალაქში და რეგიონებში, ნაც. ბანდის და თუნდაც ხელისუფლების მხრიდან გაუთავებელი აქციებით, გაუთავებელი და უაზრო შეძახილების მოსმენით-გაუმარ-ჯოს!.. გაუმარ-ჯოს!.. გაუმარ-ჯოს!.. მოიცვა მსოფლიო პანდემიამ. კარგი, დაეშვათ, ამ ვითომდა ოპოზიციას, საერთოდ არ აინტერესებს არც ეპიდემია და არც ერის ბედი... ამ

შემთხვევაში რას ფიქრობს ხელისუფლება, რომელმაც მრავალათასიანი აქცია თვითონ მოაწყო ქვეყნის დედაქალაქის ცენტრში და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით მოერეკებოდა ხალხს რეგიონებიდან! სად იყო სანიტარული და ეპიდემიოლოგიური პირობები დაცული ტრანსპორტში, თუ ქუჩაში?!. დახურულ სივრცეში, ტრანსპორტში, ამდენი ხალხის შეყრა, კარგს რას გამოიწვევდა?! ქუჩაში რაც ხდებოდა, იმაზე ლაპარაკიც კი აღარ მინდა...

სამწუხაროდ, რაც ქვეყანაში დღეს იმ საშინელი ვირუსის თუ ინფექციის გავრცელების გამო ხდება, რასაც ყოველდღიურად ვისმენთ სატელევიზიო სივრციდან, დაავადებულთა მატების მხრივ, არა მხოლოდ ოპოზიციის, ხელისუფლების დიდი დანაშაულიცაა... რის შედეგადაც ისევ და ისევ უდანაშაულო ადამიანები ვისჯებით... რა შედეგზე გავიყვანს, ამდენი უაზრო და არაფრის მომცემი გაუმარ-ჯოს! ძახილი, ამაზე ფიქრიც კი მზარავს და მაშფოთებს...

როგორც სიხუმელ კაცს, უფლება არა მაქვს არ შევეხო, თუნდაც ორივე სიტყვით აფხაზეთის მთავრობას, აფხაზეთის ხელისუფლებას. მინდა ჩემს დევნილებს მივმართო და ვუთხრა სიმართლე: - ის რაც ხდება აფხაზეთის ე.წ. ხელი-სუფლებებში, ეს ჩვენი, დევნილების ინტელექტუალის, დაქუცმაცების და ურთიერთ უნდობლობის ბრალია!!! დროა გონს მოვეგო! გარემო მიმოვიხედოთ და თავად დევნილებმა ავირჩიოთ, ჩვენი ნამდვილი პატრონი, რომელიც იზრუნებს დევნილებზე და არა მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე და ჩვენს ხარჯებზე (სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით) საკუთარი ჯიბის გასქელებაზე... სასწრაფოდ უნდა დაგამთავროთ დღევანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელი-სუფლების უსაქმურად პარაპი. საბედნიეროდ, აფხაზეთიდან დევნილებს გვყავს ჭეშმარიტი, წესიერი, პატრიოტი, განათლებული, ერის და ქვეყნის მოყვარული ღირსეული პიროვნებები, რომლებსაც შეუძლიათ, სწორედ, რომ ღირსეულად მართონ, დროებით დევნილობაში მყოფი აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობა და ხელი შეუწყონ დევნილთა ღირსეული ყოფის და არსებობას.

მაინც რა ხდება დღეს, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობასა და უმაღლეს საბჭოში... დევნილები, 25 წელია ვანცობთ აქციებს, მაგრამ უმედეგოდ... ვისაც არ უნდა დაეღაპარაკო ცენტრალურ ხელი-სუფლებებში, არავის არ მოსწონს დღევანდელი აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავჯდომარე, მაგრამ რა გინდა, არიან მათ შორის ადამიანები, ვინც ხელს აფარებენ მის თალღითურ მოქმედებებს... ჩემი ზედმეტ ლაპარაკიც არ არის საჭირო, მტკიცებულადაა სახელმწიფო აუდიტის დასკვნებიც საკმარისი, რომლის საფუძველზეც პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, მაგრამ რა?! მხოლოდ ერთ რიგით ჩინოვნიკზე გადატეხეს ჯიბი, დანარჩენები კი აგრძელებენ გიალს, მთავრობის თავჯდომარის მეთაურობით... ან ვინ არის რუსულან აბაშიძე? თხემით ტერფაშად ნაც. ბანდის წარმომადგენელი, რომელიც ზუსტადაც რომ მიხეილ სააკაშვილის პერიოდის ჩინოვნიკია და რომელიც პრეზიდენტის 2008 წლის 18 აპრილის, 200 ბრძანებულებით, ზუსტად იმ კომისიის წევრია, რომელმაც საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის, დავით გარეჯის, ქართული მიწის ბედი, ჩვენი ქვეყნის საზიანოდ გადანყვიტა. იმ პერიოდისთვის, ნაც. მთავრობაში, რუსულან აბაშიძე რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ბრძანდებოდა... განსაკუთრებით ყურადღება მისაპყრობია, რა ხდება ამ დროს აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოში, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში და რით არს დაკავებული, მათი ხელმძღვანელობა. რით არიან დაკავებულნი მუდმივი დეპუტატები, რომლებიც მშვენივრად, ასე ვთქვათ, „ქერის ორმოში“ ზიან და ბედნიერად აგრძელებენ ცხოვრებას, გრიალს... ხელს ართმევენ „წარმატებებს“ უსურვებს აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების თავკაცს დევნილებს, მასხარად აგდებამი და მათ ხარჯზე გრიალსა და დროსტარებამი... საბედნიეროდ, არიან იშვიათი გამონაკლისები, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, რომელიც არ და ვერ ურიგებებიან იმ უზნეობას, რაც ხდება დღევანდელ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებაში. ზუსტადაც, რომ ასეთი არ-ენა, ბატონები: ნაპო მესხია, ჯემალ საჯაია, ნუგ-

ზარ მაგალობლიშვილი... რომელთაც ყველა ხელი-სუფლების დროს სამართლიანი ბრძოლა უწევდათ ზნეობის, სამართლის დასაცავად. ზუსტადაც, რომ ეს ბატონები ჭეშმარიტი ქართველები, თავის ერისა და ქვეყნის მოყვარული, წესიერი პიროვნებები არიან. მათიანიები, რომ უმრავლესობა გვყავდეს, მაშინ ასეთ საეგოლო მდგომარეობაში არ ვიქნებოდით, აფხაზეთიდან დევნილი, უიმედოდ დარჩენილი, ჭეშმარიტი ქართველები... და რაც მთავარია, დევნილი აფხაზეთის ა/რ-ის ხელისუფლება, ადმინისტრაციული ცენტრი, უნდა იყოს არა თბილისში, ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე თბილად მოკალათებული, არამედ ზუგდიდში, საოკუპაციო ხაზთან ახლოს, სოფელ რუშიში.

არ შემიძლია, არ შევეიო იმ მტკინველს საკითხს, რითაც დღეს დაკავებულია მთელი ხელისუფლება და ქვეყნის მთავარი ოპოზიცია ნაც. ბანდა... ჩემდაუნებურად მახსენდება გამონათქვამი: „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“... პატიმარია ქვეყნის მე-3 პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი. მე როგორც ქართველს და ჩემი ერის შვილს, არც ეს არ მსიამოვნებს... არ მსიამოვნებს ციხის კედლებში პრეზიდენტის თმებით თრევა და ყოველივე ამის ყურება სატელევიზიო სივრცეში... თუ ღირსეული მთავრობა ხარ, ნუ დამესგავსებით თავად სააკაშვილის რეჟიმის დროინდელ ტრატაროებს... ასევე მინდა ავღნიშნო, რომ ძალიან უსიამოვნო განწყობაზე ვდგები, როდესაც მიხეილ სააკაშვილს, ზვიად გამსახურდიას ადარებენ და გმირად წარმოგვიდგენენ... ამას წინათ, სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა მიხეილ სააკაშვილის მიერ, პოლონური პრესის დაში 1992 წელს მიცემული ინტერვიუ, რომელიც თხემით ტერფამდე შემზარავი და საშინელი ნა-საკითხია. მოგიყვანთ ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან: „გამსახურდიამ დაიწყო როგორც დისიდენტმა და დაასრულა, როგორც ტირანმა, ის სადამ ჰუსეინის ჰვავს“... ზვიად გამსახურდიამ, ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც მოგვიწოდებდა (მისი მხარე-დაჭერებს), მტრული განწყობით არცერთი ქართველის მიმართ არ გვექონდა!.. ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ განწყობილი ქართველები-სთვის ყველაღვი გვესროლა, თურმე „ტირანი და სადამ ჰუსეინის“ მსგავსი ყოფილა...

ქვეყნის პირველი კანონიერი პრეზიდენტი, შეენირა მისი ქვეყნის დამოკიდებულებას, ტერიტორიული მთლიანობის დაცვას და შენარჩუნებას, იგი იყო გარანტი ძლიერი სახელმწიფო სისტემის შექმნისა და სწორად ამიტომ მოკლეს, რითაც ის ჭეშმარიტი შეენირა მისი ერისა და ქვეყნის სიყვარულს... თუ როგორი პრეზიდენტი იყო მიხეილ სააკაშვილი, როგორ ექცეოდა ქართველ ერს, როგორ შეინარჩუნა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა მისი „მეფობის“ პერიოდში, როგორ დათმო მისი ქვეყნის მოქალაქეობა და ა.შ... ყველამ ყველაფერი ზედმინეებით კარგად ვიცით და ამაზე აღარ მოგვცდენი... უზრალოდ ვიტყვი, ნუ მივაყენებთ შურაცხყოფას ქვეყნის პირველ პრეზიდენტს და ნუ შევადარებთ მიხეილ სააკაშვილს! მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ერს ის დანაპირებიც კი არ შეუსრულა, რომ პირველი პრეზიდენტი მკვლელობა გამოეძია, როგორ შეიძლება ზვიად გამსახურდიას სწორი და დარი იყოს...

სიკვდილს ვუყურებთ თვალებში და მინც ბედნიერი ვიყავი, ჩემი ცხოვრების მთავარი რეიცის შესრულების დროს, როდესაც ქვეყნის პირველი პრეზიდენტი ოჯახთან და თანხლებ პირებთან ერთად, სასომხეთთან იქცეა (გროსნოში) ჩავიყვანე. არ მაშინდელია ის ფაქტი, რომ ჰაერში ჩვენს თვითმფრინავს საშხედრო გამანადგურებლები მოსდევდნენ. მთავარი ის იყო, რომ ვიცოდი ვის და რას ვემსახურებოდი. ვიცოდი, რომ ზვიად გამსახურდიამ იყო ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა... მიმდინარე წლის 26 მაისს, ქვეყნის მთავრობამ და მხედრობამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს, რომლის ხანგრძლივობაც 1918-1921 წლებს მოიცავს. რა თქმა უნდა ამ მხრივ ნამდვილად ღირსშესანიშნავი დღეა. 26 მაისი მერბ კოსტავას დაბადების დღეა და აქვე მინდა დავიხსნო, რომ 26 მაისი (1991წ) ქვეყნის პირველი კანონიერი პრეზიდენტის არჩევნების დღეა, რომელზედაც სამწუხაროდ არ ლაპარაკობენ, როგორც მასმედიაში საშუალებით, ასევე პოლიტიკური თანამდებობის პირები... როდესაც სატელევიზიო სივრციდან გაისმის მოწოდება - „დღეს 26 მაისს, აღინიშნება ქვეყნის დამოუკიდებლობის 30 წლისთავი“ ძალიან მიძიე მოსასმენია!.. თუკი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის 30 წლისთავს ავღნიშნავთ, აუცილებელია ვიცოდეთ ჩვენივე ქვეყნის უახლესი ისტორია. აქსიომაა და ვერავინ და ვერაფერი ვერ შეტყვის იმ ფაქტს, იმ ჭეშმარიტებას, რომ 30 წლის წინ 1991 წლის 9 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე, პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა... და ბოლოს ჩემი წერილი მინდა დავასრულო მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით „მე ასეთი საქართველოს სადღეგრძელო არ მინდა, მე ვსვამ ისეთი საქართველოს სადღეგრძელოს, რომლისთვისაც ზვიად გამსახურდიამ მოკვდა!“

აფხაზეთიდან დევნილთა უმრავლესობის სახელით, სოხუმის გაეროიანებული ავიარაზმის ტუ-134 ხომალდის მეთაური

ორესტი (ზაურ) ბედი

გიორგი სოსიაშვილი

ცალყურა გვალი

გულჯავრიანი ნავიდა ცხოვრებული მამაჩემი, კვდებოდა და ვხედავდი მის ჩამქრალ თვალებში სიცოცხლის მზე როგორ ჩაინფერა. ოღონდ ეს მზე, ჩვენი მზისგან განსხვავებით აღარ ამოვიდოდა, მამაჩემისთვის აღარ გათენდებოდა. ადვილი საქმე არ არის სულ დავაძაბება. სულ დღეც არ არის ადვილი საქმე. ეგრეთა, მოწყვნი იცის ყველაფერმა და იმიტომაც გაუჩენია დოლოცილი ღმერთს დღეც და ღამეც. მზე მთვარეს ენბარება, მთვარე – მზეს. ერთმანეთს ასევენივენ, ადამიანთა ცქერით ასევენივენ. მათი ნება რო იყოს, იქნებ ცას არც გაეკარნოს და დედამიწას აღარასოდეს დახედონ, მაგრამ ეგრე სად არი, მზეს როგორც უნდა ან მთვარეს როგორც სწადია, სამყაროს დიდ ტრაჰეზზე მყოფი თამადა როგორც იტყვის, ისე იქნება.

— ღმერთმა რო მოინდომოს სულ ღამე იქნება? — გიგლამა მკითხა, ერთმა ჩემმა დისშვილიშვილმა, იმასაც ჩემსავით ნოპიანი ზრეები აწუხებდა.

ჰო, სულ დაღამდება—მეთქი. იმაზე საძინელი დასახანი არაფერია, როგორც მომაკვდავი კაცის თვალებში მიბუთული მზე. მამყარო სრულდება, სამარადისო უკუნი ჩამოდგება და მისი სიცოცხლის მნათობი ბოლო წუთებს ითვლის. რამდენი ადამიანიც მოიდა და მიდის, იმდენჯერ იბადება და კვდება სამყარო, მტანჯველ, მრავალი ტკივილის მოწყენებელ გოლგოთის აღმართის მიუხედავად, ტკიპილია სიცოცხლე ტკიპილი და ეს ცხოვრებული, მალ-მალე რო იტყვინა ხოლმე გაბრაზების დროს: „მაღლე მოგმდებრით, მალე გაგეცლებებით“ (თან ერთი ჩვენივეთი კაცის, ყაფლანას სახელი ჰქონდა ამორჩეიებული. სასაფლავის ემიგრანტი იმ კაცის ბალი და სად აპირებ ნასესალსო, დედამეტი რო გულბრუნველი შეეკითხებოდა, ყაფლანას ბაღის თავშიო). პატარა ვიყავი და ვერ ვხედედით, რატომ უნდოდა ყაფლანას ბაღის თავში ნასესალ მამაჩემს, ან ჩვენ რატო გვემუქრებოდა. მე, დედამემს და ჩემს დას თავისი სიკვდილით გვაპინებდა.

რა ვიცი, რამდენხანი კაცს აჩენს ის დოლოცილი ღმერთი. მამაჩემის ყოფნა აუცილებელი იყო, ალბათ, მინახე, თორემ უფალი რატო მოიყვანდა? საცოდავი თვალებით ამომცქერდა მომაკვდავი და ვგრძნობდი, როგორ ენახებოდა, როგორ არ ეთმობოდა სიცოცხლე. თან კიდე... ჩემი დარდი მიჰყვებოდა, თვალებში ვკითხულობდი, მამაჩემის ამოღამებულ თვალებში, ბოლოჯერ რო ხედავდა მზის მუქს, ყურში მიწიოდა მისი სიტყვები: „კია კაცს როდის იყო კია შვილი გამოსოფლდეს, არაფერი შენგან არ გამძლე. უე აღარ ვიქნები, მაგრამ სხვები ხო დანახავენ, როგორ მარჩინალა კაცად შერჩები წუთისოფელი“.

როგორ უნდოდა, რო ვყოფილიყავი თავისი ხანი, ისეთი, როგორც თვითონ იყო. მას ყველაფერი გამახვილებული ჰქონდა: სენა, ყნოსვა, თვალისჩინი. სამართებელივით გაეღეს ცხოვრება მამაჩემი, რომელსაც უმარტო გაჭირვება გამოეყვინა. იჯდა და სიამაყით იხსენებდა ხოლმე ქობინად გამოსულმა კაცმა, ღარიბ-ღატაკმა, მძიერ-ტიტულმა როგორ ღონივრად მოუსკა ცხოვრების ზღვაში მკლავური, როგორ შექმნა ხვალბ-ხვალბით ოჯახი.

მე ჯერ ცხოვრების ზღვის მოყვალყავე ტალღები არ მენახა, მაგრამ მამაჩემი სულ ამ წვირითზე ლაპარაკობდა და სიმართლე გითხარა, ცხოვრებას მაჯავრებდა. არადა, როგორსაც ხატავენ ადამიანები წუთისოფელს: მუხთალს, გაუტანელს, ათასი ხაფანგებით სავსეს, სულაც არ არის ასეთი და ადამიანმა, როგორც ვხედავ, თავისი რაღაცეებით დაბარალა ცხოვრებას. დაბარალე-ბაზე ადვილი და კია რამე ადამიანისთვის რა არი? თან ცხოვრებას რო ვადაბარალე, რომელიც თავს ვერ გაიმართლებს. რა ქნას დრომ, წუთისოფელმა, ყველა სივარდახეს ცხოვრებას აბრალელებს, გეგონება ანგელოზი ადამიანები მას ნახედილის.

მამაჩემი, მომაკვდავ მამაჩემს ვეცოცდებოდი. იცოდა, ჩემი უხვირო (ურთიერი ვერაფრის გავხედობდი ცხოვრების ზღვაში, მარიფათი მაკლდა. ეს სიტყვები მისგან ხშირად მესმოდა და ვიყო, რო მარიფათი მაგარ კაცს ნიწნავდა, გაქეილ კაცს, ფულის მმოვნელს, ისეთ კაცს, ცარიელი ქვაზე რო დავგესვა ცხოვრება არ გაუჭირდებოდა და ეს კაცი — მამაჩემი — ხვდებოდა, რო მე მარიფათიანი არ ვიყავი. ფხა მაკლდა. მე ხოლონის ბიჭები უშვაკობით მოკვდინდნენ და ამაზე ჭკურადან გადადიობდა. სხვებთან შედარებით სუსტი ვიყავი, მალ-მალე ვა-ვადამყოფობდი. იმას ეგონა, ხამოხობდებოდით თუ არა, მის ნაშრონ ქონებას მეც მიეუმატებოდი რალაცეებს, მაგრამ მიხვდა, რო ჩემგან „არაფერი“ გამოვიდოდა, ხელი ჩაიქნია, ჩველებური სიმკაცრით აღარ მთხოვდა, რო „მგელი“ ვყოფილიყავი. არადა, სულად არ მიწოდდა მგლობა. ვინც ჩამიფიქრა სინამდვილემი ღმერთმა, გასურდა ვყოფილიყავი, ის მეპოვა. ჩემს პატარაობაში ტანამით სიარული აკრძალული იყო. ერთი კაცი ცხოვრობდა ჩვენს სოფელში, გალავანის სიხლოვეს, „ამაშას“ ეძახდნენ. არადა, მამაო არ იყო, რუსეთის სასწავლებლად გაეგზავნათ მომობდა, ქსელაქი აღარ მასსოვს. ბოლომდე არ დაასრულა სასწავლებელი. ჩამოვიდა თავისი სოფელში. ეკლესიაში მედავითნად ყოფილა, მღვდლისთვის აპირებდა, მაგრამ მერე რალაციით ხელი შეეშალა. იმ კაცთან ხშირად მივიდოდი ხოლმე, მამაჩემის ჩუმადა. ეს რო გაეყო, მეც მიმასიკვდილებოდა და „ამაშასაც“, რომელიც მის შვილს ჭკუა-გონებას ურევდა.

თავიდან ისეთი წარმოდგენა მქონდა, რო ბევრი ლოცვის და მარხვის შემდეგ ღმერთს დავიბნავავდი და ქვეყნიერების გამძიერ წყალობას გამოვიტყებოდა. მერე და მერე შემეცვალა აზრი და ამაში „მამაო“ დამეხმარა. მან მისწავლა, რომ უნდა მეპოვა ღვთის ჩანაფიქრი, ეს იყო ამქვეყნად ჩემი მოსვლის მთავარი მიზანი. ამ ჩანაფიქრის პოვნის გარეშე ადამიანი ვერ იქცევა იმ არსებად, ღმერთმა თავის ხატად რო შექმნა.

გვრძობდით, რო მე თუ მარიფათიანი კაცი ვიქნებოდი და მამაჩემის იმედება გავამართლებდი, ცნობილი კაცი გავხდებოდი, რომელსაც თვალბებში ციციბით დელაპარაკობდნენ და, როგორც მას უყვარდა გამობრუნება, „დაკუნტული ივლიდნენ“, თუმცა, ვერაფრეს ვერ გავხდებოდი

ადამიანი. ღვთის ჩანაფიქრს ვერ წავანყდებოდი ჩემში. პოვნას ვინ ჩივის, ძებნასაც კი თავს მივანებებდი და ამიტომ უნდა აპერჩია ორი გზიდან ერთ-ერთი. ერთი იყო მამაჩემის გზა, უნდა დავდგომოდი მგლური თვისებებით ან ცხოვრების სავალს, მემეჭამა ის ხალხი, ვინც გზაზე შემომხედებოდა და რალაციით ხელს შემიძლია. მერე გზა — ჩემი გზა იყო, საკუთარი თავის პოვნის, როგორც ვთქვი, ღვთის ჩანაფიქრის აღმოჩენის. ცხოვრების ზვირთებთან ბრძოლას, მე მერჩია, საკუთარ სულში არსებულ ტბორში ჩამეყვინოთა. არიან კაცები, ცხოვრების ზღვას გადაცურავენ, მაგრამ საკუთარ თავში პატარა გუბები იხრჩობიან.

„მგელი უნდა იყო! არ შეჭამ და სხვები შეგჭამენ. ეგრეა ცხოვრება. ცხოვრებას არ უყვარს, სუსტი, მხდალი ადამიანები, ცხოვრება მგლებისთვისაა. მგლობა ტყემლი ცხოვრებას და ღვთის ჭამას არ ნიწნავს, აქ მგლობა მარიფათია, სიფიხლეა, ალღოა“.

და როცა მამაჩემის სიტყვები მახსენდებოდა, ვფიქრობდი, სად არის ნეტა ჩემისთანების ადგილი-მეთქი.

კვდებოდა მამაჩემი და მიჰქონდა ჩემი ჯავრი. იქ მიჰქონდა, იმ ცხოვრებაში, რომლის არსებობის არასოდეს სწამდა. მას დღემდელი კვერცხი უჯობდა ხვალინდელ ქათამს. ქათმის გახსენებაზე მუდამ სისხლის მქსნის მტვრინება მაქვს. თუთის კუნძზე დავადებინე ბავშვობაში ყელ-ტიტველა ქათამს თავი. აქეთ მამაჩემი მადგა, იქით — დედამეტი. ქათამი ამომცქეროდა და ვერ იჯერებდა, თუ ის ბავშვი, რომელიც ყოველდღე საბუდრიდან კვერცხებს აცლიდა, ერთ მშვენიერ დღეს მისი ჯალათი გახდებოდა.

— ქათამი ქათამია, დაკლა, შეჭამ და მორჩა, — იტყვის კაცი, მაგრამ ყელტიტველა, სასიკვდილოდ გამეტებული დედალი ისეთი თვალებით ამომცქეროდა, მეგონა, რო ეს მხერა საიდანაც მასსოდდა. არ ვიცი, ოღონდ საიდან. ამაზე პასუხი არ მაქვს. იქნებ სიზმრიდან იყო, ვილაცის გაკვირვებული თვალებით, თან შემხებულთ, იქნებ წინა ცხოვრებიდან ან სულაც მომავლიდან.

მამაჩემი მიყურებდა და ხან მე მომაშტერდებოდა, ხან დედამეტი, რომელსაც სულ ეჩხურებოდა და იმაზე ლაბინავდა, მე რო „ბავშვები გამზარდა“.

დაკალი, მიდი, რას გამტერდი! წალღიანი ხელი გამეშობოდა, უცნაურად დავცქეროდი. არასოდეს დამავინყებდა იმ საცოდავი ქათმის თვალებით, რომელიც, სანამ კვერცხს გვადლედა, სანამ მის თიხოდ მოხარულ კვერცხს შევეცეყოდი, მისი დაკლა არავის მოუფიქრებია, როგორც კი მობრედა და კვერცხის დება შეხვიტა, მაშინვე თუთის კუნძზე დაადგინეს თავი. ძველისძველი, ანდრა პაპასული წალი მეჭირა და ქათამს დავცქეროდი, რომელსაც ვაული ვამალებით უცემდა და კიდევ ჰქონდა იმის იმედი, რო მის დაკვლას გადავიფიქრებდი.

— მიდი, შენი... ხელი წამარტყა მამაჩემმა. იმას ის უფრო ეჩქარებოდა, ჩემი ხელით დაკლული ქათამი დანახვა. სისხლით მოსარგული ჩემი ხელით ეხილა, ქათმის დაკვლით როგორ შემეცვლებოდა სახე... წარმოედგინა, მამაჩემს რო მეხებე-დვდი და თვალბით ვეცქეროდა: „აჰა, ხო დავკალი, არც ეგეთი დამბოლა ვარ, როგორ შენ გგობია“.

„ამ ქათმის დაკვლამ იქნებ ის გამაოჩინოს მასში, რაც მე მიწნდა, ცხოვრებასთან მეტობის ყინი, ადამიანებთან ბრძოლის ყინი. იქნებ არსებობს და ჯერ ვერ ვხედავ?“ — ამათ ფიქრობდა მამაჩემი.

ყელტიტველა ქათამს შეიძლება მგელი გაეღვიძებინა ჩემში, რომელიც, ვინ იცის, რას ვაკეთებდა მერე. მე და ქათამი უცნაურად შევეცქეროდით ერთმანეთს.

— დაკა-მეთქი! — დამიყვარა მამაჩემმა. ვგრძნობდი, რო რალაც დიდ გზაჯვარედინზე ვიდგე და შეიძლებოდა საშუალებად დამეკარგა თავი. ვილაცამ ჩამწურულა, დედამემის ხმას მივაშტაკე! — „მე შენი მშობლებისთვის არ მოსულხარ ამ ქვეყნად“.

ცას ახვადე. ისეთი ცარიელი იყო, თითქოს ერთიანად გამქრალიყვნეს ცის ბინადრები და ეს სიცარიელე იყო კითხვის პასუხი.

დავაგდე წალი, ქათამი გაეშვი და დავიჭმე. — სად გარბინარი, მოდი აქა, შენი... — მამაჩემი გინებოდა გამომეკიდა. მომდებდა, თითქოს იმ ყელტიტველა ქათმის ფრთები გამომესხა. კი არ გავრბოდი, მიფრინავდი. მამაჩემის სუნთქვა და გინება მესმოდა. ვერ მომწვდა, რომ დავეჭირო, მიმასიკვდილებოდა. რატო, არ ვიცი... ქათმის არდაკვლაც კი შეიძლება ბავშვის დასავის მიზეზი გახდეს.

მომაკვდავი მამაჩემი ხან ჭერს მიასტერდებოდა, ხან მე. რალაცის თქმა უნდოდა, მაგარამ ვერ ამხრებოდა. სიკვდილისა არ ეწიონდა მამაჩემს. ის თვალბებში მიში არ იყო, სიცოცხლე არ ეთმობოდა, ენახებოდა.

„ეს წუთი სულ უნდა გახსოვდეს, ადამიანის სულთან გაყრის წუთი. ბევრი უნდა იფიქრო ამ წუთზე და აღარ გაგიჭირდება ცხოვრება. ეს წუთი ცხოვრებას მარტოც ხდის. — მომეჩვენა, რო მამაჩემის მაგივრად მე ვფიქრობდი. თითქოს მისი სიცოცხლის მზის ჩასვლის უამს, მამაჩემის ტვინში შეღწევის საშუალება მომეცა უფადაა. მის მომაკვდავ ფიქრებს ვკითხულობდი, უშობელ ფიქრებს. მიშით იყო სასეე მისი ტვინი. კვდებოდა და მომავლეს, ცხოვრების მიში მიანიც ვერ მოემორებინა. რა ფასი აქვს ეგეთ სიცოცხლეს, როცა თითოეული ღვთის გათვინებას გემიზია, როცა საკუთარ ცხოვრებაზე ხადირობ, საკუთარ თავს გამხეცვებული დარაჯობ. სინამდვილემი ისე მიდიოდა, ისე ეთხობებოდა სიცოცხლეს, რო საკუთარი თავი ვერ აღმოეჩინა. თავისი უცნობი ცხოვრების დაკეტილ გვირაბში ვერ შევიღნია. ამაზე დიდი უბედურება რო უნდა იყოს, როცა ხვდები, თანაც სიკვდილის წინ, რო სადღაც გაღმა დარჩა შენი ნამდვილი ცხოვრება, შენი ხელუხლებელი თავი, რომელიც ისე მთავრდება, რო ნაბიჯი არ გადაუღვია.“

სხვა კაცი იყო მამაჩემი და ეს მხოლოდ მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ვიგრძენი. ცხოვრების მიშიმა, თავის გატანაზე ფიქრმა აქცია ის სხვა რამდენად და მიხვდი, რო მამაჩემიც ისეთი იყო როგორიც მე. ცხოვრებასთან ბრძოლამ ისე შეიყვანა „მგლის“ რომლი, აღარც გახსენება თავისი ნამდვილი „მე“ და მომაკვდავის ფიქრებს რო ვათვალისწინებდი, ესე მეგონა, საკუთარ თავში დავბრირალობდი. უკანასკნელად ამომხედა, ამომხედა სიკვდილსმინებელი თვალებით და გათავდა. ხელი მოვიკიდე, შევაჯახჯვლარე. ფრთების შეხება ვიგრძობდი, ამ მომხვენიება, ანგელოზებს მიჰყავდათ მამაჩემის სული.

*** მგლად ვიქეცი. ხო მეუბნებოდა ის ცხოვრებული: „მგელი უნდა იყო, მგელი, თორე ცხოვრება მითივით ამოკადნეს ილიაში, დედას გიტრებს, გაჩენის დღეს განყველინებსო“. არ ვიცი, ალბათ, ეს ჩამყავა, თუ როგორ ავხსნა. სიზმარი კი იყო, მაგრამ ასე მეგონა, რო ცხადმი მოხდა ყველაფერი. როცა თვალი გავახილე, ჩემ სხეულს კარგა ხანი ვათვალისწინებდი და ადამიანად ყოფნა მიკვირდა.

— აუუუ, — დავიყმულე და ღვირბისთვის ბებერი მთვარეს ისეთი მწყურალი მხერით ავხედე, თითქოს ხადღეს მიმალავდა. კიდევ დავიყმულე, უფრო ძლიერად, მინდოდა, რო ერთიანად ამომეჭვა ჩემი მგლური უბედურება და ერთხელ და საშუალოდ ვათვისუფლებულიყავი.

ქარმა წამოუბერა და ხამქერი მომაყარა. სიცივე აქამდე არასოდეს მოაქმენია, მაგრამ ვატყობოდი, რო წლებს თავისი მიაკვს ვინც გინდა ის იყავი, გინდა მგელიც და გინდა არნივი... ყველა ბერდებდა, ყოველი ღღის ბოლოს სულ უფრო და უფრო ახლოს ისმის სიკვდილის სუნთქვა, გაიხლოვდება არყოფნის სუნი, რომელსაც ერთიანრად გრძნობს მგელიც, ადამიანიც.

უფრო გაძლიერდა ქარი. თვალბები დავხეუჭე, ვაგირინდე. თვალის დახუჭვა იყო და მთავრე უცბათ შეიმალა ღრუბლებში, ჩაიფუთნა, ჩათბა. მიძველ ტყეს ისევ მოახყდა ქარი. სიცივე ვიგრძენი ძვლებში და ისევ დავიყმულე. ეს უკვე მერამდენედ დავწყველე გაჩენის დღე. ჩემს გაჩენაში ღვთის ხელი რო არ ერი, ბავშვობიდანვე ვიცილი, უფრო სწორად ლეკვობიდან. ასე მეგონა ჩვენითვის — მგლებისთვის არც ადგილი მოეცა გამჩენს, არც ლუქმავაური. ამა რო ცხოვრება, ისეთი ცხოვრება, როდესაც სულ სხვის შეჭამაი ხარ, მწიფის სხვა-ნაირი ყოფა არ არსებობს. მხოლოდ ერთი რამის გამო არსებობ — უნდა შეჭამო, სხვანაირად მგელი ვერ იქნები. ეს ჩვენითვის ჩვეულებრივი ამბავია და რაც სხვა არსებებისთვის ცოდვად ითვლება, ძალა-აღობა, სხვაზე თავდასხმა, ის მგლებისთვის ცხოვრების კანონად დაუწყობილს გამჩენს.

დაბოლოში შუქი კნობდა. ციცქნა სოფელი თვლებში. სიჩუმეში იყო შიშველი ტყე გარინდული. მგლის სუნს გრძნობდნენ სოფლის ქოფაკები. მიშნარევი ყეფა ისმობდა. თავის გამჩენა უხედოდათ პატრონების წინაშე. ყეფდნენ, მაგრამ ჩემი სუნი მიჰქონდა სოფლისკენ ქარს და ვგრძნობდი როგორ ძრწოდნენ მიშით. მგელიც ძალღია და ძალიც ძალღია, მაგრამ ჯჯჭმება და სამადლო ლუქამ მათ ყეფა დაანყინა. სოფელში ჩასვლა მეზარებოდა, თუმცა ცოლი და ორი ლეკვი მელოდებოდა. ჩემ მიშიღეს აღარ ვჩიოდი, მიშიღეს მიჩვეული ვიყავი. როგორც ძალღია მიშიღეს გადაჩვეული, ისე მგელი - მამღარ კუჭს. მიშიღმა მგლად დატრავა მგელი, სიმამღრემ ყეფა და ლაქუცი ასწავლა ძალს.

გაყინულ თოვლზე ნაბიჯების ხმა მომიყურადა, სმენად ვიქეცი. თითქოს ვილაც მიასლოვებოდა. ამ ქვისტებრებში, შუალანისა აქ ადამიანს რა მოიყვანდა? ღრმად შევისუნჯე ჰაერი, მგლების სუნი მცემდა, ოღონდ უსურ მგლებს არ იყო, სუნი მეცხო, ჩვენი ხროვის მგლების სუნს მაგონებდა.

— აუუუ, — მთელი ძალით დავიყმულე. მთავრედ გამოიჭყიტა ღრუბლებიდან და ისევ დამიძალა, — აუუუ, — ისევ დავიყმულე, — სულ უფრო ძლიერად ვიგრძენი მგლების სუნი. მეგონა ისინიც დაიყმულდნენ, გამომეპასულებდნენ და საყვედურს მეტყობდნენ, ჩუმადა რო წამოვედი ხადავლის საშოვნელად.

არავინ ჩანდა, ვაფიყურე ცოტა ხანს. მგლების სუნი აღარ მიგრძენია, არც ნაბიჯებში ხმა. მეგონა, რო შორიდან ვილაც მითვალთვალებდა, უფრო სწორად ჩვენი ხროვის სამეფა ხეების — კოჭლს, ბეყას“ შვილები მომდევნებ და ჩემს შეჭმას აპირებდნენ. სამეფმა მგელი ორიოდე კვირის წინ შეჭამა და პირველი, ვინც მძინარე მგელს კბილი გაჭკრა, მე ვიყავი.

ერთი რამით გვეჯობიან ძალღები, ოღონდ ვერაფრით ავხსნი, ჯჯჭვზე გამომხული და პატრონის სახადლო ლუქმაზე მყოფი ქოფაკი მართლა ასე იქცევა, თუ ადამიანების მოგონილია: „ძალღი ძალღის ტყავს არ დახეკს“.

თავისუფლებში მყოფი მგელი ხროვაში მყოფ ბებერ, სუსტ მგელს არ იმბობს. მგელს ძალღი არავის სისხლს არ ერევს, იმობაში მყოფი ძალღისგან განსხვავებით. თავის ნილ წუთისოფელს რო ყეფა-წაკვანკავს და კუდის მაამებლორ ქიცინი ატარებს, ის სხვა ძალღს არ მეჭამს. რალაცა სიკეთე ხო უნდა დაეტოვებინა ჯჯჭვზე გამომხული ძალღისთვის ღმერთს? ალბათ, ეს არის.

ჩემთვის პირველი მგელი ბებერი „ბეყა“ იყო. საკლებელი გვევადეა მჭავე წყლის ხევის სოფელი. სინარბ ყველგან არი, მოზობამიც და თავისუფლებამიც. მაგარამ მგელი უფრო ხარბია, ვიდრე ძალღი. ძალღის სიხარბეს პატრონის შიში და ჯჯიბი აოკებს და კიდევ იმის იმედი, რო ლუქმას ხვალაც გადაუღდება. თავისუფლებამი შენი თავის მეტი არავინ გყავს ლუქმის მიმოდებელი და სინარბესაც არავის გიშლის. ერთი კომლი არ დავგრჩა, ყოველდღე ახალ-ახალი ხორციტ გვეძინდა გაქრინილ ღამეში. ავანოკეთ მთელი ხეობა და მერე იმათ ავგანოკებს. ამდენი თოფი ერთად არ მიწნახა. დიდი და პატარა გამოვიდა. სოფლებს გარშემო საფრებო დასერუნეს. ოცდამეცხრედი მგლადან თერთმეტიდა იხვრით. იქ რო ანდაზაა — „მგლის მიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო?“ ჩვენთან იციან — „კაცის შიშით ხორცზე უარი ვის უთქვიაო?“ ვერც ამ ჩასაფრებებმა დავგაოკეს. ქარი გავქეზებდა, მიშიღლით რო კუჭი გეგნის და ფერდელი ერთმანეთზე გაქვს მიხებებული, ამ დროს საქონლის სუნს შემოგიტანს ბუნებამ ზამთრის მანანხალა ქარი. როგორ გინდა ვეძებო. მიწერ მგელს რო უშობელი დეკეულის, ან ქორფე ბატკნის სუნი მოგელოტინებს, ამ დროს სულ რო თოფიანი კაცები იყენენ სოფლის გარშემო, არ განალულებს. ბუნებამ მიიერი ლეკვით რო ერთმანეთს ლოკვენ და შენი ჰუ მგელი საყვედურით სასეე მწერი გამოგვადვას... ფეხებზე კვიდია მერე სიკვდილი. მგელს ისედაც ფეხზე ჰკიდა არყოფნად და მიიერი ცოლ-შვილის ცქერა რა დღეში ჩავაგადებს, უფრო გაგაამგლებს. კურდღლის საფანტით დაჭრილმა ცოლმა მკითხა ერთხელ:

— ადამიანებად რო გავჩენილიყავით, ნეტა როგორები ვიქნებოდით? ნეტა საიდან გაუჩნდა ეს კითხვა, მგელსაც აწუხებს ხადდახან გიჟური აზრები... ადამიანები რო ვყოფილიყავით? არ ვიცი... მგელი არასოდეს ნატრობს ადამიანობას, ადამიანი კი მგლობას ენსარაფვის.

„მგელი უნდა იყო, მგელი!“ ისევ ამოვარდა ქარი და ჩვენი ხროვის მგლების სუნი კიდევ უფრო მძაფრად ვიგრძენი. ის კი არა, ზუსტად გამოვიცანი რო კოჭლი „ბეყას“ შვილები სადღაც აქვე იყენენ, ფხვდაფხვ მომდევნებ და ჩემზე თავდასხმას აპირებდნენ. ვერ მოეხებლებინათ მამის ამბავი, ვერც მოიხებლებდნენ. ხროვაში გამბედაობა არ ეყოთ, თორემ იქვე გამომადრადენენ ყელს და ჩემს სისხლს დაენაფებოდნენ. მგლისთვის სინანული არ არსებობს, მგელი და მონანიღმა შორი-შორს არიან. მეც ეგრე ვიყავი, არასოდეს არ ამჩუყებია გული ჩემს ნაშოქმედარზე. რაც მე უშნეო ბატკნები გამიფატრავს, რაც მე უშობილებისთვის ფაშიე გამომიჭამია, მგელი ვარ და ამ რალაცეებზე ფიქრით რო ამეტკივინა თავი, მგელი აღარ ვიქნებოდი. უნდა იცხვოერი ისე, რისთვისაც მოგიყვანა დედამიწის დამკრთალებოდა. სხვაბაირად როგორ იცხვებოდა? მგელი თუ კურდღელი გახდა და კურდღელი ტურად გადაიქცა, ღმერთი საქმეს დაკარგავს და მთელი სამყარო ხელიდან გამოეცლება.

მომაკვდავი კოჭლი „ბეყას“ თვალბი სულ თან დამდევდა, სულ თან დამყვებოდა. ბებერი მგლის თვალბები ტრებოდა ცეცხლი, ინაცრებოდა მისი მგლური წუთისოფლის უკანასკნელი მთვარე და მიღვეთლოდ მზერაში საოცარი გაკვირვება კრთოდა. ადამიანებს გადაუღნა, ვეება ხაფანგს თავი დააღღია ისე, რო საკუთარი ფეხი თვითონ მოჭამა და ვერასოდეს წარმოიდგენდა, რო პირველი მე ვეცემოდი და მისი სისხლი ღამეში გავისვლებოდა. არადა, ხაფანგის წაკაპანის ხმა ელავც ჩამეძმის ყურში. მეც იქვე ვიყავი, როცა ტყის დაბლა, ბებერ ფმატებთან, ძველი ციხის ნახვრევის გვერდით იაჟური მონადირეების მიერ დაგებულ ხაფანგში გაება ბეყა. ბებერი მგელი წინ მიგვიძლიდა. ხაფანგის სიხლოვეს ახლად დაკლული ცხვრის ტყავი დაეგდით. ხორცის სუნმა მიგვიტყუა, თუმცა ბეყა გამოცდილი მგელი იყო და პირველი თვითონ მივიდა. ნკაპ, ერთი ეს გავიგე და აფართხალდა ჩვენი ხროვის წინამძღოლი. სიმნრით ღამის ძირი გამოაცალა ფმატებში. გამნარბული ფხორტბიდა, თათები დაუსისხლიანდა, თუმცა ერთი არ დაუკუნესია. ხაფანგში ჩაყოლილ ფეხის ტკივილს ოდნავ არ შეუცვლია მისი გამოხედვა. ტკივილის გამოხატვა არ შეეძლო ბეყას თვალბს.

ახალი მოფიფული ბეგი, სადაც ფმატები იდგა, ბეყას სისხლი შეიღება. ჩვენი ხროვის წინამძღოლი უცბათ მიგვაყინყდა. თონხი თუ ხუთი ვიყავით, სატყურად დაგდებულ ახლად დაკლულ ცხვრის ტყავს ვეტაკეთ. აქა-იქ შერჩებოდა თონხი ამოღებულ დედალ ცხვარს კენს, ჩხუბი მოგვივდა. როცა მგელს მიიერი კუჭი აქვს, არაფერი დაეფიცება, არც მეგობრობა... ცხვრის ტყავს აქეთ მე და „ბალონჯო“ (ყველაზე დაბალი და ხანტი მგელი იყო) ვითრევიდით, იქით „ჭანია“ (მონადირე ლაჯებშია გაუტარა კურდღლის საფანტი და ჰუ მგელს აღარ გაჭკარებია, ამიტომ „ჭანია“ დავარქვით) და მისი ორი ამფსონი. ვერ დამჯახნეს, ბოლოს ცხვრის ტყავს მივანებეთ თავი და ერთმანეთის კბენაზე გადავდეთ, მგელმა მგლის კბილი თუ არ იგრძნო, ის ვერ გაიგებს მეჭმის ტკივილს.

ერთმანეთი დავასისხლიანეთ, ცხვრის ტყავს თითქოს ვეღარც ვხედავდით. ვიგრძენი როგორ მწარე ემეტი ჰქონდა ჩემს მოდგმას. კისრიდან სისხლი ჩამომდიოდა. ვიდექით პირისპირ და ვეკახებოდით. ერთმანეთის მეჭმის თავი აღარ გვექნება და ამ დროს ნამოგვადგა ხაფანგიდან გამომმერალი „ბეყა“. ახლოს მოვიდა, ცეცხლიანი თვალები კიდევ უფრო უარესად აგინებოდა. გვიყურა და ბოლოს აღმართს კოჭლობით აუყვა, თან სისხლის კვალს ტოვებდა. შევხედეთ და ერთი ფეხი აღარ ჰქონდა. თავისი ფეხი თვითონვე მოუჭამია და ისე გაუთათისუფლებია თავი, სანამ მონადირეები ნაადგენდნენ და თონხი ამოიღებდნენ. პირველად ვნახე საფანგა მგელი. მიდიოდა გამნარბული „ბეყა“, მაგრამ არ იმჩნევდა, რო ერთი ფეხი აღარ ჰქონდა.

კარგახანს ავცქეროდი ახლადამოთოვლილ ფერობს, სამი ფეხით რო მიუყვებოდა ჩვენი ხროვის წინამძღოლი და სისხლიან ზაკვალეს ტოვებდა.

ფმატების ძირ

უნდა გაეგებოდა და ის ვიღაც მე უნდა ყოფილიყო. ხროვის წინამძღოლობა მომინდა, მაგრამ ამდენ მგელთან როგორ გინდა შენი უპირატესობა ამტკიცო? კბილები და ბრჭყალები ყველას ჰქონდა, კენჭა-ღრენა და საშოვარზე გასვლა არავის ესწავლებოდა, მამ რა? რალაც უნდა გამეკეთებინა ისეთი, რაც მათგან გამომარჩევდა და ჩემს მიმართ სხვა მგლებს მოკრძალებას გაუჩინებდა. სამი ფეხი კი ჰქონდა „ბეყას“ დარჩენილი, მაგრამ იმისი სისასტიკე და დაუნდობლობა რო ასხენდებოდათ, გული მისდობდათ შიშით. არც ისე იყო დაუსძლიებელი, რო ვერე ადვილად შეებნებოდათ ეს ამბავი. კბილის ერთი გაკვირთი ნებისმიერ მგელს გაფატრავდა. „ბეყას“ მერე პირველობა ბევრს უნდოდა, მაგრამ სამფეხა მგლის ძიშით ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. ვაითუ, არაფერი გამოვიდნენ და აქეთ შემჭაბოს ხროვის წინამძღოლმაო - ფიქრობდნენ. ფეხი კი დატოვა ხაფანგში „ბეყას“, მაგრამ თვალები, თვალები ისევ ისეთი ჰქონდა. თუმცა, დამარცხებულ მზერას მაინც ვამჩნევდი. გრძობდა ამას და ცდილობდა არ შეეტყო, ცდილობდა ჩაღველილი ცეცხლისთვის სული შეებერა, მაგრამ არ გამოსდებოდა, მისი თვალები ვეღარ მიმკლავდებოდნენ...

ეს იყო მისი ბოლო ღამე. ახალშობილ მთავარს ასცქეროდა და თავს ისე ამოძრავებდა, თითქოს ღამის მნათობს დრუნჩით ეფერებოდა. გრძობდა, რო ნუთები დათვლილი ჰქონდა. გამოქვამული კოჭლობით შემოვიდა, გადმოგვინდა, თითქოს წინასწარ იცოდა რო პირველი მე ვეცემოდი. თვალეში ამდგები მზერა ჩაუღდა. ვიგვიჩინა, როგორ დამეცინა უკანასკნელად და გაიფიქრა: „კი შემჭამ, მაგრამ წინამძღოლი ვერასოდეს გახდები. იმ მოჭმული ფეხის ფასიც არ ხარ, ხაფანგი რო ჩავტოვე“. ბევრი ფიქრი არ დავაჯალე, ბელადის სისხლით მომეხუზუნა ლამები. პირველად მე ვიგრძენი „ბეყას“ სისხლის გემო. პირველად მე შეებნე და ხროვის წინამძღოლი გავხდი. შვილიც კი არ მიეხმარნენ, სად გაშენებ, არ ვიცე. გამოქვამულიდან გაცვივდნენ რო თავი გადაარჩინათ. ყველა ბელადის შვილებს ეს დღე რო ელოდებოდათ არ იციან. ერთი დრო არც მეფეს მერჩება და არც ხროვის ბელადს.

როგორც კი მისი სისხლი გავლოკე, მაშინვე ვიგრძენი რო პირველი გახვდი ხროვში. სხვანაირი შეგრძნება პირველობა. შეკარდა ბეყას ერთი დაფეხედ და გამოქვამულიდან გავიქრო. მთავარე მილიძოდა. ახალ ბელადს ჩამომეცინა ციდან. ღრენის ხმა მესმოდა, უსულო სამფეხა მგელი გაფატრათ და ვეღარ იყოფნენ. ცოტა ხანში დაუშარცხებელი „ბეყასგან“ მხოლოდ გამოკურტილი ძვლები დარჩა. თვალში არ ვუჯერებდი. რამდენიმე დღის წინ, სახამ ხაფანგში ფეხს დატოვდა „ბეყას“ თვალების ბრიალზე ელეო-მელეთი მოგვდიოდა, ახლა კი, გამოკურტილი ძვლები ეყარა. თვალეში შემოცვივდნენ ჩვენი ხროვის მგლები. თითქოს რამდენიმე საათის წინ მათ გვერდით არ ვიყავ, როგორც ჩვეულებრივი მგელი. თვითონ უფრო მაგრძობინებს ბელადობა და პირველობა. ბელადს უცბათ ავიწყდება წარსული და ამასი გარემოში მყოფნი დიდ დახმარებას უჩვენენ.

„ბეყას“ ცეცხლოვანი თვალები უცბათ გადასასვლეს მძიმედ და ხელმოცარულმა მგლებმა. ბელადი სწორედ ასეთი ხელმოცარული არსებების ლუკმა ხდება და მეც ეს დღე მომელოდა, თუ „ბეყას“ გზას დადავებოდა და ღირსების შენარჩუნების გამო ხაფანგში გახმული ჩემივე ფეხს მოვიჭამდი. ღირსების გადაარჩენა სიცოცხლის ფასად დაუჯდა ჩვენს წინამძღოლს და რა უფრო ერთია „ბეყას“, ხაფანგში გაბმულს რო წამოადგებოდნენ მონადირეები და სულს გააფრთხო ბიჭუნდნენ ის, თუ თავისი დონა-მოარჩილების ლუკმა რო გახდა. სამფეხა ბელადი არავის უნდა. საკუთარიბა მენი სისუსტე იგრძნონ და თვალეში არ დაუჯერებ, ისეთ რამეს მოიმოქმედებენ. პირველი მე რო არ გამეკრა კბილი, მთელი ცხოვრება სანაწილად დამარჩებოდა. ერთხელ მომეცა ბელადად ქცევის მანსი და ხელიდან გავუშვარ-მეთქი? ძალაუფლება და სინანული შორი-შორის არი. წინამძღოლობა თუ გინდა, სიბრალულს შენში გასაქანი არ უნდა მისცე.

„ბეყას“ შვილები ჩვენი ხროვიდან კი გაიქცნენ, მაგრამ ვგრძობობდი, რო კუდიმ დაძვდნენ და შესაფერის დროს ელოდებოდა რო მამის ჯვარი ამოეყარათ. არ უნდა დაიბნეოთ თავი, რო მძიმე-არა მგელი არას გერჩენ. ერთ დროს მეც ვერ წარმოვიდგენდი რო ბეყას შეებნებოდა, მაგრამ დღედა ნუთი, რომელიც გაგრძობინებს, რო შენ მხოლოდ ის არ ხარ, ვინც გგონია თავი. ჩვენი ხროვიდან სულ რამდენიმეა დარჩილი. ზოგი მონადირეებმა მიასკვდილეს, ზოგი ჩვენვე შეეჭამეთ. მგლის ხორცი გემრიელი არ არის, მაგრამ საკუთარ ხორცს ვჭობია.

მთავრე ალარ გამოჩენილა, ღრუბლებში შეტარა და მივხვდი, რო სინებელში მომიხვედა საოფლოში ჩასვლა. კარგა ხანს გაყურსული ვიყავ, ქარს სხვა მგლების სუნი აღარ მოუტანია. დაბლობში დავეშვი, თოვლიან ფერდობს ჩავყე. რამდენიმე მიტოვებულ სახლს გავცდი. კუჭი მენვოდა, ორი დღის ნაძიმობილევი ვიყავ, მაგრამ ჩემს თავს აღარ ვჩიოდი. ძალეობმა ყეფა ატყბეს, გავჩერდი. ქარმა დაუბერა, ჩემი სუნი უფრო ახლოს იგრძენა ქოვაკებმა. ალიზის ერთსართულიან სახლზე მიდგმულ ბოსელს მივეკარი, გული გამალეობით მიცემდა. საქონლის სუნმა, თითქოს ყურთასმენა დამიხმო, ძალეობის ყეფა-ყავ-ყავი აღარც მესმოდა. ყეფა თანდათან ნკმუჭუნმა შეცვალა. ძალეობს საქონელზე მეტად ჩემი მიანლობის შემდეგ საკუთარი თავი ადარდებდათ. სალაც შეიყუჩებენ და აქა-იქ ნამოიყვებდნენ ხოლმე. ეზოში ვისკუყე, ალიზის სახლის ფანჯრიდან ჩაბჭუტული ლამების სინათლე გამოიღვდა. შიში რო იყო, არ ვიცოდი. ბოსლის წინ მოვავა გაიბრინა და იქვე მიდგმულ საბძელში მიყუდებულ ჩალის კონებში შექრო. საქონელმა ც იგრძნო ჩემი მიანლობა და ერთად აბდავლდა რამდენიმე ფური. ბოსლის კარს მივადექი. ბლადი საქონელი და უფრო გავმეგლდი, ბრჭყალები დავაგლოჯე, იმდენი ვეხვალე ურდულის ახსნას. არაფერი გამოვიდოდა და ამ დროს დაიქუხა თოვმა. გონება დამეხინდა, უმთავრო ღამე კიდევ უფრო ბნელი გახდა. ბოსლის წინ ვეგდე და ვიგრძენი სიკვდილი მომპიობინავდა. „ბეყას“ გამახსენდა, ჩვენი სამფეხა ბელადი, ხროვამი მაჩანჩალმა მგლებს ლუკმად ქცევას ასეთი კლასორული მერჩია. თუმცა, ვიდრე ჩასაფრებელი კაცი თავზე დამადგებოდა და ტყვიას დამახლიდა, ადგომა და გაქცევა მოვახერხე. თქრილობით გამდიოდა სისხლი, მივრბობდი და სხეული ძლივს მიმქონდა, წითელ ბილივს ვტოვებდი. კარგა ხანს მიდიეს, რამდენჯერმე კიდევ მესროლეს, მაგრამ გადავარჩი. მიტოვებულ სახლთან სული მოვიტყე. ძლივს ესუნთქავდი, თან თვალი სოფლისკენ გამიბრობდა,

ტკივილისგან ყბები მომებრია. მარჯვენა ფერდში მქონდა მორტყმული, ალოკვა ვცადე, მაგრამ ნატყვიარს ვერ ვხვდებოდი. მეორე ტყვიას მარცხენა ყური წაეცალა. ბევრი სისხლი დავკარგე, მაგრამ ვგრძობობდი, რო აქ არ მენერა სიკვდილი. ძალა მოვიკრიბე, სხეული ავითრიე და ტყეს მივეცი თავი, თუმცა გზაში გამახსენდა, დასისხლიანებულს რო დამინახავდნენ ჩემი ხროვის დარჩენილი წევრები, ფერდგახვერტილს და ცალყურა ბელადს, „ბეყას“ დღე დამადგებოდა. რა მექნა, სად წავსულიყავი. ასეთ სიკვდილს რო გადავურჩი, როგორ აღსასრულს მიმზადებდა გამჩენი, ქრილობებზე მეტად ეგ ფიქრი უფრო მტანჯავდა... რომელი გამოკრავდა პირილს... სოფლისკენ მოვიხვედი. მთავარს ღამის პერანგით ეცვა ღრუბელი და გამოსვლას არ აპირებდა. მდევრები აღარ ჩანდნენ.

„ცალყურას დამარტყმევნ ხროვამი“, - გავიფიქრე და კიდევ უფრო ამეხვდა ქრილობა.

გახვითქული ვიყავი, ცივი ოფლით გალელეჩებულ ლოგინში ვეგდე და ვერ გავრკვეულიყავი მგელი ვიყავი, თუ ადამიანი. ოთახს უახროდ ვათვლიერებდი. მეგონა, სადღაც ტყის პირზე ვინქეი, მიკვირდა თოვლი ასე მალე როგორ აღენა-მეთქი. ნელ-ნელა დავაღნიე ძილ-ღვიძის თავი. საკუთარ სხეულს რამდენჯერმე მევეხე, მიხდოდა დავრწმუნებულიყავი, ნამდვილად მე ვიყავი თუ არა. ჩემი სხეული მგლისას არ ჰგავდა. ნატყვიარ ფერდს სიფრთხილით მევეხე. ქრილობა ვერ ვიპოვე. მერე ნელ-ნელა ყურს წავეპარე. ორივე მქონდა. ასე მკვირცხლად არასოდეს ნამოვმტარვარ ლოგინიდან. როგორ მიხაროდა, რო მგელი არ ვიყავი და ხროვასთან ერთად ბნელ გამოქვამულში მხოლოდ სიზმარში ვცხოვრობდი. რამდენიმე წუთიანმა სიზმარმა მგლის ნუთისოფელი გამატარა, ბელადის ცხოვრებით მაცხოვრა, თანამომე შემაჭმევინა და სოფლები ამაკლებინა. უცბათ ისევ ცხიხეული მამაჩემის სიტყვები ჩამესმა: „მგელი უნდა იყო, მგელი!“... ეჭვი გამიერთა, მამაჩემმა ხო არ დასასიზმრა მგლობა-მეთქი, მაგრამ მამაჩემს როგორ უნდა გადავექციე მგლად. რას გაუგებ ძილს და სიზმარს კაცი?

ავანზე ფეხშიშველი დავდიოდი. მსხლის კენწეროზე მოქცეულ მზეს ავცქეროდი და მიხაროდა ადამიანად ყოფნა. ხანდახან სიზმარში ნასროლი ტყვიებით მიღებული ქრილობების ტკივილი გამეხვებოდა და მგლად ყოფნას გამახსენებდა. ის კი არა, ჩემ მიერ კბილგაქურლი ხროვის წინამძღოლის ხორცის გემოც კი აღვიდგინე. გული ღამის ამერია, წამომა ხიდა, წყალი დავლიე, მგლის ხორცი სიმყარავე ჩავატახე.

— ვაიმე, ვაიმე! — ჩემი და დავფთებულნი, წივილი-კივილით გამოვბოდი ბოსლიდან. ეზოში ქვას ფეხი ნამოჭკრა, პირქვე დაეცა, მაგრამ ნამოჭტა და უფრო უარესი კივილით ამოიბრინა კიბე. — რა იყო? — ვეცი ჩემს დას. ხმას ვერ იღებდა, თითქოს ენა ჩაუყარდა, სამარიდან ამოღებულ მიცვალებულის ფერი ჰქონდა. — მგელია... — ამოიღულულა და ჩაიკეცა. გავცხენ-გამოვცხენ სილა, თმები მოვიწიე, ნეკა თითხეუქვებნი, როგორც იქნა თვალეში გაახილა. — რა მოვივია ვაგო, შემოსხედე, ხმა ამოიღე! — ჩავევიბოდი ჩემს შინაბერა დას. — მგელია ბოსელში, მგელი! — ისეთი თვალეში მიყურებდა, თითქოს მე ვიყავი ტყის ბინადარი.

— მგელი! — ენას ვეღარ იმორჩილებდა. — რა მგელი, გოგო! — ფეხზე ნამოვყენე მეგანჯლორი. შემეძინდა, ვიფიქრე, რო ჩემს ერთადერთ დას, რომელსაც ბედ ვერ გაეხსნა და ეგრე აბრუნდებოდა ნუთისოფელს, მოჩვენებები დაეხყო-მეთქი. თითი მამაჩემის აშენებული ბოსლისკენ გაიშვირა, საღაც რაც ის ცხოვრული დედაჩემი ნავიდა, ძროხას აღარ დაუბღავლია, ჩემი და იქ ქათმებს აბუღებდა ხოლმე.

დალი კუმჭკაზე ჩამოვსვი და კბიზე დავეშვი. — სად მიდიხარ, სად მიდიხარ, არ მიხვდემ! — აკივლდა, ავიძვიმდა. დალისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია. მეც ამ ქვას ნამოვკარი ფერი, რომელმაც ხელდა დალი ნააქცია, რალაც მამაჩემისდროინდელი მინიდან ამომეგრეოლი ბეტონის ნამტვრევი იყო, გამოლი მომივდა, ცხვირ-პირი ღამის ნავიძტვრე. ამომავამე წოპიანი ბეტონი და ბალისკენ მოვიქინე, ფრჩხილი ღამის გავაყოლე...

ბოსლის კარი ღია იყო. მეცინებოდა ჩემ დაზე, უეჭველი რალაც მოეჩვენა, ვალიკოს ძალით ხო არ იყო შემოსული-მეთქი. მერე უცბათ გამახსენდა ჩემი ნუხანდელი სიზმარი, ყინულივით ცივი ოფლში რო მაცურავა. ამაზე თუ ამიხდა, ჩემ დას რო ძალი მგლად მოეჩვენა-მეთქი. მეგდგი ბოსელში ფეხი და ღმერთო! იტყვიდი, რო ცივი წყალი დამახსენს. სისხლი გამეყინა, გავშეშდი, თვალეში რამდენჯერმე დავუჭყე და გავახილე. ბოსლის კუთხეში აყრილი ზღვეების გვერდით ქათმების მიერ მოღავებულ თივაზე ვეეხა, დასისხლიანებულ, რუხი მგელი იწვა. ნერწყვი გამიშრა, ეხლა მივხვდი დალის ნივილი-კივილი ტყეილა არ აშუტეხია. რა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. თავი თათებზე დავლე და თვალეში მიყურებდა. მეგონა, რო ჩემს დანახვავე ნამოდგებოდა და წამში გამფატრავდა, მაგრამ გაფატრავა კი არა, ნამოდგომაც არ უცდია. შიშის ქარი რო დავიგლის ძარღვეში ხო განვიცდათ, სხეულის ყველა კუთხე-კუხეჭული მოიარა შიშის ქარბორბალად.

უკან გადმოვდგი ნაბიჯი. ოდნავ აწია თავი, დალილი, მიღველებული მზერა ისევ მომპაყრო, მერე სისხლით მოსარგულულ ფერდზე მიიღო თავი. ღამის ჩავიკეცი, ახლავა შევამჩნიე, რო ცალი ყური ჰქონდა მონყვეტილი და ფერდიდან მისხლი მოსდიოდა.

თვალეში დავხუჭე. ღმერთო, ცხადი და სიზმარი ერთმანეთში აბერია. მე ვიყავი... სიზმარში მგლადცქეული ჩემი თავი იწვა მამაჩემის აშენებულ ბოსელში. ნამდვილად მე ვიყავი. სულ მისხალ-მისხალ აღვიდგინე ნუხანდელი სიზმარი. როგორც ჩანს... „ბეყას“ ბედის გაზიარება არ მიხდოდა და ტყისკენ დაჭროლს და ყურმონყვეტილს გზა აღარ გამიგრძელებია, უკან მოვბრუნდი, საკუთარ თავთან მოვბრუნდი. ვეღარ ვიგებდი, ის ვიყავი სინამდვილეში, ვინც ბოსლის კუთხეში იწვა, დაჭროლი, დალილი და ტყეილი წამოსული არსება, თუ ის, ვინც კართან იდგა და თივაზე მინოლილ გაყურსულ მგელს მისჩერებოდა სისხლგაყინული.

ბორის ჭითანავა

საიდუმლო შინახა

ერთი ძველი ამბავი უნდა გიამბოთ... მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ვარლამი მშობლიურ სოფელში კორცხელში რომ ჩავიდა, პირველმა ბოჩია დალაქმა შენიშნა. მედლებით მკერდამშვენებულ ჯარისკაცს დაყინებული მზერა მიაპყრო, მერე სადალაქოში მყოფთ განუცხადა:

— ბიჭებო, თუ არ ვცდები, ქვაცა ჭითანავა ჩამოსულა ჯარიდან (სოფელში ქვაცას ეძახდნენ).

თანასოფლელები ქვაცას გულმხმურვალედ შეხვდნენ, მიულოცეს შინ მშვიდობით დაბრუნება...

ქვაცას სკოლისდროინდელი ორი მეგობარი აემგზავრა.

შუა გზაზე ქვაცას სირბილით დები შემოეგებნენ. როგორც გაირკვა, ოჯახში მახარობელი მოსულიყო. ჭიშკართან მშობლები დახვდნენ. ძმა იროდი აივანზე გადმოდგა და ორლულიანი თოფი დაცაბარო ბარი გივი რაფავაც.

გივი ქვაცაზე ხუთი წლით უმცროსი იყო. საშუალო სიმაღლის, ღონიერი და სიტყვაძვირი ვაჟკაცი გახლდათ. ქვაცა ტანმორჩილი, ენად გაკრეფილი და ხუმრობის მოყვარული იყო. მიუხედავად ამგვარი განსხვავებისა, ბიჭები ერთმანეთში ხასიათმეწყობილად იყვნენ. დღის ბოლოს ხშირად წარდის თამაშით ერთობოდნენ და ქეიფსაც არ იკლებდნენ. ორივეს ნადირობა უყვარდა. ქვაცას განსაკუთრებით გარეულ ფრინველებზე ნადირობა იზიდავდა.

ერთხელ ქვაცა ეუბნება გივის: — ბიჭო, გივი, არ მოგწყინდა დღე-ნიადაგ კურდღლებზე ნადირობა, კვირას იხვებზე სანადიროდ მივდივარ, შენც წამოდი.

იქ, ერთ პატარა ტბაში გარეული იხვები, თურეშ, მრავლად ბინადრობდნენ. გივიმ ხათრი არ გაუტყბა და დათანხმდა. დილა ადრიან ფეხით გაუდგნენ გზას. ნახევარი საათის სავალი რომ გაიარეს, ქვაცა ეუბნება:

— მოხარშული დედლისა და არყის თრევა მომწყვიტა წელი. თუ კაცი ხარ, შევისვენოთ.

— ვიცი, ერთი სული გაქვს, როდის დალევ. სჯობს, თავი შეიკავო. მეც მომავალად მოვიხილო და ნადირობის შემდეგ მოვილხინოთ. ქვაცამ თავისი გაიტანა. ჩამოსხდნენ. გივიმ ცოტა დალია. ქვაცამ თავდაუზოგავად მიირთვა სასმელი და შესამჩნევად შეთვრა კიდევ.

— ბიჭო, ქვაცა, შენ უკვე მთვრალი ხარ და ნადირობის თავი გაქცევა?

— გივი, შენი მიკვირს. რამდენი ხანია მიცნობ და ის არ იცი, რომ როდესაც ნასვამი ვარ, ტყვიას ტყვიაში ვაჯენ. თუ არ გჯერა, დღეს ნახავ, რამდენი იხვიც აფრინდება, ყველას ჩამოვაგებ.

ტბას რომ მიადგნენ, შუა დღე მოახლოებული იყო. ვერაფერი ინადირეს, ხასიათნამხდარები დაბრუნდნენ. ერთ-ერთ სოფელში, მდინარეზე გადასვლილას, ხიდზე შემდგარმა ქვაცამ დაიძახა:

— უყურე, გივი, იხვები აქ ჩამოფრენილან.

ეს თქვა და მდინარეში მოცურავე იხვებზე მიუთითა.

— არ ესროლო, ბიჭო, ვერა ხედავ, შინაური იხვებია. მდინარის პირას რომ დგას სახლი, ეტყობა, იმათია.

— შენ რა იცი, გარეულია თუ შინაური. ეს თქვა და ორი გასროლით ორი იხვი მოკლა. სწრაფად შევიდა მდინარეში და ნანადირევი ამოიტანა.

შუალ ეზოდან ქალი მოვარდა ყვირილით:

— ვინა ხართ, თქვე ყაჩაღებო, ჩემს იხვებს რომ დაერიეთ.

ამაზე ქვაცამ მიუგო:

— ქალბატონო, ვინ მოგცათ უფლება, რომ გარეულ იხვებს დაეპატრონეთ. ეგენი ყველას კუთვნილებაა.

— რა გარეული იხვები?! შინაურისგან თუ ვერ არჩევ, რას დადიხარ სანადიროდ!..

— რადგან ვგრეა, გადავიხდი საფასურს, ოღონდ ბაზრის ფასი მითხარი.

ამ დროს სახლიდან შუა ხნის კაცი გამოვიდა.

— გამარჯობათ, ბიჭებო! შეგეშალათ ხომ?

— დიახ, - მიუგო ქვაცამ.

— თამრო! - მიუბრუნდა მამაკაცი ქალბატონს. — თანხას ნუ მოსთხოვ, რახან შეეშალათ. იხვები, ღმერთის წყალობით, ბევრი გეყავს. რა მოხდა, ორი ცალი ვაჩუქოთ.

— არა, უნდა გამოვართვა. სწორედ დღეს ვაპირებდი ბაზარში წასვლას და გაყიდვას. - ეს თქვა და ქვაცას თანხა გამოართვა.

ქვაცამ ერთი იხვი თვითონ ჩამოიკიბა და მონადირის ქამარზე, მეორე გივის მიაწოდა, მაგრამ გივიმ არ გამოართვა. ქვაცამ მეორე იხვიც ქამარზე ჩამოიკიბა და შინისკენ გასწიეს.

გივის ეზოს ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, ქვაცამ გივის ცოლს გასძახა:

— შენს ქმარს ნადირობა უყვარს და ნანადირეის ტარება კი არა. გთხოვ, წაიღო, - უთხრა და იხვი ჭიშკარზე ჩამოკიდა.

მალე შემოდგომა დადგა. უბანში საქორწინო სუფრა გაჩაღდა. გივი და ქვაცა თამაშის ახლოს ისხდნენ.

გივიმ შეამჩნია მოპირდაპირე რიგიდან ერთი მამაკაცი დაყინებით უმზერდა. გივიმ თვალი თვალში რომ გაუყარა, სტუმარმა ჭიქა აიღო და გივის მიმართულებით გაიშვირა.

გივი ეუბნება ქვაცას:

— ბიჭო, ქვაცა, ეგ კაცი ხომ არ გეცნობა? მგონი იხვები რომ მოგყვიდა, ის არის.

— მერე, რა მოხდა? - თქვა ქვაცამ.

— რა მოხდა და, რომ გაგვტყვას, სოფელში თავი მოგვეჭრება.

ამასობაში სტუმარმა ქალადი, სანერი კალამი ამოიღო და ბარათი დაწერა. მერე მერიქიფის ხელით გამოუგზავნა ბიჭებს.

აი, რა ენერა ბარათში:

„ბიჭებო, გიცანით. თქვენ ხართ შინაური იხვებზე მონადირენი. არ ინერვიულოთ. არავისთან არაფერს ვიტყვი. გაუმარჯოს ჩვენს პურის ჭამას!“

გივიმ რომ ჩაიკითხა, გახედა ბარათის ნასვამი ვარ, ტყვიას ტყვიაში ვაჯენ. თუ არ გჯერა, დღეს ნახავ, რამდენი იხვიც აფრინდება, ყველას ჩამოვაგებ.

სტუმარმაც ამბორით უპასუხა. ქვაცა ადგა, ჭიქით ხელში მივიდა სტუმართან, ვახტანგურად შესვს და როგორც წესი, ერთმანეთი გადაკოცნეს.

ასე დარჩა სოფელში საიდუმლოდ იხვებზე ნადირობის ამბავი.

მიშკო ხალიჩაშვილი

შამოქვალი

პოეტო, ასეთი რა დაწერე,
მითხარი ასეთი რა დაწერე,
რომ სამოთხიდანაც გაგაძვევს,
რომ ჯოჯოხეთიდან გაგაძვევს,
რომ სიცოცხლიდანაც გაგაძვევს
და შეგრჩა მარტოდენ ლადადისი,
რომ სიკვდილიდანაც გაგაძვევს
და საით წახვიდე აღარ იცი...
შენა ხარ ლამაზი განიმედე,
შენ ახლა ვერარა გაიმედე,
პოეტო, ღმერთები შეირიგე,
იქნება, ღმერთებმა წაგიყვანონ,
იმ ღვთიურ ოლიმპზე მერიქიფედ.
შენა ხარ მტვრიანი სარკოფაგი,
შენა ხარ ეგვიპტის პირამიდა,
თვალდან სათქელი ამოხაპე,
სულიდან წვიმები ამოხაპე
და სატრფოს მთავარი ყვავილები,
ლამაზი ვარდები შირაზიდან.
პოეტო, სიკვდილი ვენებიანი,
სიზმრად რომ ხედავდი მთელი ღამე,
ეს ქარი იმ სიზმრის ფრთები არი,
პოეტო, სიკვდილი შეიყვარე,
ლამაზი ქალივით შეიყვარე,
შორს მერე ქანაანს მიაღებე
და აღთქმულ მიწაზე შეიყვანე.
ეს ყველა წმინდანმა გიქადაგა,
გაფრინდი, გაფრინდი მიწათაგან.
დატოვე სიცოცხლე ნესტრიანი,
დატოვე კედლები ნესტიანი
და ციხე დატოვე დაქცეული,
გუშაგი უფსკრულში ჩაქცეული,
ნუ შიშობ ტანჯვას და გამოცანას,
მოთიბე ბალახთა ბოლო ხედი,
თვით ნათლისმცემელმაც გამოცადა,
უთავოდ ყოფნა და ჯოჯოხეთი,
პოეტო, ლექსები ფრთებად დაკარ,
გაფრინდი გაფრინდი მიწათაგან.
გაფრინდი აქ, აბა, რა გაკავებს,
აქ მხოლოდ ნაბილნი ტაძრებია,
იქ, სადაც, კუდიტ და ანაფორით,
ქაჯნი და ეშმაკნი დაძვრებიან
და ისმის სიყალბე ვედრებიდან,
გულში კი, მლიქვნელებს იხუტებენ
და ტაძრის ნესტიან კედლებიდან,
წმინდანნი შემკრთალნი გვიყურებენ,
გნადს ჯაჭვის პერანგის ამოკერვა,
ისრებს და მახვილებს შეწირულო
და მზეთა ყოველი ფოტოსფერო
და მზეთა ყოველი ქრომოსფერო
და მზეზე ყოველი ამოფრქვევა,
შენს ტვინში ფეთქდება ზეციურო.
პოეტო, ცისტოლა ფრთები დაკარ,
გაფრინდი, გაფრინდი მიწათაგან.
ასეა მიწის და ცის მარია,
ცხოვრება და ტანჯვაც ყისმათია,
აქ მდარე ტალახიც კისრამდეა,
ჭრელია, ჭრელია ის მანტია,
რომელიც ტყეებმა მოიხურეს,
გზებიც კი, ჩვენს მკერდზე გადადიან,
ტკივილით ბეჭებში მოვილუნეთ...
პოეტო, ასეთი რა დაწერე,
ასეთი მითხარი რა დაწერე,
რომ სამოთხიდანაც გაგაძვევს,
რომ შენი თავიდან გაგაძვევს,
რომ შენი სიცოცხლე გადანერეს

და მალე ვარსკვლავთა ტახტრევანზე,
უგრძნობს და უსულოს დაგანვენენ...
პოეტო, ზღვის ღელვა მოგენება,
ზღვის ღელვა მარგალიტს გაგახსენებს,
გაფრინდი, თორე ცა მოგენევა
და აპოკალიფსით დაგასველებს.
ეს ყველა წმინდანმა გიქადაგა,
გაფრინდი, გაფრინდი მიწათაგან...

ბექა ფურცელაძე

პეპლილი ვარდი

შენში გაშლილი, შეშლილი ვარდი
და ნაზი ფურცლები, შენს ტკბილ ხმაში,
ამოღებული ჯიუტი შარმით
ღამენათევი, ფაქიზი დარდი.

ღელავდი ზღვაში და დარჩი ზღვაში,
ამოუცნობი ცრემლებით ქარში
წითელი ტურჩა, ნათრევი ტანში
ფერადი თათით, გაფურჩქნულ თმაში.

ბზინავდი მაშინ და სხვაში დარჩი,
მზეზე გამთხარი მაისის შარფით
ლოლნოშოს ფერი, ლამაზი სახის
ვენებების სახლი, შენს უცნობ ქალში.

ღელავდი ზღვაში და დარჩი ზღვაში,
ამოუცნობი ლამაზი ქალში,
ოცნება მთვარის და მზეში ნახვის,
შენში გაშლილი, შეშლილი ვარდის.

პაატა სურმანიძე

ერთხელაც

ერთხელაც, ავდექი და გავიზარდე.
მგ ზავრი მინდოდა გამოვსულიყავ...

ბევრიც ვიარე და ცოტაც
მთაშიც ვიარე და გზა-წვრილზეც
კიდევ მათოვა და მანვიმა
კიდევ მათოვებს და მანვიმებს

ერთმა ბერნიკაცმა შემაჩერა და მიჩრია,
თეთრი ხალათი დაგამშვენებს და ექიმი
გახდით.

მხოლოდ სამოსის მოხდენა რომ არ
მეყოფოდა ამისთვის,
ვიცოდი და სულთა ექიმობა მომიწია
მალევე საკუთარმა სულმა დამამძიმა და
მივხვდი, სხვების სულებსაც ვეღარ
შევამსუბუქებდი.

არ გამოვიდა ჩემგან სულთა
მკურნალი და
ნავედი

მუდამ ზეცისკენ გამიბოდა სულიც,
თვალელებიც...

მეოცნებე ხარ! - მეძახოდნენ,
მე კი იმ დროს ვარსკვლავებს
ვწვრთნიდი...

აღლუმზე იდგა ვარსკვლავთ კრებული.
მე არ მიყვარდა ცა - ღრუბლიანი,
მაშინ ჩვენ შორის ზევსი იდგა
განრისხებული.

მერე ვხუჭავდი თვალებს ძლიერ,
იმდენად ძლიერ, რომ ტკივილისგან
ვარსკვლავები თვალელებში მენთო.

ისინი ისე ციმციმებდნენ, რომ ბოლოს
მივხვდი,

ტკივილით ნაკვები ენერგიის
გამოყენებით

საკუთარი ენერგიის წყაროს შექმნა
უსამართლობა იქნებოდა. გზა
განვაგრძე...

ცირკის ქარავანმა ჩამოიარა.
შემშურდა მათი ღიმილიანობის.

მასხარას ფორმა მოვიპარე და ჩავიცვი.
ერთხანს გამაბედნიერა მაყურებლების
სიცილმა,

მაგრამ როგორც კი ქურდობა
გამოაშკარავდა,

აღარც მაყურებელი იცინოდა და
აღარც მე.

გავიხადე ფორმა და...

ელისო ქიტიაშვილი

მშვიდობას ვუძღვარ

მშვიდობა გულს და სულს რომ
ახარებს,

მშვიდობა - ჩვენი ცად სადიალო,
შიბია მუდამ მყუდრო სავანედ,
ვით გორდა მჭრელი, განძად კიაფობს.

მშვიდობას ვუძღვრე, როგორც
ორფევსი,

დიდი მოლბერტი - გვინდა მშვიდობა,
მის შტოს და უღელს ვყოფობთ
ფორვერკში,
იმ მშვიდ კომლექსში ვიცანით ძმობაც.

ის ცოცხალ სვეტის მწვერვალს
მოდენის,

გული ხალისობს იმისთვის შრომას,
მშვიდობა - ჩვენი მწეა ცხოვრების,
სულ იყვავილოს ირგვლივ მშვიდობამ.

მშვიდობას ვუძღვრე, როგორც
ორფევსი...

ფიქრია ბროლაშვილი

მზე შემოდგომის დამნათის ციდან,
სხივები მითბობს სულსა და სხეულს,
მოვილტვი შენთან ლოცვით და
რწმენით,

რომ კვლავ ვემთხვიო შენს ნაგვემ
სხეულს.

ყველა ტაძარში რწმენით გეახელ,
გულწრფელი იყო ყოველი ლოცვა,
შენთან მოვედი, ჩემო უფალო,

გთხოვ, მომიტევე ყოველი ცოდვა.
ნალალატევეს და ვერცხლად გაყიდულს,

ღვთის სიყვარულით ცრემლი გდიოდა,
ნანამებსა და ძალაგამოცლილს,

სხეულზე მეტად სული გტკიოდა.
იტვირთე ცოდვა ადამის მოდგმის,

ჩვენთვის ენამე, ჩემო უფალო,
შენთან მოვედი შენი მორჩილი,

რომ ნაიარევს ლოცვით ვუნამლო.

გუთი ბოლნელი

არ ვიცი, ვიცი, არ ვიცი...

გინერ და გინერ ბარათებს,
ფიქრი სევდას ვერ ანაყრებს,
შეეყინებათ ღიმილი,

ბაგე მოთეთრო მანანებს...
ინერება და იშლება,

აბზაც-აბზაცი ნაწერებს,
არა სურს გითხრას ტყუილი,

შავ-თეთრმა მუნჯმა სიმართლემ...
ვწერე, მერე კი დავხიე,

გზავნილად ვერ გავიმეტე...
შენ გული რომ არ გტკენოდა,

დავწვი და ოთახს მოვფანტე...
არ ვიცი, ვიცი, არ ვიცი..

დრო ახრჩობს ღამეს მძინარეს,
სევდაც ხარ, უიმედობაც,

სინანულიც და სინათლაც...
ჰაერნაკადით მევესები,

მალევე მაცარიელებ,
მარტოსულობას ვჩივივარ,

მარტოსულობას ვიფიცებ...
უსასრულოა წამები,

ხან ბინდი, ხანაც ინათებს,
იქნებ არც იყავ არასდროს,

დაგხატე, გამოგიგონე...
ვინა ხარ?.. არა არ ვიცი...

მინდა, ცოტახანს გაჩერდე,
ჩემი ხარ ტანჯვის სიცრუე,

უფრო მეტად კი სიცოცხლე...

დომენტი სოზაშვილი

ინტერნატი

სიღნაღი მაშინ ასეთი არ იყო, ახლა რომ ფერადი, რესტავრირებული კოპიობს. მაშინ შავ-თეთრი, კაი ვინრო ქუჩებიანი ქალაქი-დასახლება გახლდათ მოყუყული მთაზე - თავისი ისტორიული გალავნით. წრიულ გზებს მოჰყავდათ აქ, რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრში, მონინებული ქვემოთა თუ ზემოთა სოფლების წერილფეხა. მსხვილფეხა ჩინოვნიკობა, რომელთა ძალაფლება, თავთავის სოფლებში რომ ჰქონდათ, აქ ეჭირა ხელში მრისხანე პირველ მდივანს. აღმასკომიც აქ იყო, ოღონდ შედარებით მორიდებული, შემალული. ამ დროიდან ახლა უფრო ამაზრზენად მოჩანს. კიდევ კარგი დასრულდა-გაქრა ეს სამარცხვინო სიბნელე. ... ვიცით ახლა, ხომ როგორი ფიასკო განიცადა ამ არაბუნებრივმა, მხოლოდ თავის მაქებარმა წყობამ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა სკოლა-ინტერნატი, როგორც მსოფლიოს ავანგარდული სახელმწიფოს ნოვაცია-დანესებულება. იდეა ინტერნატული, რა თქმა უნდა, ზრუნვამოკლებულ ბავშვებზე სახელმწიფო მზრუნველობა, მაგრამ ასეთი განაცხადების შემდეგ ამ სკოლაზე ბევრ, საამისოდ შეძლებულ ოჯახსაც გაუჩნდა სურვილი შვილების აქ, ბავშვთა სახლში მიბარებისა (შესაბამისი გადასახადით). ასე აღმოჩნდით სკოლა-ინტერნატი მე, მე-4 კლასელი და ჩემი მე-6 კლასელი და - სოფლის სკოლის მასწავლებლის შვილები.

თავიდან მგრძობიარობა გჭარბობს, გენატრება იქ, საიდანაც მოგიყვანეს. ძნელია იმ კავშირების განყვეტა, რითაც ცაერთე სიცოცხლეში, მაგრამ გამოდიხარ როგორღაც აქედან. რჩება ძირითადი - ამათთან ჯიბრინი ყოფნა-სწავლა და დროის იდუმალი სვლა.

სიღნაღი მიეჩვია ინტერნატულ ფორმიან დანაყოფებად მოარულ კლასებებს. ადგომა - 6 საათი. ჩაცმა, ლოგინის გასწორება. მერე დილის გამამხნეველი ვარჯიში, თავის წესრიგში მოყვანა, სკოლის ფორმიანების მოწყობა, სასადილო დარბაზში წასვლა 8 საათზე სასაუზმოდ. აქედან ისევ დანყოფილი წასვლა საკლასო ოთახისაკენ. 9 საათზე გაკვეთილები იწყება (ყაზარულია, აბა, რაა ბავშვებისათვის). ყველაფერი უნდა გამოსცადო ცხოვრებაში.

ძიძა, აღმზრდელი, მასწავლებელი, დირექტორი - ყველა მხოლოდ დაპირებელია იქ წესრიგისათვის... შენი ყოფნისათვის რომ არიან იქ. ვინ აგიტანს მანუხებელ-გასაძლებს?! ყველანი ბავშვობიდან მოვიდნენ! - აბა, მოვდივართ, მოვსულვართ ყველანი. ის კლასელები რომ შევიკრიბეთ 50 წლის შემდეგ ერთმანეთს ყველამ პირველას ის გავისხენეთ, ჩიტივით მფრენი, ფრთხილა ელგუჯა, სამუდამოდ ჩვენი მე-4 კლასელი რომ დარჩა. სოფელში რომ წაიყვანეს, როგორ დაახრჩო თურმე ახვინამ. როგორ გვიხსნიდნენ მასწავლებლები მაშინ... როგორი შეყუყულინი, მიპყრობილები ველოდებოდით, ალბათ, როგორი პატარები, ჩვენი ტოლის აღარმოსვლას...

მალე იჩინა თავი ინტერნატის სულ ერთად ყოფნის შესაძლებლობებმა - ბავშვთა სიმღერის და ცეკვის მშვენიერად დაყენებული გუნდები აქაურ პატარა კლუბში გამართულ კონცერტებზე წარჩინებულად გამოდიან. ამ კონცერტებს განსაკუთრებით საახალწლოს მთელი ქალაქიდანაც ესწრებიან მაყურებლები, ტევა არ არის ხოლმე. კალათბურთის კარგად ნავარჯიშევი, სწრაფად მზარდი გუნდი რაიონში გაჩემპიონდა და მერე უფრო შრს გავიდა.

აქ იყო წინმავლობის - ავანგარდულობის განცდა. იმ საზოგადოების ავანგარდი დინება სსრკ-ში კომკავშირს, პარტიას რომ ჰქონდა. დიახ, მშვენიერი იყო ზეიმის დილას მონყობილი პიონერული ხაზები, ალისფერყელსახვევიანი რაზმეულის წევრების პატაკის მიღებები - სწორდ! სმენა! - იმ დიადისკენ დამწკრივებაში დგომა. პარადებზე ჩვენი სასულიერო ორკესტრის მუსიკით გავლა, რასაც ამ წყობის პირმშოს შორსმომავლობის ეფექტის მისია ჰქონდა. ეს სურათი საძინებელი ოთახისა - „ინყება ახალი მატჩი გაბრაზებისა ცერცერასა და გრაციკას შორის“, რომ გამოაცხადებდა თვითგამოცხადებული წამყვანი, ყველანი წა-

მოსწევდნენ თავებს ბალიშებზე ამოცურებით და ეს დასახელებული კიდევ ლოგინიდან გადმოვადომით ერთმანეთისკენ მიმართული მომუჭული ხელის აძიგძიგებით „აუ, აუ, აუ-ს“ ძახილით ანთებულნი რარას არ ეუბნებოდნენ: „ცერცერ-დვალი (ასე ცოტა ელაში ხედვისთვის ეძახდნენ), საით იყურები, აქ დამინახე...“

- გრიტოკა, ყურმა (გრიტოკა მართლა ვეებერთელა ყურებს დააქანავებდა) სპილოსავით რომ დაპარტყუნებ, შე ქვეშაფსია, ორისანო.

- აუ, აუ, ცერცერ, შე მასწავლებლების ცანცარა, რასაც გეტყვიან, რო იგრე მოვიკრიბენინებ ხოლმე. აუ, აუ, აუ... ყველანი რო გაგინებენ მაშინ აი, აქეჭა ვარ, სად იყურები... - და ამნაირები ერთდროულად ორივე მხრიდან დასწრებაზე და ბოლოს ის მოჰყვება, რასაც კრძალავს ეს ჩვენი რაღაც წესებიანი (გზა და გზა რომ ვიგონებთ< ვაკანონებთ) შესკდომას, ერთ-ერთი, რა თქმა უნდა, ძალით მეტი მალე ველარ იტანს ამ ტოლი-ტოლად თქმებს ძალაში დაბლა მდგომისას და მიუყარდება გააფთრებული თავიდან დატქმულობით შეგულიანებულს. მერე ეს ჩაბჭირებულები სიცილისაგან გასავათებულები ძლივს ვაგდებინებთ ხელიდან უბედურს.

- ჩხუბზე არ გადავიდეთ!

- ჰო, ჩხუბი არაო, ეგრე ითქვა და რაზე გადადიხარ, კაცო, ეგ გეუბნება - შენც უთხარი. ვის ერქვა თავისი სახელი - ყველა გადანათულია აქაური ნათლიებისაგან, ფაქტიურად ყველა მონანილებოდა საამისოდ ცუქა, ტოპე, გრიციკა, ფარციკოკო, ქაჯაქაჯა, კუჩქა, ლეკუქა, ცერცერა, წრუნუნა, კუდმისუნე, ბე-პეპეპე, ნიწურა, გვარსახელებში, იერსახეში თუ რაიმე თავგადასავლებში დანახული რაიმე სასაცილოს მიხედვით.

მერე ძიძა შემოვივარდება - ბიჭო, რა ამბავი გაქეთ, რა ალიაქოთში ხართ, 12 რომ გახდა სხვები მაინც არ უნდა დააძინოთ, თუ თქვენ არ იძინებთ (გვერდით დიდ ოთახში მაღალკლასელ გოგონებს სძინავთ, რომლებთანაც საერთო მაღალი ფანჯარა მიუწვდომელ სიმაღლემდე შედებილი იყო). ჩვენ გავილურსებით საბანქეშ ძიძის გასვლამდე და მერე თანდათან ისევ წამოვწევთ თავებს, მაგრამ უკვე ჩურჩულით ვლაპარაკობთ: „აქ იდგება ციცქა, ისევე დირექტორთან არ მიგვიყვანოს“. საბანქეშეთში ის ერთი ამბავი იკლებს, ერთი, ორს, სამს... ყველას ძილი გვერევა.

პიონერთა ოთახში სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი (როგორა ტამაშობდა პინგ-პონგს), პატარა ტანის, ელასტიკური, სპორტული აღნაგობის ალისფერყელსახვევიანი უცნაურად ვნახეთ თავის ყელსახვევისფრად აღმურმოდებულლოყებიანი ერთ მაღალი კლასის მოსწავლე ბიჭთან. საოცარი იყო - ეს ბიჭი უტევედა და უტევედა რაღაც ლაპარაკით მას, ის კი ერთი-ორი სიტყვით მოკლედ პასუხობდა ან სულ ვერაფერს ეუბნებოდა გაღუებულში, ზოგჯერ ახედვებით. ეს სულ გაალმასებული, სხვადასხვა შეკრებების ყველასთვის სასიამოვნო წამყვანი, ისე დასაცავი-დაუცველი ამ ვინცირა ოხერტიალის წინაშე გვაოცებდა, თან თანაგრძნობით, იმისი მიხმარების სურვილით განგვანყობდა ის კლასში წესრიგის სიმკაცრის დამყარებით იყო ცნობილი მთელ სკოლაში. ინუსტებოდნენ მის გამოჩენაზე, მაგრამ ეს წამყვანი პიონერხელმძღვანელი რაგორ უნდა ყოფილიყო მასთან თვინიერი, ვერ გავიგეთ.

რაღაცნაირად, ზამთარში, ყინვაში, სალა-მოს შაბათ დღეს ისინი, ვინც არ წაგვიყვანეს სახლებში ახლობლებმა, სკოლის ეზოში ვიარებოდით. ზოგი კლასში წერდა-კითხულობდა რაღაცას. რაღაც ჩვენი და საჭირობოტოტად აღმზრდელი სახლში გადიოდა ოჯახურ საქმეზე და მიიხედ-მოიხედა. ვერავინა ნახა ისეთი და მოულოდნელად ამ ცნობილ მრისხანეს არ მოჰკრა თვალი... სთხოვა, ცოტა ხანს ჩვენი ჩაბარება. რა ჩაბარება გვინდოდა, ყველანი როგორი რიდით პატივს ვცემდით ჩვენს სერიკო მასწავლებელს. საქმეზე გავიდა ქალი და იმან მაინც ისე, ყოველი შემთხვევისათვის, მალევე შემოვბრუნდებო. ამან კიდევ ჩაიბარა და რა ჩაიბარა! ჯერ წინასწარ ამ 12-ოდე ყმანვილს (გარეთ მოთამაშეს ცერი გადაგვატარა სათითაოდ. მერე კიდევ ვინც არ მოეწონებოდა, ისევე კარგი წამორტყმა ზედა ჰქონდა - ერთი, ორი, სამიც კი. ასე ცემა-ტყეპაში ვყავით მეტწილად ყველანი იმ რაღაც 45-50 წუთის განმავლობაში, სანამ მასწავლებელი მოვიდოდა). ბინდებოდა, ზამთარია, მოკლეა დღე. მე ცოტა მოშორებით გასულმა, ერთი

დიდი ყინვის კონნოხა გორახი დავლანდე ძირს. გავიხედე, ქვემოთ კარებისკენ იყურებოდა ის. დავავლე ხელი და გავუქანე, მაგრობის სანახვებლად ყინვაში რომ გადაეხატრა, იმ კინკრისო თავში. როგორი რახვანი მოხვდაა! ჯერ აეგრე არ გამმართლებია. ზედ თავ-კონნოხზე ასაგულტუნებელზე. იმ უჯვით უსისხარს და მე შებრუნებულმა მეორე სართულს დავუწყე ყურება, თანაც ბინდებოდა-მეთქი. მგონი, ვერავინ დამინახა. „ვაი, დედაო!“ - რო იტაცა ხელები ჩაკანრულ-ჩატეხილზე, ვინ იყო, მე თქვენი დედა...ყველას დაგხოცავთ, მოდით აქ, თქვენიო... ერთი-ორზე მოასწრო ბოლო ძალით წამორტყმა და მასწავლებელი მოვიდა.

- უიმე, მომიკვდეს თავი! რა მოგსვლია ეს, ბიჭო! ჩქარა მალა ავიყვანოთ ექთანთან, შეუხვიოს სასწრაფოდ...

- არაფერი არ მინდა, სერიკო მასწავლებელი, მარტო გამოვიდეს, რომელი იყო, თქვენ! ნუ გეშინიათ, ვაკოცო უნდა, მეტი არაფერი.

ვინ იტყოდა, ვინ იცოდა... არც მერე მითქვამს. სკოლიდანაც რომ წამოვედით, არც მერე აი, ახლა ვამბობ პირველად თქვენთან, ამ 50 წლის მერე. რაც გინდათ, ისა თქვით ახლა...

-კიტრის ქურდმა იანვარში დაიკვივნაო, ის არი სწორედ. ახლა რაც გინდა თქვი, მაგრამ მაშინ რისი ღირსიც ყოფილა, სწორედ ის ავისრულეხა მაგრად.

ჩვენ რა დავიბრალოთ მაშინდელი, ხლად დანყებული სიცოცხლე მაშინ ჩვენში და ის დავებინებინებს მჩქროლავთ, სკოლელფორმიანებს...

მასწავლებლები კარგე გვყავდა-მეთქი. მშვენიერად მივყავდით თანდათან წინ. ახლა ჩვენშიც რომ იყო მოხვედრილი ბევრი უჯვით, რეგენად დაბადებული, რა იმათი ბრალი იყო. ვერაფერს რომ ვერ აგებინებდნენ. მრავალი მაღალი დონის გაკვეთილები გვიტარდებოდა. ღირსი დამსწრეების და კომისიებისაგან მაღლად შეფასებული, მაგრამ თვითონ ჩვენ გამორჩევი გვიოყვარდა მოშობიური ლიტერატურის დრო, რომელსაც წინა მასწავლებელი, ეს კეთილმოხილი, ღირსი კართევი ქალბატონი გვიტარებდა. ჩვენ ველოდებოდით ამ გაკვეთილს იმ პათოსისთვის, რომლითაც წინა მასწავლებელს (აქედან რომ ვიყურებით) ღრმა ცოდნით, დიდი ხელოვნებით, სიყვარულით, გულით მიჰყავდა ეს 45 წუთი.

ინტერნატული - რეგლამენტირებული ბავშვობა სულ ჩარჩოებში ყოფნაა. ეს ადრე დასერიოზულეულობა, უთუოდ გამახვილებული მგრძობილობა, გაკლია მოშობიურობა... სიტობ. ბავშვები რომ არსად იყო, ერთმანეთში ვეძებდით ამ ბავშვის გაზრდაში იდუმალი, შეუმჩნეველ, თავისთავად არსებულს - სიყვარულს, ძმობას, და-ძმობას შეფვიცავდით.

რა იყო ჩვენი მთავარი სიხარული იქ, სულ საზღვრებინებისათვის? სადილის მერე თავისუფლად ყოფნის დრო, ამ დროის დადგომა, მოსვლა, როცა აღარ არის არაფერი ამის გარდა. ესენი თავისით არიან, თვითონ არიან! თამაშში, არჩულ წრეში. უამაოოდ არასგზით. გაუშვი - ითამაშონ, იქროლონ!

ერთხელ ბურთი ფანჯარას მოხვდა. როგორ თუ ფანჯარა გატეხილა, ბიჭებმა შრომის გაკვეთილზე წახეს, რომ ბურთი მაღალ კარადაში იყო შემალული იარაღების ყუთის იქით და მასწავლებელი მთელი კვირა რომ სადღაც იყო წასული, მოედინიდან მიყუდებული მონახული კიბით ოდნავ ღია ფანჯრიდან ეს ბურთი გადმოიიტანეს. ეს მასწავლებელი მთლად შეიშალა. აქ, სადურგლოში შეყვანილს, ლამაზი მასწავლებლისაკენ რომ გაუბრბოდა თვალი და სიტყვა, ხანდახან როლში შესული ამ ბავშვებთან რომ ჰყვებოდა რომელიღაც ფილმის მსახიობზე, თვითონ რომ წერდა და ასრულებდა სიმღერებს, ეს გაუბედეს. იმის იდუმალეობა შეხედვა-შედწევა ამ მოთრეულმა-მორეკილებმა და ამ კარადიდან ხელეჩო ესროლა ფანჯრიდან გადმოსვლელ კლასელს. იმას შუბლში მოხვდა ეს იარაღი და სისხლი ჩამოსჩქებდა. მერე მოვიდა გონს, ბავშვს ეცა, რაღაც შავი საფენებით უხვებდა, ხელით უჭერდა შუბლს, ვერაფრით შეუჩერა სისხლი. ზემოდან დაინახეს იქ მომსახურე ქალბებმა და ექიმისაკენ გაიქცნენ. იქედან ექთანს გამოგზავნეს. მერე მოხანეს პატარა შუბლი, დაუშუშავეს, სურთად შეუხვიეს და იზოლატორში დაანჯინეს. მერე დირექტორმა აიყვანა ეს უკადრები მასწავლებელი სადურგლოსი და მთელი ორი საათი ჰყავდა კაბინეტში. ეს ბავშვი ნიჭიერი ფრიადოსანი იყო, ფეხბურთის მგზნებარე მოთამაშე.

როგორც ჩვენგან შორს გადაკარგულ ღრუბლებშიცაა ელვა-ჭექა, აქაც, ცენტრს მოშორებულობაში შედგებოდა სასიყვარულო გაელვებანი ბოლოში გამოჭექებით. მასწავლებლები რაც შეეძლოთ ახშობდნენ ბავშვებში

ამ უმნიფარ მისწრაფებებს, მაგრამ ბუნებრივ ლტოლვას ვის როგორ გაუქრობ... ჩვენ ვიცოდით ზოგი ისეთი, რომ დღესაც ჩურჩულით ვამბობთ ხოლმე. აქედან დანახული საზოგადოება ამ სანოვაციო სკოლისთვის მშვენიერად შერჩეული მშვენიერი მასწავლებლებით იყო დაკომპლექტებული. სოლიდური გარეგნობის და თავის დაჭერის დირექტორი - ბრეკ ტანით, დიდი ლამაზი თვალის მეტწილად სოლიდურ კოსტიუმში, დიდებული ბარიტონით, ერთობ კარგ ხასიათზე ყოფნისას იქნებ სიმღერაშიც რომ აგვევებოდა. იყვნენ სხვებიც, იყო სხვა ჭორებიც და ამათ, ჩვენთან მოსულებს ჩვენ დიდი ამბით ვატრიალებდით, ავანგარდით. მაგრამ თვითონ ჩვენში რომ იშვებოდა ასეთი, აი, ეს იყო... რა დროს ჩვენი ესეთები - მე-4, მე-5, მე-6, მე-7 კლასელებისთვის, მაგრამ იყო სრული სერიოზულობით ანუ მთელი არსებით! ასეთები ჰქონდათ ჩემს მეგობარ-ძმებს - როლანდის, ნოდარის... უფრო მეტად ის გამიკვირდა - როლანდის, ასევე ჩვენმა კლასელმა, კარგად მოსწავლე, მშვენიერმა გოგონამ პირობა მისცა ცოლად გაყოლისა, ოღონდ 21 წლისა რომ გავხდებოდა... ნოდარის ერთი წლით უფროსი ინტერნატის სტენის „აქტრისა“, მე-7 კლასელი ფრიადოსანი ნანი შეჰყვარებია და მე, როგორც გეოგრაფიის ტურში მასთან, ნანისთან ერთად მონაწილეს, საიდუმლოდ გამანდო გულის ლტოლვა. მთხოვა, მისთვის მეთქვა, შეხვედრება მას გარეთ, ქალაქში ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილზე. მე, ერთგულმა ძმობილმა, როგორც იქნა, მოვახელეთ ეს აქაური ვარსკვლავი ინტერნატის ფერდობზე გაშენებული ბაღის თავში და როგორც იქნა, ვახვედრებ ნანის თუ ვინა სთხოვა პაემანზე მისვლა, სად, როდის... რომ უცებ ნანი მომეხვია და მაკოცა... მერე ასე მეროდ თვალბში შემოჩრებული გაყურებით... ცოტა ხანს ასე და წავიდა. მე დავრჩი სახტად. მერე ჩვენს საკალათბურთო მოედანზე ფეხბურთის თამაშის დროს ფანჯრიდან მოცქერალს მოგკარი თვალი და გავემართე მისკენ, ოღონდაც გავჩერდი ზემოთ. არ მინახავს არც მაშინ და არ მინახავს არც მერე. თითქოს არაფერი მითქვამს მისთვის, სხვისთვის, თავისთვის. ვეკრძალბოდი სისათუეთეს... საით წახვედი, ნანი იმ გაცისკროვნებულ თევცალებით, მე რომ შემომაცქერდი მაშინ!...

სად წახვედით, ცხოვრებამ სად მიგიყვანათ, მაშინ ცხოვრებიდან ამოცალკეებული როგორ შერთევ ისევ იმას, რასაც მოეწყვიტე. როგორ ხარ, ის რაც მაშინ გახდი. იქნება მაგალითისთვის, ჩვენებისთვის ვუნდოდით ვინმეებს, უჩვეულო მდინარეებში რომ გადავყავდით ისედაც არა ჩვენს წუთისოფელს მოსულები?!

ყველაფერი საერთო, სულ საერთო - ჩვენ ხომ მარტოცა ვართ! მე... სადღა პიროვნული გაქელოდი, ასე წინილებით სიმრავლის მთლიანობა. ვაი, ამოვარდნილ, გამფრთხალ, გამხდარ წინილებს - კაი ალიაქოთით, შერცხვენებით დაბრუნება ელოდებათ. წინილების „მე“ ვინ თქვა, ესენი, ინტერნატელები „მე“-ებიანი რომ არიან, იყვნენ - მათი ბედის საერთობა სასჯელია, აბსურდია...

როგორ ვანდობდით ერთმანეთს გულისწადებს მეცადინეობის მერე გოგო-ბიჭები და ვერ ვამბობდით...თურმე მხოლოდ ის ვიყავით, რაღაცა მიმხვდარი სევდით, ჩვენი საბოლოობა... დიდ ზამთარში დიდი შავი ლუმელის თბილ მითთან მიმსხდარნი, დასაძინებლად წასვლამდე.

-თუ თავისუფალი არაა, რაა ადამიანი! - მაშინ ალბათ, ეს გვინდოდა გვეთქვა, ძმებთან მისულებს.

ერთხელ გავიპარე - დამეწინე, მომაბრუნეს ტყიდან მე-6 კლასში.


მე-7-ში, სახლში რომ ვიყავი, აღმოსავლეთით მზე რომ ანთილებს დილას კავკასიონის შამგლისფერებულ სილუეტს მალა, მე ავდექი და ძალიან მტკიცედ განვაცხადე: „აღარ წავალ-მეთქი იქ“.

დედაჩემი გადაამეფარა - აღარ წავაო! ბიჭი როგორ გახდა, აბუზული მხრები ვერ დავანევი იმედნი ხანიაო...

მამაჩემაც ამდენი რომ მიყურა, დანება თავი ნოვაციებს და მორჩა! - ისევ ჩვენს სკოლაში ჩემს ძველ კლასელებთან მიველ.

ინტერნატი იმათია, ვინც ბედმა საინტერნატოდ გაიმეტა. ბავშვობის თავისუფლების წართმევა ბავშვობის წართმევის ტოლფასია და არ ღირს ერთხელ მოსულებისთვის თავისუფლება შენით რო ხარ - ისაა! საცოდობაა ჩიტის ფრენა დახურულ სივრცეში...

იმათ ვენაცვალე, ერთმეფობაში შენები რო ხდებიან და გახდნენ ასე სულ ჩემები! ისინი ჩემები არიან, მე იმათი...



თემურ ჩალაბაშვილი - 70

70 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტი თემურ ბეჟანის ძე ჩალაბაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო თემურ!

ჩვენო ძვირფასო, ძველქართული კეთილშობილებითა და სათნოებით გამორჩეულ თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიხარულით მოგესალმებიან დიდებულ შემოქმედს, დიდებულ პიროვნებას და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 70 და ლიტერატურული შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ზუსტად ნახევარი საუკუნეა, რაც ამშვენებთ ქართულ მწერლობას არა მარტო თქვენი ლექსით, არამედ ქართული სინამდვილისადმი ერთგულებით, ვაჟკაცობითა და ქედუხრელობით. 1971 წელს ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები და მას შემდეგ ყველასთვის საცნაური გახდა, რომ ქართულ პოეზიას შეემატა ორიგინალური ხელწერის მქონე შემოქმედი, რომლის შთაგონებაც მშობელი ქვეყნის სისხლით მორწყული ეტრატებიდან იღებს სათავეს.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორცაა „მზე მამულის კვამლი“, „წვა შეგიძლია“, „ატირეთ ნვიმები“... შეიყვარა თუნდაც იმიტომ, რომ ამ კრებულებში დავანებული სტრიქონები გულის სისხლითაა განბანილი... რაზეც არ უნდა წერდეთ, დედის დაშაშრულ ხელებსა თუ შუშანიკ დედოფლის დილეგში შეღწეულ ათინათზე, ჰამლეტ გონაშვილის ხმის მინანქარებსა თუ მარია ჩიქოვანის იგავიშვიდომელ სიყვარულის ნიჭზე, ყველგან და ყოველთვის სიმართლისა და სამართლიანობის ზარებს არისხებთ. თქვენ ხომ ის პოეტი ბრძანდებით, ვისაც ქუჩაში მოკლული ბებერი ძაღლის დატირება შეუძლია, რადგან ეს საზარელი აქტი მისთვის კაცთა ერთგულების დასჯას ნააგავს; ის პოეტი, გაზაფხულივით რომ იცვება შემოდგომის მშვენიერი სევდით; თოლიას რომ ნააგავს, დაღლილსა და სევდამორეულ თოლიას, ზღვის უკიდვანობაში გამომწყვდეულს; ის პოეტი ხართ, პაპის დაკოჟრილი და ნაჯაფარი ხელისგული საქართველოს რუკას რომ აგონებს, დაჩეხილსა და დამცრობილ რუკას...

გულით გვახარებს, რომ შუშანიკ დედოფლისადმი მიძღვნილი თქვენი ლექსი „დედოფალი“ ოქრომკედით ამოიქარგა მენამულ ხავერდზე და ახლა მეტეხის ტაძარში საქართველოსთვის ნამებული დედოფლის საფლავს ამშვენებს. გვახარებს ისიც, რომ თქვენს ლექსზე შექმნილ მშვენიერ სიმღერას „ჩემო საქართველო, მართლმადიდებლო“, რომელსაც მართლაც რომ ჩინებულად ასრულებდა უღვთოდ ასრულებული დიდებული თემურ ნიკლაური, საქართველოს სულიერმა მწყემსმა ილია მეორემ მართლმადიდებლობის ჰიმნი რომ უწოდა, ხოლო ლექსი „სანთელი“ თავად იქცა რელიგიურ სინამდვილედ...

თქვენს კალამს ეკუთვნის არაერთი ნოველა და პუბლიცისტური წერილი, მრავალი წიგნის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი ხართ.

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ, რუსულ ენებზე.

საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლეთ. სხვადასხვა დროს მუშაობდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის მუშად, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წამყვან რედაქტორად, გამომცემლობა „მერანის“ განყოფილების გამგედ, თსუ ჟურნალისტიკის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკად, ფაკულტეტის პოეზიის სექციის ხელმძღვანელად. ამჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე ხართ და თავდაუზოგავად იღწვით ქართული მწერლობის წინსვლისთვის.

თქვენი მრავალწლიანი ღვაწი და რუდუნება ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის, ივანე მაჩაბლის, გალაკტიონ ტაბიძის, ლევან გოთუას სახელობის, „საგურამოს“ პრემიები, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორისა და ქართული პოეზიის რაინდის ნოდება. არჩეული ხართ თბილისის საპატიო მოქალაქედ.

ბატონო თემურ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს სიმართლისა და პატიოსნების გზაზე მავალ პილიგრიმს, დღეგრძელობას და მზებგრძელობას გისურვებთ მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ფარნა რაინა - 85

85 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ფარნა რაინა (ფარნაოზ იროდიონის ძე რაინაული). ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ფარნა!

ჩვენო საყვარელო და ძვირფასო კოლეგავ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები უღრმესი პატივისცემით მოგესალმებიან შესანიშნავ შემოქმედს, თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

თქვენი პოეტური დებიუტი ან უკვე შორეულ 1954 წელს შედგა, როდესაც რუსეთის საქალაქო გაზეთ „მეტალურგში“ პირველი ლექსი დაბეჭდეთ. მას შემდეგ თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებით თქვენს საესავ მავალს, მშობლიურ მწერლობას, ქართულ ლექსს...

საქართველოა თქვენი ყველაზე დიდი ტოივილიცა და სიხარულიც. თუში კაცის სიმტკიცით და შუუვალობით დარაჯობთ სათაყვანებელი მამულის სამანებს და მის სადიდებლად გულის სისხლში განბანილ სტრიქონებს ალაველით არსთავამრიგის წინაშე.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი სტორის - თუშეთის ულამაზესი მდინარის პირას დგას და იქიდან ულამაზეს ფარდაგად გადაშლილ საქართველოს ლოცავს. ეს ლოცვა რაღაც მაგიური ძალით დიდგორამდეც აღწევს, ბასიანამდეც, შამქორამდეც, ასპინძამდეც და კრწანისის სისხლისფერ სანახებაამდეც. სტორი კი - ეს დამფრთხალი ულავი ჭიხვინით გარბის ხევ-ხევ.

ზეზუაის ჯიშისა ხარ...

მართლაც რომ ზეზუაის ჯიშისა ხარ, ბატონო ფარნა - ჩემო უფროსო ძმაო და მეგობარო!

მართლაც რომ ზეზუასა და სხვა დიდ ფშაველთა დარად მოარღვევ წუთისოფლის უღრანებს და ცდილობ საღბუნად დაედო შენი საესავი საქართველოს მარადმდინარე იარებსა და ჭრილობებს.

ვის ვის და შენ კარგად მოგეხსენება, რომ ქართველობა უფლის რწმენამ, სიყვარულმა და ქედუხრელობამ გადაარჩინა, დიახ, იმ თვისებებმა, რომლებსაც ასე დაუნდობლად, ასე გავეშებით ებრძვიან XXI საუკუნის კაციჭამია ვანდალები, რომლებიც ჩვენ კი არა, საკუთარ მშობლებსაც კი არ დაინდობენ, თუკი ამას ეშინათ და ლუციფერთან ნილნაყარი მათი ბელადები უბრძანებენ.

ამიტომაც ებრძვი ხმალამოლებული ყველა უკეთურს, ქვეგამხედვარეს, ბოროტებისა და სიბილნის მსახურს, სიკეთისა და სიყვარულის თესვისთვის მოვლენილო მეციხოვნე ქართული სიტყვისა.

თქვენმა საუკეთესო ლექსებმა ერთ სიფრიფანა კრებულში დაიდო ბინა, „თუშური მოზაიკა“ რომ ჰქვია სახელად. ამ კრებულს ძალუმად ამჩნევია ნიჭიერების კვალიც და ერთგულებასთან შეზრდილი დიდი სიყვარულის ათინათიც. ნაღდი, ჩაკირული პოეტი ხართ და მკითხველს ხიბლავთ საოცარი, მხოლოდ თქვენეული ხილვებით და ზმანებებით; როგორ შეგიძლიათ იმის დანახვა, თუ რა გავეშებით ხრავენ ლაგამს ყალყზე შემდგარი ჩანჩქერები, რა სასწაულებრივად ძალგით ცის გუმბათზე მოკიაფე მინანქრების გარჩევა! მუხლმოდრეკილი ავედრებთ უფალს ცოტნეს მოგიზგიზე გულს, თვედორე მღვდლის ნარეკლიან ინროებს, პატარა კახის სიღიადესთან ნილნაყარ უკვდავებას, წმინდა ქეთევანის დაშანთულ მკერდს...

თქვენი სახით კახეთს - საქართველოს ამ უმშვენიერეს ლიბოს ერთი გულანთებული ტრუბადური ჰყავს, ჭეშმარიტი მეციხოვნის დარად რომ იღვწის, რათა ქართული სულიერება არ ჩაკვდეს ერეკლე მეფისა თუ ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაფუძარზე. რამდენი გიშრომიათ, რამდენი გიღვანიათ: რედაქტორობდით გაზეთებს „კოლმეურნის ხმას“, „განახლებულ თუშეთს“, „ბახტრიონს“; იყავით აღმანახ „ალაზანის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე... 2004 წლიდან კი ხელმძღვანელობთ მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთს“...

თქვენს მრავალრიცხოვან ჯილდოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის სახელობისა და ჟურნალ „ოლეს“ პრემიებს. მონიჭებული გაქვთ ქართული კულტურის ამაგდარისა და ქართული კულტურის დესპანის საპატიო ნოდებები; არჩეული ხართ თელავის საპატიო მოქალაქედ...

გვიხარია, რომ ჭაბუკური გატაცებით ეძიებთ ქართული ლექსის ახალ გამომსახველობით საშუალებებს, რომლის დასტურიცაა თქვენეული კატრენები, რომლებსაც სიძაბუნისა და დაოკებისა არაფერი ეტყობათ. სწორედ ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაწარმოებებისთვის მოგეწიჭათ დიდი დავით აღმაშენებლის პრემია.

ბატონო ფარნა!

კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენ ძვირფას თანამოკალმეს, ასე ლამაზად და ღირსეულად რომ იხარჯება მამულის საკეთილდღეოდ, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

შენი სიტყვაც, შენი ლექსიც ხომ იბრძვის იმ დაუნდობელ ომში, პატიოსნებისა და სათნოების გადასარჩენად რომ წარმოებს.

უშიშარსა და გულადს თუ რამ გაშინებს, ის გაშინებს, რომ ცოცხლად არ დავიმარხოთ ქართველები, ცოცხლად დამარხვა კი სირცხვილმა იცის, საკუთარ ფესვებს შენივე ნებით რომ გადაჭრი, საკუთარ რჯულს რომ უღალატებ, საკუთარ ტრადიციებს რომ გათელავ ფეხქვეშ, იმით გამოწვეულმა სირცხვილმა.

ჩემო ფარნა!

თუ გეშინია, სწორედ ამისა გეშინია, ჩემო კეთილო და სამშობლოზე ფიქრში გათეთრებულ პატიოსანო ბერიკაცო.

შენს ლექსს გაუმარჯოს, თავანკარა ქართულით რომაა გაჯერებული, შენს კაცობას გაუმარჯოს, ქართული პატიოსნებით და სიჩაუქით რომ აქვიტკირებ.

მრავალჯამიერ, ბატონო ფარნა.


ზაალ ბოტკოველი

სსოვნა - პოეტის სპეციალი

ქართველმა მკითხველმა საუკეთესო საჩუქარი მიიღო.

გამოვიდა ნაირა მარშანიას მიერ შედგენილი მოგონებებისა და თარგმანების კრებული „ღირსსახსოვარი“.

ქალბატონი ნაირა წლის რჩეული იუბილარია. ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი ნაწარმოებები შეეთავაზებინა მკითხველისთვის იუბილარმა ქალბატონმა, მისთვის ჩვეული გულისხმიერება გამოიჩინა და ახალი კრებული აფხაზ კლასიკოსებს დიმიტრი გულიას, ივანე თარბას და ბაგრატ შინჭუბას ხსოვნასა და შემოქმედებას მიუძღვნა და ამით მიმტვერბლობის, სიყვარულის მაგალითი აჩვენა აფხ-



ნაირა მარშანია
ღირსსახსოვარი

აზ ხალხს.

მე ჩემს წიგნს „მახსოვს“ დავაწერე. რადგან ყველაფერი მახსოვს, ხსოვნა ღვინოსავით დავაძველე, და მოგონებები მახსოვს, - წერდა მურმან ლებანიძე.

„პოეტების ხვედრია, გვახსოვდეს ცოცხალიც და მკვდარიც“ - ესეც მისი სიტყვებია.

და თუ ხსოვნა პოეტების ხვედრია, მაშინ მისი წმიდათაწმიდა მოვალეობაცაა ხსოვნის უძირო ფსკერიდან უკვდავების წყალივით ამოზიდოს ყოველივე, რაც სულს ცხოვლად შერჩენია: ტკივილი და სიხარული, მონატრება და სინანული, დაუფიქრარი სახეები და სახელები, ომისა თუ მშვიდობიანი დღეების განცდა. სწორედ ეს განცდა უფორიაქებს სულს აფხაზეთიდან დევნილ მშვენიერ ქალბატონს, ომის ვეტერანს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს და მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანის“ პრეზიდენტს, გიორგი შარვაშიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, მარიკა ბარათაშვილისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიების ლაურეატს, ქართული კულტურის დეპანს და მშვიდობის ვარსკვლავის მფლობელს ნაირა მარშანიას. დევნილობის მძიმე ხვედრის, დაკარგული მშობლიური კერის, მრავალი ტკივილისა და განსაცდელის მიუხედავად მისი მზერა აფხაზეთისადმი სითბოთია სავესე. მისი სახლის თუ გულის კარი მუდამ ღიაა მშობლიური სანახებიდან თბილისში სტუმრად თუ სამკურნალოდ ჩამოსული ადამიანებისთვის. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მძიმე სენით დაავადებულ აფხაზებს ნაირა მარშანია ექიმებზე მეტად ეხმარება, სულიერ ჭრილობებს უშუშებს და იმედით აცილებს. კარგად იცის ბრძნული შეგონება: რაც მტრობას დაუფრევია, სიყვარულს უშენებიაო.

ამ სიყვარულით დადის აფორიაქებულ დედამინაზე, ამ სიყვარულით ცდილობს ქართველთა და აფხაზთა შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანებას. თითქოს გულის გულზე ტარიელ ჭანტურიას ეს სიტყვები ამოუტყვიფრია: „მიყვარს, აი, პაროლი სამოთხეში შესასვლელად“.

სწორედ სიყვარულითაა ნასაზრდოები მისი წიგნი „ღირსსახსოვარი“, რომელიც სამი დიდი აფხაზი მწერლის დიმიტრი გულიას, ივანე თარბასა და ბაგრატ შინჭუბას ხსოვნას ეძღვნება. აღსანიშნავია ის, რომ ბაგრატ ნაირა მარშანიას უახლოესი ნათესავი იყო და მისი მოგონებები განსაკუთრებულ ხიბლს მატებს წიგნს. ისიც აღსანიშნავია, რომ წელს ივანე თარბას დაბადებიდან 100 წელი სრულდება და ახალი კრებულით კიდევ ერთხელ გამოვხატავთ პატივისცემას ამ დიდბუნებოვანი მწერლისადმი.

წიგნი „ღირსსახსოვარი“ საუკეთესო საჩუქარი იქნება ქართველი და აფხაზი ხალხისთვის, ყველა იმათთვის, ვისაც სწამს საქართველოს ერთიანობა და ბედნიერი მომავალი.


მაყვალა გონაშვილი

ემიგრაციის პრცალი და ყოვლისმომცველი პანორამა

სიზმრად... საქართველოში - ასე ქვია მირიან ზალოშვილის ახალ კრებულს.

სამაგალითოა და ნეტარი იმ ადამიანის ცხოვრება, რომელსაც შეუძლია სინამდვილე, რეალობა ასახოს თავის აზროვნებაში და სხვასაც გაუზიაროს, გადასცეს ეს სინამდვილე შემოქმედებით, ლიტერატურული ნწარამოებებით და ზეგარდმო ნიჭის კვალდაკვალ, რაც უფრო მრავალმხრივ განვითარებული და განათლებულია ადამიანი, მით უკეთესად გამოსდის ეს ღვთივადლოცვილი საქმე.

მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი, მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი



მირიან ზალოშვილი

მირიან ზალოშვილი, რომელმაც მდამ ძიების, მახვილი თვალისა და შრომის შედეგად დაიმკვიდრა ადგილი მკითხველის გულში, სწორედ ასეთი მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანია და ამიტომაც ამშვენებს მისი ნაწერები ემიგრანტული ლიტერატურის საგანძურს.

ბატონი მირიანი 18 წელი ემიგრაციაშია და ამ წლების მანძილზე ემიგრაციის ვრცელი და ყოვლისმომცველი პანორამა შექმნა ექვსი წიგნით, სადაც თავი მოუყარა განცდილს, ნანახს, მოსმენილს... ღრმად ჩასწვდა ემიგრანტის სულიერ სამყაროს და დამაჯერებლად, მაღალმხატვრულად, ხალასი იუმორით შეზავებულ ლამაზ ფერებში დაწერილი ლექსები, მოთხრობები, ნოველები, რომანი „იასუ“ გვიბოძა მკითხველებს.

მირიან ზალოშვილი თავის შემოქმედებაში სწორად, ოქროს შუალედით იყენებს მწერლის მახვილ კალამს, ფლობს დიდ ხელოვნებას, რომ სევდიანი, ტრაგიკული ამბავი სრულიად საოცარი განწყობილების გამოხატვის საშუალებად აქციოს. ისე, რომ ცრემლთან ერთად ღიმილიც მოჰგვაროს მკითხველს. ეს თვისებურება და მიდგომა კიდევ უფრო ზრდის მისი მოთხრობების ესთეტიკური ზეავლენის ძალას.


სინამდვილის ღრმა ცოდნამ და მოთხრობებისათვის გმირების მიკვლევის იშვიათმა ალლომ განუმეორებელი მხატვრული სახეები შეაქმნევინა ავტორს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მის კალამს არა მხოლოდ ახლანდელი, არამედ წარსულის მძაფრი შთაბეჭდილებებიც ასაზრდოვებს.

მირიან ზალოშვილი ჩვენი დროის მემკვიდრეა. ის ნამდვილად სახალხო მწერალია, რომლის შემოქმედებაში სარკესავით მოჩანს ემიგრაციის შუქიც, სინათლეც, ტკივილიც, ცრემლიც... და არა მარტო მოტხრობებში. იგი მატიანეს ქმნის ქართული დიასპორის გაზეთში „ელადა“ თავისი საგაზეთო პუბლიკაციებით, ნარკვევებით, ინტერვიუებით. წლების მანძილზე მხარში უდგას გაზეთის გამოცემის საქმე რედაქტორის რანგში. აღარაფერს ვამბობ მის საქმიანობაზე „თბილისი-ტურში“, სადაც იგი ქართველ ემიგრანტებს ეგულუბათ, როგორც ოჯახის წევრი, ძმა და მეგობარი.

მინდა აღვნიშნო, რომ მთელი მისი ცხოვრება ემიგრაციაში არის ყოველდღიური ფიქრი: „აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“, ყოველდღიური წვა და დაგვა მოყვასისათვის, ხელოვნებისთვის, მწერლობისთვის.

გილოცავ ახალი წიგნის გამოცემას, ჩემო მეგობარო, ჩემო თნამებრძოლო, უღალატო, დიდბუნებოვანო ადამიანო, კალამდალოცვილო შემოქმედო! კიდევ მრავალჯერ გაგეხარებინოს მკითხველი, უფრო გაგემდიდრებინოს ქართული ემიგრანტული ლიტერატურის საგანძური!

ანა ყურშავიშვილი
საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთ „ელადას“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი



გიორგი ტაბიძე (ვიპერი)

სამშობლოს სიყვარული

საქართველო თვით სიყვარულია! გმირთა ერთობის ძალაა დიდი, გერგეტიდან ეს დანყებულია და დარიალის ხეობას მიდის.

იქ ანანურთან კედლებს შეება, ბაზალეთიდან მიჰყავს კახეთსა. ნეკრესმა, გრემმა - ბრძოლის ემბლემა, ყვარლის მთებისკენ ძალა დათესა.

ძალა, რომელიც ალაზანს მისცა, მერე ეშვება შორით ქართლისკენ, გორის კალთებით გათელა მინა, მიექანება რაჭის კარისკენ.

შოვის ბუნებას პატივი სცა და მიჰყავს ქუთაისს ზმანებას ულევს, მერე მან ბედი ზღვის ფერდზე სცადა და ბათუმს წარმტაც ლაჟვარდებს უქებს.

გურიას გაჰყავს სანაპიროთი, ძალა მოიცვა მთელმა ზღვის პირმა, მერე დასჭექა მეგრულ კილოთი, რომ იამაყოს ჩვენმა ძმა გმირმა.

დაჰბერა უშგულს სიმართლის სიომ, ძალა იქ დარჩა თერგიდან ვილი, მოიცვა კუთხე საეკლესიო, გაერთიანდა ქართველისა შვილი.

ძალა დიდდება - მარადიული, ეს მთელ ქვეყანას აერთიანებს, ასე დარჩება მარად ქართული, მტერმა რომც სცადოს ვერაზას გვავენებს.

გაუპარჯოს!

ჰე, გაუპარჯოს იმ ადამიანს, ცხოვრებამ რომ არ გააბოროტა! ცხოვრება ხომ ჰგავს ფრეგატს ნამიანს, მიჰყავხარ ომში და გქმნის რობოტად!

მაგრამ ის არა! ის არ შემდრკალა რთული დროების პიგმენტებს აქრობს, არ შეეშინდა და არ შემეკრთალა, ცრუ დაივიწყა - სიმართლეს ცხადყოფს.

გრძნობის კრეტსაბმელს მხოლოდ მას უმხელს, ვინც გვერდით მედგრად უდგას ზმანებით, მხოლოდ მას ართმევს მართალ და ჩუმ ხელს, დრო არის ჩვენც თუ გავიაზრებდით!

მოყვარეს პირში ვუთხრათ სათქმელი, ზურგს უკან ჭორვა რა საჭიროა? რა გაბოროტებს? არ ხარ ქართველი? განა აქ ჩხუბის და ომის დროა?!

არა, არ შედრკე! რადგან ჩვენ ბოლოს ერთად გავივლით სიკვდილის გზასა, იქ გამოჩნდება ვის სწამს სამშობლო, ვინ სცა პატივი მონყალე ძმასა.

ვინ გაუმრთელა ნაიარევი? ვინ დაეხმარა დაკოდილ გულსა? ვინ ქმნა სიკეთე, საზრდოთ, აქ ბევრი? ვინ მოეფერა წმინდა მამულსა?

ვინ სცა პატივი მღუმარე ხატსა? ვინ გადინერა პირ-ჯვარი გულით? ვინლა გაუძღვა ოჯახს სპეტაკსა? ვინ იამაყა ხით - აქ დარგულით?

ვინ ააშენა სახლი ზღაპრული? შვილებს უბოძა გული მეომრის, ვინ აამლერა ჰანგი ქართული? და შექმნდა ძირი - სარკე ქართული?

ვინც მგლურად დაჰკრა ბუკს და ნალარას, მერე იმლერა მან შადიანი, არ შეუშინდა მტერს და ჭალარას, კაცად ქმნა სიტყვა ადამიანი.

ვინც შესცოდა და მოინანია, უცოდველი ხომ არაივინაა. ჩემი ძმები კი ჩემთან არიან, გახსოვდეს ძმაო, - მარად ვინაა?

ამიტომ სანამ ჩვენ სული გვიდგას, დავიხარჯოთ ჩვენ მთელი არსებით, გვყავდეს შორს ის ვინც დღეს ბოლმით გვიტანს, გავლით ეს დრო ჩვენ შემართებით.

ვხედავდეთ მამულს, ჩვენს ადათს მზიანს, გვწამდეს ოჯახის - არა გოროზად, ჰე, გაუმარჯოს იმ ადამიანს, ცხოვრებამ რომ არ გააბოროტა.

მე, შენს ...

მე შენს სულს ვალმერთებ ნაზი აკორდებით და ეს სილაჟვარდე ხატად მესახება, მე შენს სიყვარულში აღარ გავკოტრდები, რადგან ეს სიმდიდრე მარად მე გამყვება.

მე შენს გულს ვადიდებ დიდი ემოციით! მეტი არაფერი აღარ მაბადია, მკრთალად გესალმები ჩუმი ოვაციით და ეს სასოება გესმის? მარადია.

მე შენს სტრიქონებში ვახდენ სულის წარღვნას! და ყოველი წამი არის აგონია და თან უშენობა ნიშნავს სულის ძარცვას, რადგან ჩემი სული შენსას გაჰყოლია.

და ეს ჰარმონია უდრის აღმადრენას, ეს ყოველივე კი უკვდავ საყოფია, ეს ყოველივე კი ნიშნავს ამაღლებას და ეს სიყვარულიც ამის ნაყოფია.

მე შენს სულს ვალმერთებ ნაზი აკორდებით, და ეს სილაჟვარდე ხატად მესახება, მე შენს სიყვარულში აღარ გავკოტრდები, რადგან ეს სიმდიდრე მარად მე გამყვება.

მიხეილ გელაძე

„ალმაჟენაჟალი პათუჟს მოზრქანდუბა...“

დავითის ძეგლი დაამშვენებს ჩვენს ქალაქს - ბათუმს, მისი სიმაღლე კვლავ მისწვდება მეცხრე ცის სართულს, ქართულ მიწაზე ვინ გაბედავს აბამდეს მავთულს, ჭრიდეს, კერავდეს საქართველოს ათასგზით ხლართულს.

მაღალი მთიდან გადმოხედავს „მტირალა“ ბათუმს, აღარ იტირებს, მოჰკრავს რა ყურს, ლაპარაკს ქართულს, აქ მეფე დავითს დაიგულებს „ძლევაით“ გართულს, „მონეტას“ ნაცვლად არ მიიღებს არასდროს „ალთუნს.“

ბათუმის გულში ვნახავთ დავითს ძეგლად აღმართულს, დიდგორის ველზე ქართველობას - მახვილშემართულს, გონიოს კარებს გამოვალბობთ „ხორუმით“ მართულს, ისევე ვიხილავთ ჩვენს კახაბერს „ხრიდოლში“ ჩართულს.

სულ მალე ვნახავთ მეფე დავითს აქ წამომართულს, მერე სრულიად საქართველოს წელში გამართულს, პატივს მივაგებთ სამშობლოსთვის დამწვარ-დაშანთულს, დიდგორის ველზე ერთმანეთზე დამკვდარ-დასართულს.

სხალთა-ხიხანი არწივს აფრენს ყოველდღე ბათუმს, ქართულ საქმეში არ დაუშვებს სხვის ხელის ფათურს, სელიმის სიტყვებს შეახსენებს დავთარზე დართულს, „პეტრას ციხიდან“ გააყოლებს ყვავებს გაფანტულს.

„მეფე ქართველთა“ შემოიკრებს გარშემო ბათუმს, „შავფაროსნებს“ და „შავჩოხოსნებს“ ბრძოლებში ჩართულს, არ გვინდა თამარს უწოდებდნენ კვლავ „გურჯი-ხათუნს“, ჩვენ საქართველო გვიჩვენებია მილიონ ალთუნს.

„შვილნო, ქართველნო,“ - ხმა მისწვდება ყველა სახლ-სართულს, „ვისი გორის ხართ“, „ვისი სისხლის“ - ხომ ახსოვს ბათუმს?! მაშ, გაუმარჯოს ჩვენს „ჰერიოს“, ჩვენს ცეკვა „ქართულს“, ქართული დროშით მეფე დავითს ზეცად აღმართულს!

სალომე გოგოლაძე

თოვლი იმერეთი

იმ ძველ სახლში, იმ ძველ სახლში მე ბავშვობა დამრჩა, ახლა, ალბათ როგორ ბარდნის, ხეებს, ეზოს, ბაღჩას. იმ ძველ სახლში, ბუხრის ახლოს სამერცხლეა ერთი და შეღინღულ ჩიტის ბარცყებს ყოველ დილით ვჭვრეტდი, მოფრინავდა თვალმახარა, გულთეთრა და სკვინჩა და ნელ-ნელა ბალახ-ბალახ, სახლს აგებდა დინჯად, იმ თბილ ბუდეს, იმ თბილ კერას, რა სურნელი ჰქონდა, ბებომ ღილი დამიკერა, მტრედისფერი, ჰოდა!...

მახსოვს, როგორ მაჭრდებოდა, ღვინობისთვის მაღლი, იმ ძველ სახლში, ალბათ, ღმერთო, ბარდნის, როგორ ბარდნის, მთელი ღამე ქსოვდა ბებო, თეთრი მატყლის წინდას, შარშანდელი ქორს წაელო, ქორს წაელო შინ და!...

ახლა მხოლოდ ცალი თვალით ვუმზერ ცისფერ ნათელს, იმ ძველ სახლში, სადაც ქარი ვერ ჩამიქრობს სანთელს. სადაც დადის დედაჩემის სული ანათრთოლი, ეზო-ეზო, ღობე-ღობე ეფინება თოვლი!.. სანამ კიდეც უდგას ფესვი, ანგელოზის კერას და სიცოცხლე ანაკენისი, მიხარია ჯერაც, სანამ ისევე მეძახიან შეფიფქული მთები, მოვალ გზებით გადაღლილი და ზედ დაგაკვდებით, იმ ძველ სახლში, იმ თბილ სახლში მე ბავშვობა დამრჩა, ახლა, ალბათ, როგორ ბარდნის, ხეებს, ეზოს, ბაღჩას!...

ნიკალა

კიდეც ერთხელ გაჭრიალდა მზის ბორბალი ცისფერ ცაზე, ჯეირანი გადმომდგარა თბილის ქალაქ აივანზე, ქუჩა იყო ძველისძველი, მოკირწყლული სიპი ქვებით, პეპლებივით ფრიალებდნენ ჭრერაჭრულა ქათიბები,

ის დღე იყო ფიროსმანმა მეზადური რომ დახატა, თითქოს თავის ძარღვებიდან სისხლის ფერი ამოხაპა,

ვის უნახავს მეზადური წყალში მდგარი წითელ კაბით, ხარხარებდა, იცინოდა გაბერილი მიკიტანი,

მაიდანზე მოლა კივის, ზარებს რეკდნენ სიონიდან, ყროყინებდა თეთრი ვირი, მეეზოვე ქუჩას გვიდა,

დილის მაღლი ჩამომისხი ! მხატვარი ვარ არ მაქვს ფული, და გადაკრა თეთრი სისხლი, მიაყოლა ხმელა პური,

მამაჩემი ვაზებს რგავდა, პაპის პაპა ოქროს თავთავს, ისიც წითელ ღვინოს სვავდა, მასაც ქონდა წილი ქართან.

მე კი როგორც მთვარეული, შემოდგომის ფერებს ვეტრფი, დავალ გზა- გზა არეული როგორც გაფანტული ფეტვი,

იმ აქტრისა მარგარიტას ყვავილები ყვარებია, ხვალ ურმებით ჩამოვიტან ვარდების ზღვას ალებიანს,

ჩემო მზეო ალაღ იყოს, ერთი ვინმე მხატვრის ქობი, მე თბილისის ცაც მეყოფა, რომ მიტიროს ავადმყოფი,

საიათნოვა ლექსად იტყვის, მე რას ვიტყვი მუნჯი ვარ და.. ამ ჩემს ცრემლებს ვინ დაითვლის, მთვარემ ღამეს უჩირაღდნა,

მე გიჟუა კი არა ვარ, კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ჩემი ტანი მიაქვს ტალღას, რომ გეტირე ფრანციცულად,

დრო ნისლივით გამეფანტა, საზანდარზე უკრავს კინტო, ირმის რქებში გაიხლართე ჩემო მგალობელო ჩიტო,

შენ დაირა დაუკარი, ის დაუკრავს თარს და დუდუკს, მე აღზევანს მივალ მარილს, ჩამოვიტან ლახათლუქუმს,

ნიკალა ვარ, ფიროსმანი, მხატვარი ვარ ვინ არ მიცნობს, ჯიბით დამაქვს ნატვრისთვალი, და დამჭკნარი ვარდების რტო,

ფუნჯით ვხატე მთვარე ნაზი, მტკვარზე ტივი, ტივზე კაცი, ვხატე ფოთლის ფიანდაზი, და ზამთარი მატრახაზი,

ჩემი სული ქარს მიჰქონდა, ჩემი ძვლები ჭამა მიწამ, თბილის ქალაქს ისე თოვდა, თითქოს ზეცა ჩამოიქცა..

ჯემალ შანიძე

* * *

და როიალი მღეროდა თმენით უხსოვარ დროთა საოცარ მითებს, უსმენდა ყველა და შენი სმენით შენც აყოლებდი მუსიკას თითებს. მღეროდა სმენით დაღლილი ფარდაც, შორს არწასული ჟინით და ვნებით, შენ იმ საღამოს არავინ გგავდა მაგ უჩვეულო შარმით და კდემით.

შევახებ თითებს მუსიკის გორგალს, დანატრებული სიჩუმის ჰანგებს, მღერიხარ შენც და თითებიც ტოკავს, მღერიხარ შენ და სიტყვებს ვერ აგნებ, და ინურება საღამო ჩქარი, შორს ჩაძირული თვალებით, შენით, უკვე სახლში ვარ, მოვხურე კარი, თუმც კვლავ შენთან ვარ ფიქრების შრენით.

* * *

ცა იქუფრება, შორს ელავს ჯანღი, სულმა სევდები მყისვე მოდენა. ყველგან გეძებე, აღარსად ჩანდი, მზე იყო ცაზე, ვით ცეროდენა.

ჩემს სულში ახლა ეს ქარიც ატანს, თავს არ მანებებს მაინც ვერაგი, ოთახში ჩუმად წრიალებს კატა, ვაგდივარ ტახტზე, როგორც პერანგი...

* * *

დაისადგურა დუმილმა ირგვლივ, ეხლება წვიმის ნოტები სარკმელს, ვზივარ და თავში რითმების რიგი მავალებს ერთად უამრავ საქმეს. წვიმა და ფიქრი ძალიან მიყვარს, (ორთავე ერთად მომიტანს შვებას), და ჩემი სიტყვა, უთქმელი სიტყვა, საოცრად მალე ქალაღზე შრება.

მე მიყვარს, როცა გიხსენებ ამ დროს და მოგონება ღრმავდება ძლიერ, შენ ჩემზე, ვიცი, არასდრს დარდობ, მე შენზე ფიქრებს ველარა ვძლიე. ახლა შენ შორს ხარ, მაგრამ ამ მანძილს გააპობს ლექსი და შენთან მოვა. ძვირფასო, ნულარ მოიწყენ ანი, დღეს მხოლოდ მხიარულების დროა.

* * *

რომ ვფიქრობ ახლა, დიდი ხნის შემდეგ, პოეტად შევდეგ, თუ ველარ შევდეგ, არ ვიცი, მაგრამ, ნელ-ნელა ვიპოვი ძალიან ცუდს და საზარელ შედეგს...

მარი თაბაგარი

ქვაბისხევის ფრესკა

(ბორჯომის ხეობაში, ქვაბისხევის სოფლის მახლობლად დგას წმინდა მარიამის მიძინების სახელობის ქვაბისხევის უძველესი ეკლესია. აქ ფრესკებს შორისაა მდიდრულად ჩატეხული ქალისა და მამაკაცის გამოსახულება, რომელთაც ასომთავრულით აწერია: „შოთაი და იაი“. ლეგენდის მიხედვით, მამაკაცი - შოთა რუსთაველი, ხოლო ქალი დედამისია).

შრილებს ვერხვი და მოჩხრიალებს, მთას მონყვეტილი ქვაბისხეულა, ვერ იამებენ ფოთლის იარებს ტოტები, ქარში ჩამორხეული.

გალობენ ტაძრის ბებერი ქვები, საუკუნეებს ფერი აქვთ ბაცი და ქვაბისხევის სდუმს მონასტერი, კლდეზე შემდგარი, როგორც ბრძენკაცი.

ფრესკაზე ხელებს აღაპყრობს შოთა, სულს მითბობს მისი ყმანვილი სახე ისევე, როგორც იმ მოყმის შფოთვა, ვეფხის ტყავში რომ მჭმუნვარე ვნახე.

ჭაბუკი კვლავაც ვიხილო, ვნატრობ, გზასაც არ ჰქონდეს სტუმრისგან მოცლა; ჯვრის მონასტერში, მხცოვანთან მარტო, ისმოდეს მშვიდად ქართველის ლოცვა.

ბუმბერაზობა მისი მამუნჯებს, ქვაბისხევეს მაღლი საუფლო მოსავს და ლოცვით ვფურცლავ ერის საუნჯეს, საგომამანებელ „ვეფხისტყაოსანს“!

აგიკვიატე, შემიჩვია შენმა სიტყვებმა და წყაროსავით გისურვილე ძლიერ მწყურვალმა. დრო ფთილასავით თითისტარზე ჩამოირთვება, შენ ვერ ბედავ და სხვა კი მეტყვის როგორ ვუყვარვარ.

იმ ჩამორთული ძაფით ფრხილად ექსოვ ახლა დიდ ჯაჭვს, ჩემი გულიდან შენს გულამდე გაგვწვდეს უცილოდ. არ მინდა, სხვისი სიყვარული მივსებდეს ფინჯანს დილით, ყავასთან შენ არა და სულ სხვას ვუცქირო, ღამენათევმა... მითხარი რამე...

წამოუქროლებს ჩემს დაკოცნილ ვარდებს აშარი, ქარი ჯიუტი დაანინკნის ლეროს გვირგვინებს. ჩამოამწკრივებს რიგზე როგორც დიდი მარშალი, თავის ნებაზე მოატარებს ნაცნობ ბილიკებს. ბოლოს დაცხრება, ქარია და სწვევია დალლაც. ვარდის ფურცლები მოედება სკვერსა და ქუჩებს; მიტოვებულის დააჩნდებათ

ქარისგან დამლა და ის ამბორიც, როს მოსტაცეს ოდესლაც ტუჩებს. გამთენიისას მეეზოვე ჩამოგვის ფურცლებს, ვარდზე ამბორიც მათ გაყვება, გაავსებს ურნას.

უფასურდება ყველაფერი, რაც დროს ვერ უძლებს. ჰო, სიყვარულიც, თუ არ არის, ორმხრივი ზრუნვა...

...გაზაფხულიდან ვეფერები გაზაფხულამდე, ბოლოს, უკან რომ გამომყვება ვარდები თეთრი; დაბადებიდან ამას ვფიქრობ დასასრულამდე, არ გადავალაო ჩემი ცოდვით ჩემივე ღმერთი.

თბილისური გაზაფხული

ყინვის ქურქში შეიპარა გაზაფხული და მოქარგა კაბა ჭრელი, ბრდღვიალა. დათბა, ყინვა გაიპარა დაზაფრული და თბილისმაც კაბა ააფრიალა.

შეეყარათ ხეებს ახლა ბატონები და ტოტებზე დააყარათ კვირტებმა; მეტებთან კლდეს კვლავ ბავშვივით ვეტოლები, მახსოვს, რომ აქ სუროს ცრემლი მიკვირდა...

მზე ჩამოდნა, ვტკბები მტკვარზე ტივის ცქერით, „ღვინის აღმართს“ ფაიტონიც გამოსცდა; ვახტანგ მეფეს აღუმართავს მაღლა ხელი, სალამს უძღვნის „ქართლის დედას“ საოცარს.

აქვე, ხიღზე მივაბიჯებ, მენვის ტერფი, თითქოს კვლავაც ასვენია ხატები; ასი ათას მონამესაც გულით ვეტრფი და ვამაყობ სჯულის ერთგულ ქართველით.

მეიდანზე თონის ლავაშს ავარდნილი ოხშივარი, კვირტის სურნელს ერევა. ავეყვები აღმართს ზამთრის პანაშვიდით, თბილის ქალაქს არ მოვაკლებ ფერებას.

მივეყრდნობი ნარიყალას ციხის კედელს, გადმოვხედავ ტაძრის გუმბათს საუფლოს, დაბლა მწვანედ მოღალანეს ვუცქერ ედემს, აქ ქვაც ტკბილად წინაპრებზე საუბრობს.

იასამანს მოუნყვიტავს გოგოს ბიჭი, გაჰყვებიან ნარიყალას ბილიკებს; ქარი მოვა თავნება და სულ მაქვს იჭვი, კვირტის ფურცლებს ყველას ჩამოგვირიგებს.

ჩამოქარგა გაზაფხულმა კაბის ფარჩა, მზემაც თვალი გაახილა ბრიალა, სითბოს ვსუნთქავ, ზამთრის სუსხი აღარ დარჩა და თბილისმაც კაბა ააფრიალა.



დარეჯან ბასილაძე

წითელი ვარდი

ვიცი, რომ იცი, ვარდები მიყვარს, მისი სურნელით ეს გული ტკბება, არ დამიკრიფო, არ მომიტანო, არ მინდა, როცა სამყაროს სწყდება.

არ მიეკაროთ ვარდებს ეკლიანს, ის სიყვარულის მხოლოდ მახეა, ყველა ღამაში, წითელი ვარდი შეყვარებული ქალის სახეა!

მამ, გაუფრთხილდი ვარდებს და ქალებს, სიყვარულს სათნოს და სიამაყეს, დაკრეფილ ყვავილს დაემსგავსება, თუ პატივს არ სცემთ მათ სილამაზეს!

მონატრება

რა კარგია, როცა ვინმეს ენატრები ძალიან, ეს ძლიერი მონატრება სიყვარულის ფასია.

მიყვარხარ და მენტრები, მოფერება მომინდა, მენატრება შენი კოცნა, მაგრამ შორს ხარ ძალიან.

მენატრები, უშენოდ, ვეღარ გავძლავ, კარგო, დამიბრუნდი, ძირფასო, ჩემი გულის ვარდო.

ქალი

მშვენიერების სამყარო, სიცოცხლის დიდო წყაროვ, სიყვარულო და სიკეთევე, შენ გაგიმარჯოს, ქალო!

ძილგატეხილო დედავ, დაუვიწყარო დაო, ჩემო ერთგულო მეუღლევე, შენ გაგიმარჯოს, ქალო!

კაცის ნეკნიდან ნაძერწო, უფლის რჩეული ხარო, მაცდურო, მიუნვდომელო, შენ გაგიმარჯოს, ქალო!

ნაზო და სუსტო არსებავ, სულით ძლიერო, კარგო, სიცოცხლის გამგრძელებელო, შენ გაგიმარჯოს, ქალო!

ბულბული და ყვავი

ისმის ბულბულის გალობა, დაატეპო არემარეო, იქვე ყვანჩალაც უყურებს, თქვა, მოვიფიქრო რამეო.

გასძახა ციციქნა მგალობელს, მასწავლე შენი ენაო, მინდა, შენსავით ვგალობდე, ჩემიც ისმოდეს ქებაო.

არ დაეზარა მომღერალს, გაუმეორა „ნოტები“, „ყვა, ყვას“ იძახის ყვანჩალა, მოთქმით და მთელი გოდებით.

სტვენას უმატა ბულბულმა, გაიხალისა გუნება, გასძახა, ყვავად დარჩები, რაც გაგაჩინა ბუნებამ.

შენ ყრანტალი არ მოგწონს, ზოგჯერ გალობაც გინდება, „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდება“!

საქართველო

პატარა საქართველო? არ გეგონოთ არავის, საკუთარი გაგვაჩინა დამწერლობა, ანბანი. ცოტანი ვართ?

მერე რა, რომ ცოტანი ვართ, ჩვენში ბევრი გმირია, დამიჯერეთ, დამიჯერეთ, საქართველო დიდია. ამდენ ბრძოლის გადამტანი სულით მაინც ვერ დასცეს, გეფიცები, საქართველო არასოდეს არ გაგცემს.

მიყვარს შენი თბილი ხალხი, შენი წესი-ადათი, საქართველოს რომ ლოცავენ ყანწით მამა-პაპაურით. მიყვარს შენი გუთნისდედა, დედა ენა ქართული, ქართველ ქალის გმირობები, ლეგენდებად განთქმული.

მიყვარს შენი ვენახები, პური-ღვინო კახური, ტრადიცია მიყვარს შენი, რასაც ჰქვია ქართული. ყველა მიყვარს, ვინც კი შენთვის, წვეთი სისხლი გაიღო, ცხრა ძმასავით ერთი თხილი, ვინც თანაბრად გაიყო.

საქართველო, მიყვარს შენი დაკარგული ნაწილი, შავშეთი და ტაო მიყვარს, მიყვარს ძველი ართვინი. მიყვარს შენი საინგილო, აფხაზეთი, ცხინვალი, დამიბრუნე დაკარგული, ამიხდინე სიზმარი.

დაფლეთილი გული მიყვარს, სული მიყვარს ძლიერი, ჩემი საქართველო მიყვარს, გმირი ქართველი ერი.



მიმოზა ცანავა

სამშობლოს საგანძური ხარ...

„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“ აკაკი

გულ-ღვიძლი მენვის მამულო, თავს გესხმის ტურა-მელაო, ვისაც კი ხელენიფება გნენავს და გნენავს ყველაო. სიმღერა მსურს და ვერ ვმღერი, რას გარგებს ჩემი მღერაო, ბევრჯერ გულს ჩაგცეს ლახვარი, ვერ ნაგაქციეს ვერაო. გამიუცხოვდა სამშობლო, გულს მიწვაცს სხვათა ცქერაო, ჩემი მიწა- წყლის სურნელის, ჩემი ცის მადლის მჯერაო. მამულისათვის დაფერფლილს თავზე გესხმოდა ძერაო, მაგრამ ვერავინ ჩაახშო ერთგული გულის ძგერაო. მა, შენი სულის ცხონებამ, არვინ ჩანს შენი ხელაო, ვით მზის ამოსვლა ლამაზი, უკვდავ სახელით ელავო. არ ვიცი რას შეგადარო, როცა გიყურებ ვლელავო. ღამეს მაგონებს მგოსანო, სამშობლოს ბედისწერაო. შენმა უკვდავმა სულიკომ მსოფლიო აამღერაო, მამულის სადიდებელი ქართველმა შეიფერაო. ნანამებ-ნაბორძიკალი მტერმა ვერ გადაგვთელაო, არ გვემღერება, ვმღერივართ, „ოდელა, დელა, დელაო“. მშობელი მიწა ნაგვგლიჯეს, დრო უღვთოდ გაინელაო, ჩონგური საქართველოა,

სიმები ჩვენ ვართ ყველაო“. მარგალიტებად ასხმული, შენი სიტყვების მჯერაო, სიმის განწყვეტას ქართველნი ვერ შევეგუეთ ვერაო. სამშობლოს საგანძური ხარ, მამულის მთების ხელაო, გამოთლიანდება სიმები, ერთად ვიქნებით ყველაო... ..სწორედ შენებრმა შვილებმა ანათეს არე-მარეო, „ცა ფირუს, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“

სიყვარულის ალუბლოვა

მიძინებულ გაზაფხულებს გაეღვიძათ, ოი, როგორ დაუფლივარ ცალუღლობას, გამიღიმეს, სულში სითბო ჩამიდვარეს, გამახსენეს სიყვარულის ალუბლობა!... დავარდისფრულ, თვალისმომჭრელ სამოთხეში ვმოგზაურობ და ვისრულებ იმ მყარ სურვილს, მე ასეთი სილამაზე არ მინახავს, ალუბლისფრად ჰყვავის ჩვენი სიყვარული. გაიზმორეს მოკისკისე ყვავილებმა, პირმცინარეთ ცრემლის ცვარი დავანვეთ, და ავანთე ხსოვნის სხივთა ნათურები, ცხელ, მცხუნვარე მზის სხივივით დიდხანს ვენთე.. თბილ ბაგეთა სიმხურვალე შემომენტო და წალკოტად იქცა უმალ ეგ სამყარო, ვავედრებდი მუხლმომყრილი ნათელ ზეცას, დამიტოვოს ეგ ნათელი, არ გამყაროს! რა ძალა აქვს ამ დალოცვილს, რა ძალა აქვს, თვალს გაახელს, გაბრწყინდება არე-მარე, თავს არასდროს არ მავინყებს, რომც მიწოდეს, ჩემში სახლობს, ვერასოდეს დავემალე... ყველა ფერში ამოარჩევ ისე ხიბლობს, ხელს შემოგხვევს, აგითრთოლებს სულის სიმებს, ეს განცდა რომ არ ჰქონოდეს, თუნდაც ნამით, თუ გინახავთ, თუ ყოფილა ქვეყნად ვინმე?! თითქოს მთელი დედამიწა სულში სახლობს და ბალნარად ქცეულ ნამებს ვეფერები, ხელს შემომხვევს ვარდისფერი ფერთა თოვა, მაგიუებენ, გონს მირევენ ეგ ფერები...

ო, რა სითბო ჩამეღვარა გულისდულში, ერთი წამით დამავინყა ცალუღლობა, გაღიმებულ გაზაფხულებს ალბათ ახსოვთ, იმ ღვთიური სიყვარულის ალუბლობა!...

ერთი სამშობლოა მოსავლელი!...

ვოი, გახლეჩილო საქართველოვ, მუდამ სხვის ნისქვილზე წყალს რომ ასხამ, ნუთუ აღარ გახსოვს ის წარსული, ბნელი გოლგოთას გზა და სხვა.. გათითოკაცება ასე რომ დაგვაქცევს, ნადიდგორალებს და გულ-ღვიძლ ამპოცლილებს, ნუთუ ჟრუანტელად არ დაგივლით, მეგრის „ვოი, ნანა“, სვანის „ლილე!“ ნუთუ ყველაფერი დაკარგულა, რაცკი ფულისგულით გენამდა ოდეს, ნეტავ მაგალითად რას ვუტოვებთ, ნიფელს ამოკვირტულ მწვანე ყლორტებს!.. ქედი ატასოდეს მოგვიხრია, ვაი, ქეთევანის ლანდი კენესის, უკან გაიხედე, ნუთუ წინაპართა წიმწრით დანაკენესი აღარ გესმის?!... ერთი ჯისისა ვართ, ერთი სისხლი გვიდულს, რა გვაქვს გასაყოფი, რატომ ვგესლობთ, იქნებ სატიკივარი ცოტა გამიქარვო, იქნებ შემესველო, ჩემო ლექსო!.. ერთი „ამული გვაქვს მხოლოდ მოსავლელი, სხვა ხომ წვრილმანია დანარჩენი, ვინ ვინ ვინ გაყო ტყრფა საქართველო, ოი, რას მიქვია, შენი, ჩემი! თითქოს დიდგორი გვაქვს მოსაგები, ერთურთს დაუფსინეთ ტყვიის წვიმა, ნუთუ დავივინყეთ „ვისი გორისა ვართ?!“, ნუ თუ ვერ ვიხსენებთ ვინ ვართ?!.. ვაი, გაყიდულო სისხლის წვეთო, მტერთან ნაზიარევს ესმა გზალავს, აღარ გვაპატიებს დიდ სეცდომებს, აღარ გვაპატიებს ღმერთი ღალატს!...“ თითქოს კვლავ გამეხსნა იარები და ყველა ჭრილობა მწარედ მენვს, ფრთხილად, ქართველებო, ჩემო სისხლო, ხორცო, გასავლელი არის ხიდი ბენვის!... აღარ დაიჩემო ძმის ღალატი, ოი, ჩვენი მტრობა გაგონილა?! ერთი წამი არის ეგ სიცოცხლე, უმალ გაგვიქრება, როგორც ღრუბლის ფთილა! ალგეთს ჯიშიანი ლეკენი დაზრდილან და სულ სხვა გაზაფხულებს ელის გენი,

ახალ საქართველოს დაულოცე, ტურფა ასულები, ბრძენი ძენი! იქნებ დავივინყოთ ღვარძლი წყენა, ქვეყნად უშეცდომო ვინ გინახავთ?! უსიყვარულობა, სიძულვილი, ღირსებას ყველას შეგვილახავს! ერთი მუჭა დავრჩით, ერთი მუჭა, კბილებს აკანკანებს მტერი ახლო, დედები მუხლმომყრით გევედრებით, ჩვენი ქართველობა არ შელახოთ!... ჩვენ სხვა სატიკივარი რა გქონია, ჩვენი სატიკივარი ხართ ველებო, ერთი სამშობლოა მოსავლელი, ერთად მოვუაროთ, ქართველებო!

დაო, ნახვამდის!...

გუძღვნი ნანა გუნიას ხსოვნას

მშობლიურ მიწას სხვა სურნელი აქვს, და დედის სითბოს-ზეციურ მირონს, რა გულმა უნდა გაუძლოს მითხარ, შემოდგომის დღის გმინვას და მიწორს! იქ, იქ, დაგხვდება შენს საბუდარში შენი ბავშვობა ტკბილი და ჰამო, შენი გამზრდელი კოლხური მიწა, დაგეფინება სნეულს მალამოდ! დასერილ სხეულს, გახსნილ იარას, მოგიშუშებს და ჩაგიკრავს ჰულში, რა ცვალებადი ყოფილა ყოფა, დღეს აღარ არის, რაც იყო გუშინ. ყურში ჩამესმის შენი ხმა ახლა, თითქოს მამხნევებ სანდო და ტოლი, ნუ დამაჯერებ გემუდარები, რომ დღე დაგვიდგა ურვის და გლოვის. რომ სიკედილს კარი გაუღე ნებით, ვედარ გიხილავ სათნოს და კეთილს, ნუ დამაჯერებ ამ სინამდვილეს, გულისწასვლამდე ჩუმს, გამოკეტილს.. ყელში წამიჭერს დარდის თოკი და სევდა მერევა სიმწრით დაგდებულს, ამ ბენვის ხიდზე გავლა მოგვიწევს ცასა და მიწას რწვეით გადებულს.. ახლა დუმილი ზარივით მანგრევეს, შენი სიჩუმე გულს ისე მიკლავს, აღარ მიწოდებენ ცივი ქარები, მტაცებენ იმას, რაც ასე მიყვარს. თვალმდინარე ვარდების კონას, ზედ დაგკვდომია ოლენდრები, დრო აღარ არის სნეულთ მკურნალი, ვიცი, ძალიან მომენატრები! მომენატრები და ამტიკვიდები, ცხელ ჭრილობებზე დავიფენ ლექსებს, აგინტებ სანთელს, ვლოცებ შენზე, შენებრ დავიცავ ჩვენს ადათ-წესებს.. გაუსაძლისი არის ტკივილი, ამ განშორებას დღეს, რაც ახლავს ის, ნათელი იყავ, იქაც ნათელში გამყოფოს ღმერთმა დაო, ნახვამდის!...

ჯამალ აჯიაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამომცხადებულ კონკურსში გამარჯვებულები განცხადება:

1. საუკეთესო პოეტური ნაწარმოებისთვის - ცირა შალაშვილი და დავით შემოქმედელი (ტაკიძე);
2. საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისთვის - ირაკლი ნადარეიშვილი და ირმა კეკელიძე;
3. საუკეთესო პოეტური თარგმანებისთვის - ია სულაბერიძე და მურმან თავდიშვილი;
4. საუკეთესო პროზაული თარგმანებისთვის - გიზო ზარნაძე და ნიკოლოზ შამუგია;
5. ნომინაციაში „წლის რჩეული იუბილარი“ - მანანა დუმბაძე და აკაკი დაუშვილი.

ვულოცავთ გამარჯვებულებს ამ ღირსეულ პრემიას.

ლეილა მესხი

ღია გარეთი რეპაზ მიშველაქას!

ძვირფასო მეგობარო! ქართული მწერლობის ბერძენი!

უპირველესად, ამდენწლიან მოთმინებას... გილოცავ!

შეცნობისა და აღმოჩენის უსიამოვნო წლებს, მდუმარებით გაყვანილ ჟამს, ახლო ადამიანების, მწერლების შემოკრებას და, რაც მთავარია, ბოლო ნახტომისთვის მზადებას... (მწერალთა სასახლიდან გაგდებული ვეფხვის ფიტული მაგონდება, ან სანამდე უნდა ყოფილიყო! ალბათ გაცვდა...) ყველაფერი ცვდება ამქვეყნად! მაგრამ ახლა, როცა ხელმეორედ, თქვენი ნოველა „დაფიცება აღმაშენებლის საფლავთან“ წავიკითხე, ერთ ქვეშარტივებს ჩავხვდი... უკვე მოვიდა დრო, ყველანი წამოვდგეთ, გამოვჩნდეთ! ძველები და ახლები... „გახუნებულები“, (როგორც ბოლო დროს გვაპოვნენ) „ნაფტალინ-ნაყრილები“, „ჩარეცხილები“, ორიოდ უცხოური სიტყვის მცოდნე საზღვარ-

გარეთ „ნაღვანი“ და შინდაბრუნებულნი, მშობლიური ქვეყნის აუგად მომხსენიებლები, (ყველას არ ვეხები, ბევრი მათგანი სასიკეთო საქმეს არიან შეჭიდებულნი!) ვისაც ვგულისხმობ, თავად მიხვდება მკითხველი! მაშ, ასე... გაგვიძახე, ბერო მინდიავ! ძველი ღირსება დავიბრუნოთ...

რატომღაც მჯერა, სწორედ ახლა, ამ რთულსა და ძნელად შესაცნობ ნუთუბში, აქეთ კორონა გვიტევს, იქეთ... არადა, რა ქნას ამ პატარა საქართველომ, რამდენ მოძალადეს ეომოს?! მთები ინგრევა, სოფლები იმარხება, ჰარი-ჰარად აშენებულ კორპუსებს თავად ვუთხრით ძირს! რამდენი ჩამოვთვალო?! და ბოლოს და ბოლოს, ხომ დადგა დრო, რომ ჩვენც, ქუჩაში გაყრილი, დამცირებული და შეურაცხყოფილი მწერლები, ძველები და ახლები დავიბრუნდეთ ჩვენს კერას... სადაც პირველი ნათლობა მივიღეთ, მწერლებად ვეკურთხეთ... შევიკრათ, შევერთდეთ, მხარი მხარს მივცეთ! ბოლოს და ბოლოს, ოჯახიდან, შვილი და შვილიშვილი თუ გააგდე იქ რაღა გინდა?! ყველა ერთად ვიყოთ, ერთ სულად და ერთ გულად.

გაგვიძახე, ჩვენო მინდიავ!

ნოდარ კობერიძე

სახელმწიფოებრიობის ოჯახური განცდა

რასაც ახლა დავწერ ხანგრძლივი ნაფიქრის შედეგია და ამ რაკურსით საქართველოში იშვიათად თუ ვინმეს გამოუთქვამს მოსაზრება, მაგრამ... გთხოვთ, მომისმინოთ! რატომ ვერ ვერ შედგა დღემდე საქართველოს ერთიანი მონოლითური სახელმწიფო, რა არის მიზეზი? აქ შეიძლება მრავალ მიზეზთა დასახელება: ქართველთა დაყოფა ათასგვარ „ისტებად“, „ფილებად“ და სხვა მაგდაგვარი პრობლემათა წამოწევა. თუმცაღა მასეა ქვეყანათა უმრავლესობაში, მაგრამ მათსა და ჩვენ შორის ერთი არსებითი განსხვავებაა - არაცნობიერად და ცნობიერადაც სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს აქვთ სახელმწიფოებრიობის ოჯახური განცდა! დიახ, დიახ, სახელმწიფოებრიობის ოჯახური განცდა და ამიტომაც იქ არასოდეს დგამენ ისეთ ნაბიჯს, რომელიც მათ სახელმწიფოებრიობის არსებობას ეჭვქვეშ დააყენებს - არასოდეს! ჩვენთან კი რა ხდება: თითოეული ჩვენთაგანი მზადაა ოჯახისთვის თავი გადასდოს, გადაიკარგოს ცხრა მთას იქეთ და იქ მონურ, დამამცირებელ ჯაფას მიჰყოს ხელი, ოღონდაც კი ოჯახი არჩინოს, მაგრამ სახელმწიფოს კეთილდღეობის მოსაპოვებლად ძნელად თუ გაიღებს რამეს. ამის უმთავრესი მიზეზი გახლავთ ის, რომ ქართველი ერი, როგორც პოლიტიკური სუბსტანცია-კონგლომ-

ერაცია ვერ ჩამოყალიბდა და იგი მხოლოდ და მხოლოდ რჩება ერთ ენაზე მოლაპარაკე სოციალურ ერთეულად! ამ სოციუმს სიტყვით უყვარს სამშობლო და არ ესმის, რომ სამშობლოს, მამასადამე მისი ოჯახური და პირადი ბედნიერება ქართული სახელმწიფოს სიძლიერეშია, ამიტომაცაა, რომ პოლიტიკური აღქმის გარეშე დარჩენილი სოციუმი იმისკენ იხრება, ვინაც თითქოსდა უნდა დააპუროს და ოჯახური კეთილდღეობის ილუზია შეუქმნას და მას არ ესმის და ხშირად არც უნდა გაიგოს, რომ ეს „კეთილდღეობა“ მყიფე და დროებითია და საკუთარი სახელმწიფოს გარეშე ყოველ წამს შეიძლება დაკარგოს და როგორც წესი, უმრავლესობა (ამჟამად გადაგვარებული მოლაღალტე-კოლაბორაციონისტების გარდა), კარგავს კიდევ. ქართული ერთიანი სახელმწიფოს (1469 წლიდან), დაშლის შემდეგ ხალხს ჩააგონებდნენ სპარსეთის, თურქეთის და ბოლო ორასი წელია რუსეთის გარეშე თუ შიმშილით არა, მტრის ანდა ურთიერთსიძულვილის გამო ერთიანად ამოვწყდებოდით! და ეს იდეოლოგია გამხდარა ჩვენში მტრის უძლეველ იარაღად, რომელიც დაუნდობლად ღრღინის და ძირს უთხრის ქართულ სახელმწიფოს და, მამასადამე, ქართველ ერს და მას არაფერი ეშველება, ვიდრე საქართველოში მცხოვრებთა უმრავლესობას არ ექნებათ სახელმწიფოებრიობის ოჯახური განცდა და იგი თუნდაც თავისი ოჯახის დონეზე მაინც არათუ ეყვარება, არამედ ექნების მისდამი პასუხისმგებლობის შეგრძნება! ამისათვის კი საჭიროა მათი უდიდესი საგანმანათლებლო მუშაობა, ვისაც ეს ხელეწიფება.

შოთა ზოიძე დაიბადა 1942 წლის 2 იანვარს, შუახევის რაიონის სოფელ ახალდაბაში. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. 1997 და 1999 წლებში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები თბილის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობის რედაქტორად, გაზეთ „აჭარის“ განყოფილების გამგედ, აჭარის ტელერადიოდეპარტამენტის დირექტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარედ, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1998 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

შოთა ზოიძის პირველი წიგნი გამოიცა 1968 წელს. ავტორია 30-მდე პოეტური კრებულის, ესეებისა და მონოგრაფიების. მისი პოეტური ნიმუშები თარგმნილია არაერთ უცხო ენაზე.

1973 წლიდან მწერალთა კავშირის წევრია. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტის და ქართული ენის დაცვის კომისიის წევრი, აჭარის ტელერადიოდეპარტამენტის დირექტორი, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 2-ჯერ იქნა არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად.

1995 წელს ნიკო ნიკოლაძის პრემია მიენიჭა წიგნისთვის „ჯვარცმული ფიქრი“, ხოლო 1997 წელს - სახელმწიფო პრემია წიგნისთვის „უსანქციო სონეტები“. მინიჭებული აქვს, ასევე, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძის, გიორგი შარვაშიძის და მემედ აბაშიძის პრემიები.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. იყო ბათუმის საპატიო მოქალაქე.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია აჭარის მწერალთა სახლი ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია



შოთა ზოიძე

აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა მწერლობამ - გარდაიცვალა თვალსაჩინო პოეტი, მეცნიერი, ესეისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე - შოთა ზოიძე.

ვგლოვობთ ახლახანს გარდაცვლილს:

იუზა ყაჭიშვილს
ანტონ ჯაფარიძეს
თამაზ ტყეშელაშვილს
ჯამალ ნარტიელს
ჯამალ ჭავჭავაძეს
ჟუჟუნა ჩხეიძის
(ზაზა ქინქლაძის დედა)
ელდარ ციციშვილის
მანანა ანთაძის მეუღლე
ივანე ქვეციანიძის
(იორამ ქვეციანიძის მეუღლე)

